


ლიტერატურული გაზეთი

№18 (346) 29 სექტემბერი - 12 ოქტომბერი 2023

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ყარამან ჯიქურაული
*
აი, იმ ტბორთან (მთაზე)
სულს მოვიტყვამთ.
იქ,
ჭადრის ხესთან, სასვენია.
ის ადგილია, სადაც ტბაში
ცას ვარსკვლავები ჩაცვენია.
იქ გულის გახსნაც შეიძლება,
ნუ გეფიქრება — ცა ჩვენია!
IV-V

პაატა ნაცვლიშვილი
ჟორჟეტა ღამბაშიძეზე

ლექსები
ნატალი დარასელია
ერეკლე გოგიშვილი

ზოია ცხადია
ოთარ ჭილაძეზე

როსტომ ჩხეიძე
ლანა ლოლობერიძეზე

თეონა გოგილავა
ზაირა არსენიშვილზე

გუგა მგელაძე
ნაირა გელაშვილზე

თინათინ ხუტურიძე
ბელა ჩეკურიშვილზე

გვანცა ბოჭორიშვილი
რეზო გაბრიაძეზე

ნანა კუცია
ედითერ ყიფიანზე

დასაწყისი N341-345

დაიდაპვილაკი

ვახტანგ ლამბაშიძეს ოთხი შვილი ჰყავდა — მედეა, თამარი (სუნანა), გივი და ჟორჟეტა. სხვათა შორის, მედეა ლამბაშიძე, რომლის ნათლია დიდი დეკანოზის სულიერი შვილი აკაკი წერეთელი გახლდათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო. შემონახულია მისი კუთვნილი სტუდენტული სხვაობის ერთად მას დედამისი — ვანდა ჰოპე-ლამბაშიძეც ასწავლიდა, რომელიც პარიზში ფრანგული ენის პროფესორი იყო, ივანე ჯავახიშვილს კი ინგლისური ენის ლექტორად მიენიჭა ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში. იმავე პერიოდში უნივერსიტეტში მუშაობდა ვახტანგ ლამბაშიძეც — იგი ჰიგიენის კათედრას განაგებდა.

გივი ლამბაშიძე, რომელიც ემიგრაციიდან ორჯერ დაბრუნდა საქართველოში, იომა კიდეც და საბჭოთა საპატიმროში ექვსი თვეც გაატარა, პარიზში ჩასული, სულ ამუნათებდა თანამემამულეებს, პურს როგორ სჭამო, როცა იმდენი ჩვენიანი მეტეხის ციხეში იტანჯებო. 1930 წელს მან, სრულიად ახალგაზრდამ, 28 წლისამ, თავი მოიკლა.

სუნანა ლამბაშიძე საფრანგეთის არმიის კოლონელის ნიკოლოზ (კუკური) თოხაძის მეუღლე იყო, მედეა და ჟორჟეტა კი ნიკოლაძეთა ოჯახის წევრები გახდნენ. ლამბაშიძის ქალთაგან პირველად ყველაზე უმცროსი, ჟორჟეტა გათხოვილა. ნიკოლოზის ძმისშვილი შოთა ნიკოლაძე და კუკური თოხაძე იუნკრები იყვნენ. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ოფიცერი და კომანდორი, სამხედრო მფრინავი ნიკოლოზ თოხაძე საფრანგეთის თითქმის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდოს მფლობელი იყო. შოთა ნიკოლაძემ 1928 წელს პარიზში გიორგისული სპორტსაზოგადოება „შეგარდენი“ ალადადენა და მის საქმიანობაში ემიგრაციაში მყოფი არაერთი ქართველი ჩააბა.

შოთა ნიკოლაძეს და მედეა ლამბაშიძეს ორი შვილი შეეძინათ — რევაზი და ნათელა. ორივენი მამამათის მიერ დაარსებული „შეგარდენის“ წევრები იყვნენ. მე ისინი წინა საუკუნეში, 1994 წელს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დღეებში გავიცანი. მამის რეზო ნიკოლაძემ ბაბუამისის მიერ გადაღებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელი ფოტოების ნეგატივები გადამომცა. რეზო ნიკოლაძეს მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი. ბოლოს, უკვე ამ საუკუნეში, მან მისი და მისი მეუღლის, პროფესორ ფრანსუაზ ნიკოლაძის წინა პრეზენტაციაზე დამპატიჟა — „ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში“. ნათელა ნიკოლაძეს კი თვის 22 წელია, აღარ შევხვდრეოვარ. და აი, რამდენიმე დღის წინათ ქალბატონი ნათელა ტელეფონით შემეხმინა, თბილისში ვარ და კარგი იქნება, თუ შევხვდებითო. წინიც მახლავს, ჩემი დეიდაშვილიო.

მამინვე წავედი. თან გიორგი ნიკოლაძეზე ჩემი ახალი წიგნი წავიღე — „უცნობი ფრანგი ბიჭუნა — გიორგი ნიკოლაძე“, რომელშიც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ 10-12 წლის ბიჭუნა, რომელმაც ჰოლანდიელ ნიჩბოსნებთან ერთად 1900 წელს პარიზში გამართული ოლიმპიური რეგატის ფინალი მოიგო, როგორც მათმა მესაჭემ, და რომლის ვინაობის დადგენასაც ვინ იცის, რამდენი წელია, უშედეგოდ ცდილობენ ოლიმპიადების ისტორიკოსები, სწორედ გიორგი ნიკოლაძეა, იმ პერიოდში მშობლებთან და დებთან ერთად რომ იმყოფებოდა პარიზში.

მივართვი ქალბატონ ნათელას ეს წიგნი და მეორეც გავუხროდი — ეს ბატონ რეზოს ჩაუტანეთ-მეთქი. ქალბატონმა ნათელამ წიგნი კი გამომართვა, მაგრამ მერე ისეთი რამ მითხრა, მოულოდნელობისგან გავმრი: — თქვენ არ იცით, რომ რეზიკო გარდაიცვალა?!

არ ვიცოდი. საიდან უნდა მცოდნოდა! სამი დღის წინ დაეკრძალათ მონპელიეში. ჩვენ იმ დღეს, სწორედ იმ წუთებში, როცა ასაფლავებდნენ, პანაშვიდი გადავუხადეთ ახალციხეში, — ქალბატონმა ნათელამ. ახალციხეში მოღვაწე მამა ნიკოლოზი კარგად იცნობდა თურმე რეზო ნიკოლაძეს და მას გადაუხდია პანაშვიდიც და ქელებიც.

ნათელა ნიკოლაძე და ნინო სტიუარტი



რეზო ნიკოლაძე

პაატა ნაცვლიშვილი

ქორჟეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად

რეზო ნიკოლაძეს ოთხი შვილი ჰყავდა: არნო (იგივე შოთა), ადელინი, ვალერი და კატრინი! უყვარდა ხოლმე ხაზგასმა — მეც ბაბუაჩემით ბავშვთა ექიმი ვარ და ერთი ვაჟი და სამი ქალი მომცა ღმერთმა! არნო ნიკოლაძე ალპინისტი იყო და 2001 წელს ელვამ იმსხვერპლა ეტნაზე. სხვებთან ერთად რეზო ნიკოლაძის მეუღლე, სამი შვილი და ცხრა შვილიშვილი მდგარა იმ შაბათს მონპელიეში ბაბუას გაჭრილ სამარესთან.

ხოლო მისი და ამ დროს უკვე თბილისში იყო. ისე უნდოდა ჩემი საქართველოში წამოსვლა, რომ გადამედო და გაეგო, ძალიან ეწყინებოდა, ქალბატონმა ნათელამ. გარდაცვალების წინა დღეს ჩასულა მონპელიეში და უნახავს სულთმობრძავი. მეორე დღეს წამოსულა საქართველოში წინოსთან ერთად.

მე გავიხსენე რეზო ნიკოლაძის ემოციური გამოსვლა ნიკო ნიკოლაძის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე თბილისში. გავიხსენე მისი სიტყვა ყოველთა ქართველთა კონგრესის დახურვაზე, სადაც იგი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის სახელით გამოვიდა. გავიხსენე ჩვენი ორდელიანი მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. გავიხსენე და-ძმა ნიკოლაძეთა სტუმრობა ჩემთან სახლში.

მერე უხერხული პაუზა ჩამოვარდა და ქალბატონმა ნათელამ დელიკატურად გადაიტანა საუბარი ჯერ იმ წიგნზე, რომელიც ის-ის იყო მივართვი, მერე თავის ოჯახურ ბიბლიოთეკაზე, უფრო მერე გიორგი ნიკოლაძეზე და ბოლოს თავის დეიდაშვილზე — ნინოზე.

ნათელა ნიკოლაძის მეუღლე, ლუი ვილეკურტი ნახევრად ესტონელი იყო. ტარტუში სწავლობდა სამართალს. დიდხანს მუშაობდა ევროსტრუქტურებში ტექნიკისა და ხელოვნების დეპარტამენტების მთავარ ადმინისტრატორად და ოჯახიც დიდხანს ბრიუსელში ცხოვრობდა. შარშან აპრილში გარდაიცვალა 84 წლისა.

ნათელას და ლუის ერთი შვილი ჰყავდა — სოფია ვილეკურტი, რომელიც ერთხანს სკოლაში მასწავლებლობდა, მერე სკოლის დირექტორიც იყო, ახლა კი საფრანგეთის განათლების სამინისტროს ერთერთ რეგიონულ სტრუქტურაში მუშაობს. სოფოს ორი ბიჭი ჰყავს — ალექსი და მიქაელი.

მთელი თავისი ბიბლიოთეკა — წიგნები თუ ჟურნალები ნიკოლაძე-ვილეკურტების ოჯახს აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ეროვნული ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის გადაუცია პარიზში. ხოლო ხელნაწერები და სხვადასხვა საარქივო მასალა ნათელა ნიკოლაძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ჩამოუტანია.

სწორედ ამაზე მესაუბრებოდა ნათელა, რომ წინიც მოვიდა იმ თავისი 20-ლარიანი ტაქსით.

ნინო სტიუარტი ჟორჟეტა ლამბაშიძის და მოტლანდიელი გენერალ-მაიორის რო-

ბერტ ნილ სტიუარტის ასულია. რობერტ ნილ სტიუარტი ერთხანს რაგბისტი ყოფილა, მერე პროფესიონალი სამხედრო სამსახურში შევიდა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში თბილისსა და ბათუმშიც უმსახურია, როგორც დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარის ოფიცერს, მოტლანდიელთა ბატალიონის მეთაურს და სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელს.

ნინომ მეილი მისწერა და იმავე საღამოს ჩემმა მოტლანდიელმა კოლეგამ რიჩარდ ბათმა ჟურნალ „სკოტიშვილდში“ დაბეჭდილი თავისი ნარკვევი გამოგიგზავნა რობერტ ნილ სტიუარტზე. ამ ნარკვევიდან გავიგე, რომ ნინოს მამა დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო ჯვრისა და საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ყოფილა.

რიჩარდ ბათის ნარკვევიდან გავიგე აგრეთვე ვიქტორიანელი ჯენტლმენისა და თავგადასავალი მაძიებლის, ნილ სტიუარტის ჟორჟეტამდელი თავგადასავალი: მას შემდეგ, რაც 1921 წელს სამხედრო კარიერა მიატოვა და პროფესიონალი მრბოლელი გახდა, იგი გლამურულ გუნდა იანსონს გადაეყარა — მოტომბროლს, რომელიც პრესის მიერ „სიჩქარის დედოფლად“ იყო მონათესაო. გენერალ-მაიორ ფრედერიკ მენლი-გლახის ქალიშვილი მას შემდეგ დაინტერესდა მოტომბოლებით, რაც „სპაიკერის“ საავტომობილო კომპანიის დირექტორის, პოლკოვნიკ სემ იანსონის ცოლი გახდა 1920 წელს. მომდევნო ორ წელიწადში გუნდა გლახმა ორი რეკორდი დაამყარა — 1000 მილზე და 12-საათიან რბოლაში. მაგრამ, რიჩარდ ბათის სიტყვებით, როგორც ჩანს, იგი ვერ ხარჯავდა მთელ თავის ენერჯიას მოტომბოლის ტრასებზე და იმდენად დაუახლოვდა ახალგაზრდა მოტლანდიელს, რომ 1923 წელს ქმარს გაშორდა. ნილ სტიუარტი გაერიდა დაძაბულ სიტუაციას და მთელი 18 თვით ალასკაზე გადაიკარგა, სადაც ოქროსმადიებლებს შეუერთდა და სხვათა შორის ამერიკის უმაღლეს მწვერვალ მაკინლიზეც ავიდა. 1924 წელს მას გუნდამ ჩააკითხა და ცოტა ხანში იქორწინეს კიდეც. ისინი მსოფლიოს ყველაზე სწრაფ წყვილად შერაცხეს. ნილი რეკორდს რეკორდზე ამყარებდა, მაგრამ გუნდმა, რომელმაც ლემანში გაიმარჯვა და 24-საათიან რბოლაში რეკორდი დაამყარა, მაინც უფრო წარმატებული იყო. მერე იგი სულაც მსოფლიოს უსწრაფესი ქალი გახდა, როცა საათში 135 მილი განავითარა ბრუკლანდსში „მახერატის“ ძრავიანი „დერბის“ მანქანით.

1927 წელს მსოფლიოს უსწრაფესი წყვილი დაიშალა, თუმცა მათი განქორწინება საბოლოოდ მხოლოდ 1935 წელს გაფორმდა. იმ წელს გარდაიცვალა ჩარლზ სტიუარტი, ნილის მამა და ისიც იძულებული გახდა მოტლანდიაში დაბრუნებულიყო მემკვიდრეობის გასაფორმებლად.

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ნილი და გუნდა საფრანგეთიდან ინგლისში გა-

დავიდნენ და ნილმა კიდევ ერთხელ გააკვირვა თავისიანები, როცა გადაწყვიტა თავისი ცოდნა ძრავებში და სისწრაფისადმი ლტოლვა ამჯერად ზღვაზე გამოეყენებინა. მან ძლიერი ამერიკული გემი იყიდა და რამდენიმე მოკლე რეისიც განახორციელა. მერე ამასაც არ დასჯერდა და 1929 წელს ჩქაროსნული კატერი ლონდონიდან ოსლოში ჩავიდა აბერდინის გავლით. მასთან ერთად იყვნენ გუნდა, რომელიც უკვე აღარ იყო მისი ცოლი, და მენავე უოლი სვიფტი. ამ საკმაოდ რთულმა მოგზაურობამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. ამის შემდეგ ნილ სტიუარტი ხმელთაშუა ზღვაში აპირებდა გასვლას, მაგრამ იახტებისა და მოტორიანი ნაგების ბაზარი ერთბაშად მოირღვა და იგი იძულებული გახდა საფრანგეთში, მისი სიტყვებით, „საინჟინრო საქმისთვის“ მოეკიდა ხელი, რაც სინამდვილეში იარაღით ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. მერე ამასაც დაანება თავი და თევზაობაზე გადაერთო. მეთევზე კი ისეთი იყო, რომ ბოლოს თევზაობის სახელმძღვანელოც დაწერა.

ხოლო გუნდა თავის ერთ-ერთ მექანიკოსს, დუგლას ჰოუკს მისთხოვდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი საბერძნეთის კუნძულ პოროსზე დასახლდნენ. გუნდა პოროსზე გარდაცვალა 1990 წელს 96 წლისა.

რიჩარდ ბათის ნარკვევს „სკოტიშვილდში“ ნილის ფოტოები კი ერთოდა, მაგრამ მხოლოდ როგორც მეთევზისა და მოტომბოლელისა. მე კი იგი, პირველ ყოვლისა, სამხედრო უნიფორმაში წარმომიდგინა.

მეორე დღეს ნინოს ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდლის გენერალ ჯორჯ მილნის და მისი შტაბის ფოტო ვაჩვენე, ამათ შორის ხომ არ არის მათათქვინი-მეთქი. ეს ფოტო პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ გამომიგზავნა ჩემი თხოვნით. ნინომ ერთი შეავლო ფოტოს თვალი და, — არა, მამაჩემი მოტლანდიელთა ბატალიონის მეთაური იყო, კლდე ეცვო. მერე შემპირდა, მინ რომ დავუხრუნდები მამაჩემის იმ პერიოდის ფოტოს გამოგიგზავნითო.

როდესაც დაქვრივებული ჟორჟეტა პარიზში ჩავიდა, ბრიტანელ ოფიცერი უკვე გამოჩენილი იყო პირველ მეუღლეს და ჟორჟეტასთვის ხელი უთხოვია. ამას თავიდან შორს დაუჭერია, მე ისეთი კაცის ცოლი ვიყავი, მეორედ გათხოვებაზე ვერ ვიფიქრებო, მაგრამ მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, ახლობლების რჩევით, დათანხმებულია. გიორგი ნიკოლაძე ჟორჟეტაზე 15 წლით იყო უფროსი, ნილ სტიუარტი — 12-ით. ერთი ქართველი იყო, მეორე მოტლანდიელი. ორივეზე პარიზში იქორწინა 10 წლის შუალედით.

წლების მერე ჟორჟეტა სიამაყით ამბობდა, — ორი ქმარი მყავდა და ორივე ინტელექტუალი და სპორტსმენი იყო.

სპორტსმენობაში აქ ჟორჟეტა ტანვარჯიშსა და მოტოკროსს კი არა, ძირითადად ალბათ ალპინიზმს გულისხმობდა. მისმა ერთმა მეუღლემ საფუძველი ჩაუყარა ალპინიზმს მსოფლიოს ერთ მეექვსეზე, მეორემ კი — ამერიკის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო.

მეორე ქორწინებისთვის ჟორჟეტას დაბადების მოწმობა დასჭირვებია, რისთვისაც ისევე საბჭოთა საელჩოში მოუწია მისვლა.

: უკიდურესად უკმეხად შემხვდნენ, — იგონებდა ჟორჟეტა, — რისთვის გჭირდე-

ბა დაბადების მომზადება, მკითხველს ავუსხუენი, რომ დაქორწინებას ვაპირებდი. გადაწყვიტეს, გაეკვირა: „ვინ არის ის კაცი, ვიზედაც უნდა იქორწინოთ?“. „ბრიტანეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკია“. „ახლა რას აკეთებ?“ — განაგრძეს დაკითხვა. ვუპასუხე, შოტლანდიაში მამულის მესაქონლე-მეთქი. „ოჰ, მამ პურყუა ყოფილა! თქვენ გესმით, რომ თუკი იმ კაცზე დაქორწინდებით, საბჭოთა მიწაზე ფეხის დადგმას ვეღარასოდეს ეღირსებით!“ დარწმუნებული ვარ, არც არასდროს გამიჩნდება ამის სურვილი-მეთქი, მივუგე და მყისვე მივხვდი, ამის თქმა არაფრისდებოდა არ შეიძლებოდა (მე ხომ საბჭოთა საელჩოში, საბჭოთა ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი). კარისკენ გავექანი და თავქუდმოგლეჯილი გამოვევარდი გარეთ. შორს ამ შემზარავი გარემოდან! დავრჩი დაბადების მომზადების გარეშე, თუმცა უიმისოდაც დავექორწინდით — 1914 წლის ომში ნილის მიერ მიღებულმა საპატიო ლეგიონის ორდენმა გვიშველა: ამ ჯილდოს ხათრით ქალაქის მერმა დაქორწინების ნება დაგვართო. :

მრავალი წლის შემდეგ ნინო სტიუარტმა თბილისში მოიხიდა დედამისის დაბადების მომზადება. აი, ეს საბუთი ჩვენს წინ დევს მაგიდაზე. ჟორჟეტას დაბადების მომზადება შორის მანობის სოფელ ყვირილის წმ. დავით და კონსტანტინე ყვირილის 1908 წლის სამეტრიკო წიგნის 24-ე მუხლის ჩანაწერის საფუძველზე გაუცია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 1927 წლის 11 აპრილს.

1927 წლის მაისში ჟორჟეტამ გიორგი ნიკოლაძე დაინერა ჯვარი და ეს საბუთი, ჩანს, სწორედ ქორწინების გასაფორმებლად გამოითხოვა თბილისიდან. ეტყობა, მაშინ ამის გაკეთება შედარებით ადვილი იყო.

არ არის გამორიცხული, რომ ჟორჟეტას მეორე მეუღლე ჯერ კიდევ იმ პერიოდში ტრიალებდა მის გარშემო.

1927 წლის 24 თებერვალს, როცა მათი მეგობრობა უკვე სიყვარულში იყო გადაზრდილი, ჟორჟეტა გიორგი ნიკოლაძეს სწერს თავის ერთ ინგლისულ მეგობარზე, რომელიც, ვინ იცის, იქნებ სწორედ ნილ სტიუარტი შეიძლება იყოს, თუმცა მოგონებებში ჟორჟეტა წერს, ნილი გიორგის გარდაცვალების მერე გავიცანი. ან იქნებ ის ინგლისელი გამოგონილი პერსონაჟი იყოს — რჩება შთაბეჭდილება, რომ სასიყვარულო მიმონერის დროს გიორგი და ჟორჟეტა ერთმანეთს სხვადასხვა რეალური თუ გამოხატონი საბაბით აეჭვიანებდნენ.

: მე რომ ინგლისელ მეგობარზე გელაპარაკეთ, ის მართლა დიდი მეგობარია, მაგრამ არის ზოგიერთი რამე (როგორც მას ინგლისელს და მე ქართველს), რომელიც ერთმანეთს ვერ გავავალოთ. არის რაღაც პატარა ხიდი ჩვენ შორის, რომელიც ზოგჯერ ძალიან დაგვაშორებს ერთმანეთიდან. იმასთან მე დროს ვკლავ, ვერუბნები ბევრ რამეს ჩემზედ, ის მიამბობს თავის ამბავს, ვკითხულობთ ერთად, ვლაპარაკობთ ბევრს, მაგრამ ჩემ გულთან და სულთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს სულიერი და გულის მისწრაფება შენსკენ არის და დარჩება, თუ გინდა სამუდამო დადგომადეო. მე იმ ადამიანს რომ ვუთხრა, ჩემო კარგო, რომ მე ასეთი გრძობა მაქვს შენდამი, ვერ გამიგებს... :

ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის მეორე მეუღლის შესახებ ჟორჟეტა ლამბაშიძე დაწერს:

: აქ მე უკან უნდა დავიხიო და ერთი-ორი სიტყვით მოგიხროთ, თუ როგორ განვითარდა ჩვენი ურთიერთობა, რომელიც 1937 წლის 20 აპრილს ჩემი და ნილის ქორწინებით დამთავრდა. ნილი საქართველოში მენშევიკების რეჟიმის დროს 1921 წელს იმყოფებოდა — ქართველებსა და სომხებს შორის მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას თავმჯდომარეობდა. იმ დროს იქ შოტლანდიელ მებრძოლთა ნაწილი იყო განთავსებული. გაგონილი გვექონდა, რომ მათ შორის იმყოფებოდა ვიცე-პოლკოვნიკი სტიუარტი, ხშირად ვხვდებოდით მას თბილისის ქუჩებში ამხედრებულს. მისი შტაბ-ბინა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, ჩემი სკოლის მახლობლად. საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით. ქართული საზოგადოება სხვადასხვა სახეობის თავყრილობაზე იწვევდა — სადილ-ნეველებზე, საბალეტო წარმოდგენებზე და სხვა, მაგრამ მას, როგორც სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს, მიაჩნდა, რომ ვერ მისცემდა თავს უფლებას ამგვარი მონაწილეობის მიღება. ჩვენი სახლი ფრანგებს, ამერიკელებს ხშირად მასპინძლობდა, მაგრამ ჩვენთან ნილის სტუმრობა არ შეეძლო. პარიზში რომ ვნახე, უკვე ექვსი წლის ნაცნობები ვიყავით, საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვიხსენებდით გარდასულ დღეებს, თბილისის ამბებს. :

არა მარტო ფრანგებსა და ამერიკელებს, ვახტანგ ლამბაშიძის სტუმართმოყვარე ოჯახი ინგლისელებსაც მასპინძლობდა ხოლმე. ხშირად დადიოდა მათთან დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში ოლივერ უორდროპი. ვახტანგ ლამბაშიძის გადაღებულია ოლივერ უორდროპის ის ცნობილი ფოტოები მისი რეზიდენციის (დღევანდელი მწერალთა სახლის) აივანზე 1920 წელს. უორდროპი იმ პერიოდში ავადმყოფობდა და ვახტანგი ფაქტობრივად მისი პირადი ექიმი იყო. თამადაობას ასეთი შეკრებებზე ჩვეულებრივ რომელიმე ლამბაშიძე კისრულობდა — ან ვახტანგი ან მისი ძმა დავითი, როცა ის საქართველოში იმყოფებოდა. მაგრამ ნილ სტიუარტი კერძო სტუმრად არასად დადიოდა — ის ნეიტრალური ოლქის გუბერნატორად იყო დანიშნული, მხარეთა შორის შუამავლობა ევალებოდა და როგორც მოვალეობის ერთგული სამხედრო პირი და ნამდვილი ბრიტანელი ჯენტლმენი, ცდილობდა, პირად ურთიერთობებშიც ნეიტრალობა შეენარჩუნებინა.

ნილ სტიუარტმა პირველი მსოფლიო ომი პოლკოვნიკის წოდებით დაამთავრა და ამის შემდეგ მიავლინეს კავკასიაში. იგი გუბერნატორად დანიშნა ნეიტრალურ ზონაში, რომელიც ბორჩლოს მახრასა და ახალქალაქის რაიონს აერთიანებდა. შტაბ-ბინა ქალაქ ალავერდში ჰქონდა, ლორეს პროვინციაში. ინგლისში დაბრუნებულმა დაასკვნა, რომ სამხედროების ცხოვრება მშვიდობიან პერიოდში მოსაწყენი იყო და არც სამსახურებრივი წინსვლის პერსპექტივა ჩანდა, მით უმეტეს, რომ დიდი ვახლდათ უფროს ოფიცერთა რაოდენობა. ამიტომაც გადადგა სამხედრო სამსახურიდან 1921 წელს.

ნილ სტიუარტის წინაპრები მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებას იყვანენ ჩვეულებრივ. შვილებს კლასობრივი განსხვავებებისა და მკაცრი მორალური კოდექსის შეგნებით ზრდიდნენ, უნერგავდნენ მას სამშობლოსა

და მონარქიის სიყვარულს და მოვალეობის გრძობას ქვეყნისა და თანამემამულეთა წინაშე. უფროს შვილებს საკუთრების მოვლა-პატრონობას ასწავლიდნენ, უმცროსებს არმიაში ან ეკლესიაში უშვებდნენ. ამიტომ იყო, რომ ოჯახი გაკვირვებული დარჩა, როცა ნილ სტიუარტი სამხედრო სამსახურიდან გადადგა სულ რაღაც 30 წლისა. კიდევ უფრო დიდი იყო ოჯახის ნევრთა გაოცება, როცა ნილმა ჯენტლმენისთვის ყოვლად არასაკადრისი საქმიანობა — მოტომობილეობა გადაწყვიტა. თავად ნილ სტიუარტი კი მუდამ ამბობდა, რომ არასოდეს უნანია თავისი გადაწყვეტილება და პირიქით — ამაცობდა კიდევ რომ ასეთი არჩევანი გააკეთა.

პატარა სახლი მაქვს შოტლანდიაში და ერთი ძველი მოტოციკლეტი, რომელსაც გაჭირვებით ვმართავო, უთქვამს ჟორჟეტასთვის შოტლანდიაში გამგზავრებამდე ნილ სტიუარტს, უკვე მის მეუღლეს.

სინამდვილეში „ძველი მოტოციკლეტი“ სარბოლო მოტოციკლის უახლესი მოდელი აღმოჩნდა, ხოლო თავად რობერტ ნილ სტიუარტი ცნობილი მოტომობილეელი ყოფილა, არაერთი რბოლის გამარჯვებული, არაერთი რეკორდის მფლობელი.

მაგრამ ნილ სტიუარტის მთავარი გატაცება არა მოტოსპორტი, არამედ თევზაობა იყო. ომებს შორის შუალედში სხვა თითქმის არაფერი აინტერესებდა. სეზონურად ქირაობდა თურმეთელ მდინარეს ან ტბას სადმე ისლანდიასა თუ ნორვეგიაში და თევზობით თევზაობდა. ანკესის გარდა სხვა არაფრით უთევზავია. პატარა თევზებს უკან აბრუნებდა წყალში. ერთი ზაფხულის ერთ თვეს 107 ორაგული დაუჭერია და 70 სანტიმეტრზე ნაკლები არცერთი არ ყოფილა. არაერთი წიგნი აქვს დაწერილი მეთევზეობაზე. ხოლო მის მთავარ წიგნს, რომელიც 1953 წელს გამოიცა, „ნატურალისტის ფიქრები“ ჰქვია.

რაღაც შეეხება „პატარა სახლს“, როცა გენერალმა პირველად ჩაიყვანა ჟორჟეტა თავის სამშობლოში, ის თურმე მანქანის ფანჯრიდან გაფაციცებული ათვალაიერებდა გზის პირას ჩაირგებულ პატარა, კოხტა სახლებს, ნეტა რომელია ჩვენიო.

— ეს არის? — მანქანის თითოეულ შეჩერებაზე ეკითხებოდა თურმე მეუღლეს, რომელიც ყოველ ჯერზე დიმილით პასუხობდა, არა ეს არა, უფრო შორს არისო.

ჰოდა, უფრო შორს რომ წავიდნენ და შოტლანდიის მთიანეთს რომ მიაღწიეს და სოფლებიც რომ აღარსად იყო და მხოლოდ აქა-იქ ჩნდებოდა მწვანე ჩაფხული ვეება სასახლეები, მანქანა ერთ-ერთი მათგანის წინ გაჩერდა, ხოლო სასახლიდან მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები გამოეფინნენ და თავიანთ ძველ ბატონსა და ახალ ქალბატონს შეეგებნენ.

მას შემდეგ ჟორჟეტა ლამბაშიძე ამ სასახლეში ცხოვრობდა 1981 წლამდე, გარდაცვალებამდე.

აქ ჟორჟეტამ ახალი ცხოვრება დაიწყო, მეთხე თუ მეხუთე ცხოვრება: ბავშვობა საქართველოში, ლტოლვილობა ჯერ კონსტანტინოპოლსა და შემდეგ პარიზში, გიორგი ნიკოლაძის ცოლობა და აი, ბოლოს — ნილ სტიუარტი.

აჩვენე, ერთი, შენი სახლიო, — გადაულაპარაკა ნათელა ნიკოლაძემ და ნინო სტიუარტი თავის პლანშეტზე მაჩვენებს მამისეულ სასახლეს. ხომ არ გაგონათ, თავის ფაილბუქში შევიდა. არა, დაგუგავა „კინლოხმოიდარტი“ და მსოფლიო აბლაბუდამ მისი „სახლის“ უამრავი ფოტო ამოყარა.



ჟორჟეტა შოტლანდიაში

ეს ვიქტორიანული სასახლე დიდი ბრიტანეთის მატერიალური კულტურის ძეგლია და მას სახელმწიფო იცავს. და როცა რამდენიმე წლის წინათ მისი რესტავრაცია გახდა საჭირო, სახელმწიფომ მთელი თანხის 80 პროცენტი გაიღო. დანარჩენი 20 პროცენტი კი ნინო სტიუარტმა მოიხიდა. გარდა იმისა, რომ იგი ნინო სტიუარტის სახლია, დღეს ეს სასახლე 4 ათას აკრზე გადაჭიმული თავისი ულამაზესი შემოგარენით და მრავალრიცხოვანი ნაგებობებით შექმნილი ხალხის საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახლავთ. მას ერთდროულად რამდენიმე ათეულ ადამიანს შეუძლია, უმასპინძლოს. ასე რომ, თუ რომელიმე ახალშეუღლებული წყვილი თავლობისთვის გატარებას უცხოეთში გადაწყვეტს, ვურჩევ, საამისოდ შესარჩევ ადგილთა შორის კინლოხმოიდარტიც შეიგულოს.

: კინლოხმოიდარტი ჩემთვის ძალზე ძვირფასია, — იხსენებდა ჟორჟეტა ლამბაშიძე, — მიხარია, რომ ნინო, მრავალი სიძნელის მიუხედავად, ცდილობს, არ მოწყდეს ამ ადგილს და, ღმერთს ვთხოვ, დაუფასდეს ის შრომა, რასაც აქ დებს. ჩემთვის კი ეს მშვენიერი ადგილი უამრავი მოგონებას ალმძვინვარებს და სწორედ აქ მენატრება ნილი ყველაზე მეტად. პარიზი ჩემთვის რაღაც ჯადოსავით იყო, მეგონა, მუდამ მისი მონატრული ვიქნებოდი, მაგრამ კინლოხმოიდარტი პარიზის მაგიერი გახდა და აქ ძალზე ბედნიერი ვიყავი. :

არ არის გამორიცხული, რომ შოტლანდიაში გათხოვებამ ჟორჟეტა საბჭოთა უშიშროების საშიშროებისგან იხსნა. თავის მოგონებებში იგი წერს:

: გიორგის დისგან წერილი მივიღე. მწერდა, თურმე ქუჩაში ბერია მეხვედრია (თბილისში ჩვენი სახლის პირდაპირ ცხოვრობდა) და ჩემი პარიზში ყოფნის ამბავი ვერ დაუმაღავს. ბერია გამშაგებულა და უთქვამს: „არა უშავს, სადაც უნდა იყოს, მაინც მივწვდებიო“. შიშმა შემიაყრო. მას მერე ხშირად მესიზმრებოდა, თითქოს ბერია ჩემს დაჭერას ლაპობდა. მე ვკვირდებ, ახლა ვერაფერს დამაკლებთ, ბრიტანეთის მოქალაქე ვარ-მეთქი... მერე ვიღვიძებდი და როცა ვხვდებოდი, ეს მხოლოდ მოლანდება იყო, ვწყნარდებოდი. ამგვარი სიზმარი წლების მანძილზე, სტალინის სიკვდილამდე და ბერიას დახვერტამდე არ მასვენებდა. :

დასასრული მე-6 გვერდზე





ყარამან ჯიქურაული

ორი სანთელი

სამი წლის ვიყავი, მკითხავემ დედას რო უთხრა: „ორი სანთელი გინთია“. ჩემი და ჯერ არაა მოსული. ჯერ მარტო კენტად ვუნათებ წყვილ მშობელს. ორი წლის შემდეგ მრწემი დედამამიშვილი შემომეშველა დედ-მამის თვალისჩინობაში. მას მერე დადის ხელსანთლიანი დედაჩემი და გული არასდროს ეწვის, მხოლოდ თითებზე თუ შეიბერავს სულს ხანდახან.

* გათენდა. მთვარე ისევ ჩანს. ცას უძილობა ატყვია. ირგვლივ ათიოდ ვარსკვლავი, როგორც დამცდარი ცხრა ტყვია...

* ერთხელ შეყვარებულმა მითხრა: „შენ ანგელოზი ხარ, მაგრამ შენ ეს არ იცი და მე გეხმარები ამის გაგებაში“... მაშინ ეს სიტყვები გრძნობიერი ადამიანის სუბიექტურ შეფასებად მივიღე, თუმცა გულზე კი გადამიარა. წლების შემდეგ, როცა თავს და შეყვარებულის (იმ) ნათქვამს ჩავუკვირდი, მივხვდი — ის შეიძლება, მართალი იყოს: არ მაქვს საკუთარი ხმა, მთელი ცხოვრებაა, ვცდილობ, სხვათაგან გადმოვღებულ მოდელებით ვიცხოვრო, სხვების გახარებას კი მხოლოდ ჩემი დახმარებით ახერხებენ.

ციკლიდან „მიძღვნა ბრძენი ტაქსტზე“ ელურსამეთში ზანგი ბერი ქართველებს აუყვანიათ და ქართულ წესზე ალოცინებდნენ. სახელიც შეარქვეს — მოსე შავი.

* ანაფორით შავიმოსე და დამერქვა მოსე შავი.

* სანამ პაპაკ სასანიჩი არ გათელავს არშაკიდებს, მანამ თავის იატაკგანს ზიქურათში არ შაკიდებს.

* სულის ამსოფლიდან იმ ქვეყნად განოვას ზუსტად იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც სენსოდინის სტანდარტული ტუბიკის დაცარიელებას კბილის გასახეხი სუბსტანციისგან. იმ დღეს გამოვთვალე და 39-ე დღეს გადმოვწრიტე ნაბოლარა.

* ჩემი მომდევნო დღე შედგება იმ კითხვებზე პასუხების ძებნიდან, რომლებიც ძილისწინა ბოლთისცემისას გამიჩნდა.

გალა და ქართული მითოლოგია

„თეთრი მთის ქორი თერგვაული“ ბგერწერით ზუსტად ისეთივეა, როგორც: „ქალაქზე ნელმა აღმა იფეთქა“... მე, როგორც ფხოვის მითოსა და პოეზიაში სახლიკაცად მყოფი, გეტყვით, რო ეს ერთი და იმავე კაცის დანერლია.

პოლიტიკური ქორნიება

— შვილო, დაბეჭდე ლექსები, იქნებ ვინმე გოგო გაიცნო. — არ მომწონს, დედა, ლიტერატორი გოგოები. მე მომწონს ნიკორას კონსულტანტი. — ის ოთხას ლარზე მუშაობს და შენი შესანახი იქნება. შენი ლექსებიც კი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მისი ლამისთევანი. მე კი სულ თვალწინ მიტრიალებს მისი მტევანი როგორც არჩვეულებრივად გადამწყვეტილი რომანის ფინალი.

* აივანზე ვარ. სუნი მოდის რძეში მოხარული მაკარონის. ბავშვობის ლეთაზე მიმაცურებს, თანაც განევა აქვს ცხრა ქარონის.

* გეიმა, შენი სინმინდე არ გეიშა.

* ნეტა რა ბედი ენია იმ კაცს, გზა რომ მივასწავლე? შუა მხიარულებაში ვლონდები, ფიქრი მანვალებს.

* მოიარე, საცა კაცი თავის ფეხით მივა: მერვი, ბალხი, სამარყანდი, ბუხარა და ხივა. გურიის ხმა თან გდევს მაინც: „კატა რაფერ კივა?“

* აღარ გამაგონოთ ადამიანის ნადრევედ წასვლა! ყველანი ერთად მივდივართ, აქ ყოფნას რო მოვიწყენთ...

* 18 წელი სოფელში შემისრულდა, იმ დროს პაპასთან ვცხოვრობდი, შუადღეს ამოვიდა აივანზე, სადაც ვკითხულობდი ხოლმე და 2 წიგნი დამიდო: დეკამერონი და რ. სტრიტის „სქესობრივი ცხოვრების კულტურა“. ეს იყო კომბინირებული თერაპია იმისა, რასაც ფშაველი ქალ-ვაჟები 14-18 წლის ასაკში ნაწლობისას აკეთებდნენ — ორპროცენტით ერთმანეთის შექცევა და ფიზიოლოგიური ჩხირკედელაობით ურთიერთის ანატომიური თავისებურებების შეცნობა — ცოცხლად, სექსის გარეშე, ნატურალურად. ისინი სიცოცხლისთვის აუცილებელ ამ საქმიანობას ისეთი ფილიგრანული ოსტატობით ეუფლებოდნენ, როგორც რენესანსის დასტაქართა მონაფეხები მკვდრის სხეულზე მუშაობისას ქირურგიულ ცოდნას, — ვერმეერისა და რემბრანდტის ფერწერულ ტილოებზე.

* დაიწყო ზაფხულის წვიმა, ანგელოზების ტირილი, მინა უმშრალეს თვალეზსა და თან ატირებს გვირილით.

* მე და ვაჟა-ფშაველას ის საერთო გვაქვს, რო მეოცე საუკუნეში ორივემ 15-15 წელი ვიცხოვრეთ.

* ჩემს სიყვარულს იმდენი კრისტალიზაცია აქვს, ამდენივე კარატიანი ბეჭედი გაკეთდება მისგან.

* ერთი შავტუხა გოგოა, იმისი ნდომით ვინვები, სუ მუდამ თვალწინ მიდგანან იმის თმა — თვალნი, კინვები. შინ მივალ, დავსაგონდები, ხელ-ფეხს ვერ გავძრავ — მივწვები.

* ცოცხალ-მკვდარი ვარ. ალბათ ამიტომ ვჯობივარ მკვდრებსაც და ცოცხლებსაც.

* ის ღორი რო ჩამოვირეკე, სუ ცემა-ცემით ჩამოვარბოლე დამრეც ეზოზე. ისეთი სიჩქარე, რაც მაშინ ავკრიფე, — ცალკერძ — ღორის დევნაში, ცალკერძ — მისთვის დაშენილი კეტის სიმრავლეში, ძველ ფილმებშიც არ მინახავს, მინახავს მარტო ძველ მულტფილმებში. თითქოს ჰერმესის სანდლები ამოესხას ჩემთვის ვინმეს მალულად. იმ დინგით შემოვლევდილ კარამდე ასე მივყევი და პატრონის ფეხებთან დავუშვი მხოლოდ დამცხრალი სახრე: თუ კიდე შემოსულა, ამისგან მწვადებს ამოვასხამ, როგორც ვინმე იდუმლივ ჩემს ტერფებზე ჰერმესის სანდლებს, როგორც მოთმინების ჭურჭელში ბრაზსა და ბოლმას. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზიანი კაცია, არაფერი უთქვამს.

* ჩემს სტუდენტობას, გიორგი მესამის დროს, ბევრი გასართობი არა იყო რა.

1173-ში,
 თუმცა ბიძაჩემს
 მამაჩემისთვის მიცემული პირობის
 შესრულება უნევედა,
 საბერძნეთს გამგზავნა
 სხვა 39 ახალგაზრდასთან ერთად.
 რადგან იყალთოსა და გელათის დიპლომები
 ბოლომდე აღიარებული არ იყო ბიზანტიისგან,
 ამიტომ ათინას აკადემია გავასრულე.
 დაბრუნებულს,
 ჩემი ბიძაშვილი 17 წლისა დამხვდა,
 სამყაროსავით დასრულებული
 შვიდივე მნათობის შუქს იყენებდა თვალებში.
 შემეყვარდა და ამის დასაფარავად
 ბიძას პირობის შესრულება მოვთხოვე.
 პასუხად თვალები დამწვა...
 და მე,
 ორივე თვალით უშტარმა,
 რომელსაც დედის ცოლად შემრთველის
 სასჯელი მარგუნეს
 (მამის ძმისშვილის სიყვარულისთვის)
 ოდიპოს მეფის ხვედრისამ,
 ტანჯვაში თვალახელილმა
 ყველაზე შორს გავიხედე
 და სოფოკლეს უჭკნობი დიდება მოვიხევეჭე.
 ჭეშმარიტად გეუბნებით,
 მე, რუსთველი, ხელობითა —
 დემნა ბატონიშვილი.

*
 554 წელს,
 ხობისწყალთან,
 მოჰკლეს გუბაზი — ლაზიკის მეფე.
 როცა ცხენზე ჯდებოდა, ლალატი მოკლეს.
 იმავე წელს
 ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა
 ორი მდინარის შესართავთან,
 ქურანის ზურგივით მაღალ ქედზე,
 მონასტერი ააგო,
 რომელსაც იმ მეომრის სილუეტი აქვს —
 ვინც სასიკვდილოდ ამართულმა
 რალაცის თქმა დააპირა,
 მაგრამ ვერ მოასწრო...
 უთქმელი სიტყვები ქართლში გადმოფრინდნენ
 და მდინარის პირას,
 ცხენის ქედით უღალატო გორაზე,
 თავზურჩიანი მეფის ძეგლად იქცნენ —
 უფრო მაღალი ტრიბუნებიდან
 ჩვენთვის ხმა რომ გადმოეწვინათ.

**ჯარ ისევ გაჰყვია სიკვდილი —
 თავდაც არ იცის, რას აკეთებს
 მეგობარს, რომელსაც არ ვიცნობდი...
 ნეკერასადმი...**

რამდენჯერ უნდა ვიტყვო
 მე, კაცმა, ქალო ნეკერო,
 იქნება იცი წამალი,
 თვალნი რომ ამომეკეროს?
 რომ მეტად ველარ ვიხილო
 შენი ღიმილის ნათელი,
 მუჭში კრთის ველის ღილილო
 ბავშვის ხის ცელით ნათელი...

*
 რა მაგარია, ქალს მშობარაც რომ ეყვარები.
 შეშინებული დას და დედას აღარ ვუნდივარ.
 ასეთი ქალი, აბა, სად ვნახო?!
 არადა, საჭიროა.
 ერთხელაც ხო იქნება, —
 შიშს შიშველ ხორცზე
 გამბედაობის ძონძებს ველარ გადააფარებ,
 ვერც არტისტიზმის ნიღბით შეძლებ,
 სახე შეუმკო.
 სარცხვინელივით გამოჩრდილი
 ხალხში თავს მოგჭრის.

*
 მარჯანიშვილზე, თეატრის გვერდით ბართან,
 ერთმა გოგომ მეორეს ჰკითხა:
 „არასოდეს იცინიხარ?“
 გავიარე და გამეფიქრა:
 — მე არასოდეს ვიცინივარ,
 მაგრამ ხანდახან ვიცინი...
 განა არტისტი ვიცინი ვარ,
 სულ თან რო მდევდეს სიცილი.

*
 ჩემკენ მოდის გოგო და
 ტროტუარზე გადმოშვებული
 ნეკერჩხლის ჩრდილის ხალიჩას მოერიდა,
 კრძალვით გვერდი აუარა.
 ხის სულს არ გადააბიჯა.

*
 ნაკებრ ვაშლს ისე შერცხვა სიშიშვლის,
 დაილია და მყისვე გაშავდა...
 *
 ედემურ ყოფას განგვისაზღვრავს სხვის გულში ყოფნა.
 გვაძევენ და იმწუთშივე ვკარგავთ სამოთხეს.
 ტყეები გვქონდა და შეგვეძლო, სხვებისთვის ჯობნა,
 ახლა ჩვენ ირგვლივ
 ველარ ვხედავთ ერთად სამ-ოთხ ხეს.

*
 გილგამეში და ილიადა ორ სტრიქონში:
 ფერი დაედო შორით მომავალის,
 შეეძლო დანახვა შორი მომავალის.

*
 იმ ხილს, რასაც ვყიდულობდი,
 აღმოაჩნდა ნიტრატები,
 მეც არა ვთქვი, რეტ რად მესხმის,
 უღვინოდ რად ვიტრიტები.


*
 ყველამ ხმალი მოგვიღერა,
 ნალესი თუ ულესი,
 ამიტომაც გავხდით ერი
 უაგრესიულესი.

*
 დავით გარეტი გერმანიაა.
 დავით გარეჯი საქართველოა.

**კაზიად ნათქვამები
 ყინვა ფაველას ფსევდონიმით**

შეუცდომელი არვინ ვართ,
 ყველას გვაქვ რალაც მიქარვა.
 ხანდისხან სადაც მგონია,
 ყველაზე მეტად იქ არ ვარ.
 ამ დროს რა უნდა მიმეფლოს,
 ბანკის კლერკმა ან ვიკარმა?
 ვერც ერში ყოფნამ რა მარგოს,
 ვერც ლურჯ-ნიტელმა სტიქარმა.
 მეთქი, აურას გავინმენდ
 (ჰო, შენ თუ გინდა, თქვი კარმა),
 გამოვიბერტყავ ეშმაკებს,
 ნარნარად ვივლი, შიკარნად.
 ყინვამ ამოთქვა გულისა,
 დარდები გადაიქარვა.

*
 დაგემშვიდობეთ, ბოთლებო,
 კარახანებო, ჭიქანო.
 დღეითგე გადაჭრით ვამბობ:
 ამათგან უნდა ვიგანო!
 დავშორდე ემ საციქველთა
 როგორც ქორნილებს ფიგარო.
 მაგრამ შენ ვერ დაგიცილებ
 (ყინვაც, ეგრეც არ მიქარო!),
 რაც უნდა დავშრე, გავფხიზლდე,
 რაც უნდა გადავიკარო.
 რეტი შენ უნდა დამასხა,
 გულ უნდა გადამიქანო...
 განსხვავებულთა ხელმწიფავ —
 ქალის რძით სავსე ჯიქანო!



ერეკლე გოგიშვილი

ნუშის ბაღები
 ისევ დაიწყეს ქარებმა რბოლა,
 ფანჯრის რაფაზე ჩამოდნა თოვლი,
 და ჩემი სახლის მძიმე სახურავს
 ამ ქარებისგან ასტიკვიდა თავი.
 ისევ აყვავდნენ ნუშის ბაღები,
 თითქოს ელიან ჩვენს გამოჩენას,
 მაგრამ ქარებმა წამართვეს თავი
 და ვერ გიპოვენ ნუშის ბაღებთან.
 ისევ ატირდა ეს გაზაფხული,
 თითქოს შესცივდა ჩვენი არყოფნა
 და გახვეული ცივი საბანით
 ქარში ჩვენსავით მარტო წავიდა...

მიძღვნა
 „რას მივალნიე, რა მოვიპოვე —
 ერთი ჭიქა წყალი, წამლის შუშა, სათვალე...“
 ოთარ ჭილაძე

ეზოში წვიმდა და ცივი ოთახში
 მძიმე საათი რეკავდა ზარებს,
 ეზოში იდგა წვიმისგან სევდა,
 ელოდებოდა გაღებულ ფანჯრებს,
 მაგრამ სანოლზე იწვა პოეტი
 და არა ჰქონდა ძალა ადგომის,
 თავთან დაედგა წყლით სავსე ჭიქა
 და ხელის გულზე წამლის აბები,
 ეზოში სევდა იცდიდა დიდხანს,
 წვიმამ ფანჯრებში შემოსვლა იწყო,
 მძიმე საათის ზარებთან ერთად
 პოეტის გულიც გაჩუმდა თითქოს.

შეხვედრა
 შემთხვევით შევხვდით.
 მიყვარხარ!
 ჯერ კიდევ წარსულიდან
 ვერ გადაგჩრვიე.
 ქუჩაში ბავშვები დარბიან,
 ერთ-ერთი ჩერდება,
 გეძახის:
 — დედაა, დეე.. წავიდეთ!..
 დამნაშავეს თვალებით მიყურებ,
 მემშვიდობები უნახვამდისოდ, ქარია,
 თითქოს ჩემ გამო ამოვარდა.
 მაღალი კორპუსები დაგვეყურებენ,
 სიჩუმეს მხოლოდ
 გაფენილი სარეცხის ხმაური არღვევს,
 აივნებს რომ ეხეთქებიან.
 მიდიხარ, მოუხედავად.
 სიცარიელეა...

როცა მამები ერთმანეთს ესროდნენ
 და ასლიოდა ქვეყანას კვამლი,
 აღარ ახსოვდათ თავიანთი შვილები,
 ნახევრად მშვირებს რომ ეძინათ სახლში
 და მუცლის ყმუილთან ერთად
 ფერად სიზმრებს ხედავდნენ.
 თითქოს საქართველოც ამ ბავშვებთან იყო
 და ეშინოდა გარეთ გამოსვლის,
 რომ არ ენახა მამები, როცა ერთმანეთს ესროდნენ,
 მაგრამ არ ეძინა სამშობლოს და
 ქვრივი ქალივით, შვილებს რომ არ დაენახათ,
 ბნელში იდგა და ტიროდა.
 ტიროდა დედა და იმედის თვალთ უყურებდა შვილებს
 და აჰა, ჩვენც გავიზარდეთ და გამოვედით გარეთ,
 მაგრამ სამშობლო ისევ ბნელში დგას
 და ისევ სცხია ცრემლი თვალებზე.

პაატა ნაცვლიშვილი

ჟორჟეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად



კინლოხმოიდარტი

დასასრული

ჟორჟეტა მუდამ თან დაჰყვებოდა მეუღლეს მოგზაურობებში და ნელ-ნელა თვითონაც კარგ მეთევზედ ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ისინი ისლანდიაში იყვნენ სათევზაოდ. მამის სტიუარტი კვლავ დაბრუნდა სამხედრო სამსახურში, ჩრდილოეთ შოტლანდიის დაცვა იკისრა და მეორე მსოფლიო ომი გენერალ-მაიორის ჩინით დაასრულა. 30-40-იანი წლების მიჯნაზე თავისი კინლოხმოიდარტის მამული თავისი ცხვარ-ძროხითა თუ თევზებით ნილ სტიუარტს რამდენიმე წლით აუღესტერ და დონალდ სმიტებისთვის მიუქირავებია, თავად კი ჟორჟეტასთან ერთად ედინბურგში გადასულა საცხოვრებლად.

: ასე თუ ისე ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში დგებოდა, — წერს მოგონებებში ჟორჟეტა, — მხიარული განწყობა მიბრუნდებოდა, პირქუში წარსული დავინწყებას ეძლეოდა, ნილის ხელშეწყობით გიორგის არყოფნას თანდათანობით ვეგუებოდი. ამან ჩემს მშობლებს შეება მოჰგვარა — თორემ საქართველოდან წამოსვლის შემდეგ — სამსახურიდან დაბრუნებული ერთთავად შინ ვიკეტებოდი. 1935 წელს ნილის მამა გარდაიცვალა, კინლოხმოიდარტი უნდა წასულიყო, მითხრა, რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოვალ და დავექორწინდეთო. იმ დროისთვის უკვე განქორწინებული იყო. ნილის პარიზში დაბრუნებისთანავე ჩემს მშობლებს და გრაფ დახელს შევატყობინეთ მოახლოებული ქორწინების თაობაზე. დახელს გუნება წაუხდა იმის გამო, რომ მასთან აღარ ვიმუშავებდი. მის ოფისში მდივნის ადგილი მედემ დაიკავა. დავექორწინდით და კინლოხისკენ გავიხეთ. ისევე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში ბედნიერების წიგნი. რას ვიფიქრებდი, ისევე ლაღად თუ ვიგრძნობდი თავს! მაგრამ მოხდა საოცრება. თავს აღარ შეგანწყენთ იმის მოყოლით, თუ როგორ გავატარეთ ერთად 36 წელი. ეს უკვე სხვა ამბავია, მწუხარებანარევი და სიხარულით აღსავსე. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ექვსი წლის მანძილზე ჩემი მშობლები ვეღარ ვნახე. ომის დამთავრებისთანავე დედაჩემი გარდაიცვალა. მანამდე მე და ნილმა უმძიმესი დარტყმა მივიღეთ — მოგვიკვდა პატარა ვაჟი — 6 თვის მარტინი. ნილის დაბადებამ 1943 წელს სიხარული და ბედნიერება გვაჩუქა. შემდეგი დარტყმა იყო მამის გარდაცვალება. ისე ძლიერ ვიყავი ჩემს მშობლებს მიჯაჭვული, დღემდე უსაშველოდ მენატრებია. რაც შეეხება მარტინის გარდაცვალებას, არა მგონია, რომელიმე დედა ოდესმე შეეგუოს საკუთარი პირმშოს დაკარგვას. :

1941 წელს უკვე ჯორჯეტად ქცეულ ჟორჟეტას, 38 წლისას ვაჟი შესძენია — მარტინი, რომელიც 6 თვისა გარდაცვლილა გულის თანდაყოლილი მანკით. ნილი ორი წლის შემდეგ დაბადებულა, 1943 წლის 2 იანვარს.

ახლა, 2016 წლის ივნისის ერთ მზიან დღეს 73 წლის ნილი სტიუარტი ჩემს წინ ზის და ნათელასთან ერთად მიამბობს თავისი ცხოვრების შესახებ. თუმცა რას მიაბობს! ნამდვილი ბრიტანელია და თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს — ორიოდ წინადადებაში ჩაბნა მთელი თავისი ბიოგრაფია.

ამ სახლში დავიბადე და გავიზარდე. პარიზში ვმუშაობდი გამომცემლობაში. გავთხოვდი და გავშორდი და კიდევ გავთხოვდი და კიდევ გავშორდი და მერე კიდევ გავთხოვდი.

მესამე ქმართან ორი შვილი ჰყავს, ქალ-ვაჟი — დევიდი და კლოდი.

— დევიდის ქორწილში მისი სამივე ქმარი მოვიდა და ძალიანაც მოიხიხნესო, — ქართულად „გააფრანგულა“ დევიდაშვილის ბრიტანული მონათხრობი ნათელა ნიკოლაძემ.

მერე ნილის ვკითხე, დედათქვენი საქართველოზე თუ გელაპარაკებოდათ-მეთქი. არა, დედას არ უყვარდა ჩემთან თავის წარსულზე ლაპარაკი. ან შეიძლება, პატარა ვიყავი და მე არ მაინტერესებდაო. თუმცა ვიცი, რომ ჯორჯეტას მოგონებები აქვს დაწერილი და ქართულად გამოქვეყნდაო.

ვახტანგ ლამბაშიძის ქალიშვილთაგან ჟორჟეტას, ერთი შეხედვით, ყველაზე არა-ქართული სახელი ჰქვია. სინამდვილეში მას ეს სახელი მშობლებმა სწორედ საქართველოს სიყვარულით დაარქვეს — ფრანგულად საქართველოს ლა ჟორჟი ჰქვია. ინგლისურად — ჯორჯია. ხოლო ფრანგული ჟორჟეტა ინგლისურად ჯორჯეტად უღერს.

ჟორჟეტა-ჯორჯეტა ლამბაშიძე 1981 წელს გარდაიცვალა 78 წლისა და კინლოხმოიდარტშია დაკრძალული ნილ სტიუარტის გვერდით, რომელიც 1973 წელს გარდაიცვალა. კინლოხმოიდარტში განისვენებს აგრეთვე ვახტანგ ლამბაშიძე — 1951 წელს იგი ქალიშვილთან და სიძესთან სტიუარტად მყოფი გარდაცვლილა და იქვე დაკრძალავთ.

2016 წლის ივნისის თბილისში კი ვახტანგ ლამბაშიძის შვილიშვილები და ერთ-მანეთის დეიდები ნათელა ნიკოლაძე და ნილი სტიუარტი კინლოხმოიდარტში ერთად გატარებულ დროს იხსენებენ. ნილი მშობლების შესახებ მიაბობს და ჩვენ თითქოს წარსულ დროში და წარმოსახვით სივრცეში დავმოგზაურობთ.

მერე დავამთავრეთ დროში და წარმოსახვით სივრცეში მოგზაურობა და რეალურ სივრცეში სამოგზაუროდ წავედით.

ჩემი ნილი, ჩემი პირველი და ერთადერთი მეუღლე, მანქანის საჭეს მიუჯდა და ჩვენ საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ავედით, კუს ტბაზე.

ძალიან ისიამოვნეს სტუმრებმა. ნილი სტიუარტი საერთოდ პირველად არის საქართველოში, ნათელამ კი გაიხსენა, პირველად რომ ვიყავი აქ, ახალი გახსნილი იყო და მას შემდეგ ძალიან გამდიდრებულაო.

მეგრულ ოდაში ჩემი ბიძაშვილი დავგვავდა — მარინა, რომელიც მრავალი წელია, აქ მუშაობს და რომელმაც მშვენიერი ექსკურსია ჩავგიტარა. თქვენ ხომ დეიდაშვილები ხართ, მე და ჩვენი გიდი ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ-მეთქი, სიამაყით გადავხვიე ხელი მარინას. ჯერ მან იმერული კუთხე დავავთვალეფრებინა, მერე — გურული კარ-მიდამო. უფრო მერე — მესხური დარბაზული საცხოვრებელი. კახური — არა. კახური სახლ-კარი და მარანი სტუმრებს ნატურაში ჰქონდათ ნანახი რამდენიმე დღით ადრე.

მომდევნო დღეებში დეიდაშვილები ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ

დიდ ჯიხაიში და სვანეთი და თუშეთი მიიარეს. თბილისში დაბრუნებულები, ისინი გიორგი ნიკოლაძის საფლავზე იყვნენ დიდუბის პანთეონში. მეც ვახლდი და რამდენიმე ფოტო გადავუღე წერეთლის პროსპექტზე მიმავალ ნილი სტიუარტს ორი ვეება ნითელი ვარდით ხელში.

მეორე დღეს ნიკო ნიკოლაძის საფლავის ნახვა გვინდოდა, ვიკითხეთ კიდევ, მაგრამ ვერ გვითხრეს, სად არის დაკრძალული, — შემომჩვილა ნათელა ნიკოლაძემ.

სად უნდა იყოს, მთანმინდაზე-მეთქი! — არც დავინტერესებულვარ, ვის ჰკითხეს, ისე ვუთხარი ნათელას გულმოსულმა და ჩემთვის გავიფიქრე, განა ამის ფონზე იმ ტაქსისტზე ხმა ამომელება, ნილის 3 ლარის ნაცვლად 20 რომ გამოართვა-მეთქი?!

28 ივნისის ღამით სტუმრები საქართველოს დატოვებენ და სტამბულის გავლით ერთი თავის საფრანგეთში გაემგზავრება, მეორე — თავის შოტლანდიაში. მანამდე კი, დილით, ერთად ავალთ მთანმინდაზე, ნიკო ნიკოლაძის საფლავზე.

ხოლო შინ დაბრუნებული, გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ლამბაშიძის 1926-1927 წლების მიმონერას ჩაუფუძეები, რომელიც ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ რედაქციის მინდაშვეთავაზო წლევეანდელ ნომერში გამოსაქვეყნებლად.

პუბლიკაციის სათაური უკვე შერჩეული მაქვს: „ჟორჟეტა ლამბაშიძის საქართველო და გიორგი ნიკოლაძის გულის პარიზი“.

დებოლოს, ისევე ჟორჟეტას სიტყვები, რომლითაც იგი თავის მოგონებას ამთავრებს:

: მგონი, დროა, აქ გავჩერდე. ბედნიერი წლები ბოლოს და ბოლოს წყდება, ისინი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, ასეთია ცხოვრება, და ახლა, ნილის გარეშე, ყველანაირად ვცდილობ, როგორმე შევეუფლებო მარტოსულობას, უნიზობას, ვიხედ დღე-ღამე ვფიქრობ — მისი კარგად ყოფნა და ბედნიერება უპირველესია ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი, სად ვნახე ძალა ცხოვრების გაგრძელება. ნილის საკუთარი ცხოვრება აქვს ქმარსა და უსაყვარლეს შვილთან, დევიდთან ერთად. მე კი მოგონებებით ვცხოვრობ და, ვიმედოვნებ, არ დავანებები ტვირთად ახალგაზრდებს, ჩემი ცხოვრება უსაშველოდ არ გაგრძელდება. ეს მონათხრობი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, ზოგჯერ ძალზე გაჭიანურებულია. ჩემთვის მთავარი იყო იმის ახსნა, თუ როგორ მოხვდი ამ ქვეყანაში ისეთი შორეული ქვეყნიდან, როგორც საქართველოა. ძალზე მწარეა ლტოლვილის ბედი. ოღონდ როდესაც ყმანვილი ხარ, ბევრად უფრო იოლად ეგუები ნებისმიერ უჩვეულ ცხოვრებისეულ გამოწვევას. მეტადრე ჩემი მშობლებისთვის ეს უთუოდ ძნელი ასატანი იყო. მათი ოდესღაც მშვიდი, უზრუნველი ცხოვრება მყისიერად გაჩანაგდა. ბედად, ნილის წყალობით, ლტოლვილის მწარე ხვედრს თავი დავაღწიე და ამდენი ბოზოქარი წლის შემდეგ ვიმოვე მყუდრო ნავსაყუდელი, სადაც მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობდი. რამდენი რამ უთქმელი დამრჩა, მაგრამ ძალზე გრძელი გამომივიდოდა. არ მინდა ჩემი ნაწერის ხელახლა გადაკითხვა. ძნელია, წერილ ენაზე, რომელიც შენი მშობლიური ენა არაა. ამიტომაც ბევრი შეცდომა იქნება. გარდა ამისა, ჩემი ხელწერა ძნელი გასარჩევია, მაგრამ რაც შევძელი, ესაა. :

ესაა და ეს. დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრისთვის საკმაოდ მეტია.



ნილი სტიუარტი გიორგი ნიკოლაძის საფლავზე დიდუბის პანთეონში



ზოია ცხადაია

სამუოლო — რობოც „ჯილდოც, სასჯელიც“...

„პოქტის, მწერლის დანიშნულებაა, შეენიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძობას, ღმობიერებას, თავგანწირვას — დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს“ — ოთარ ჭილაძე სწორედ ის მწერალია, რომელსაც ზედმინივებით ესადაგება ფოლკნერის ეს სიტყვები. პოეტის ერთ-ერთი კრებული გარეკანზე ვკითხულობთ: „ნიგში პოეტურ აზრს კვებავს და ამოძრავებს ერთი ძირითადი პრობლემა: ადამიანის სიდიადისა და მისი მარადიულობის პრობლემა“... შეახსენო ადამიანს თავისი სიდიადე და, ამასთან, მისი მარადიული პრობლემები, ნიშნავს სწორედ იმას, რაშიც ფოლკნერი ადამიანის გულის გამაგრებას და შენევენას გულისხმობს. ეს „შენევენა“ განსაკუთრებით სჭირდებადერს, რომელსაც, ოთარ ჭილაძის სიტყვით, „ისტორიამ, დანარჩენი კაცობრიობისგან განსხვავებით, თვითწამოყალიბებისა და თვითგამორკვევის უფრო რთული და უფრო დამამცირებელი გზის გავლა დააკისრა“, ერს, რომელსაც არაერთხელ „სრულიად დაუმსახურებლად“ მიიყენეს სულიერი ტრავმა, „რომელიც თავისი ბუნებით სხვათა მასპინძლად, სხვათა შემფასებლად და დამპურებლად შექმნილი განგებისაგან“. საუკუნის მინურულს დაწერილი მისი პუბლიცისტური წერილები, ესეები, ინტერვიუები, თავმოყრილი „ბედნიერ ტანჯულები“, მთელი სიღრმით აჩვენებს ამ და სხვა მრავალ სატიკვარს, რაც აწუხებდა ოთარ ჭილაძეს, საუკუნის რჩეულ მწერალს, პოეტს, მოქალაქეს... ერთი შეხედვით, გარეგნულად მშვიდს, აუმღვრეველს (შორიდან მაყურებლისათვის მაინც), შინაგანად ძლიერს, მტკიცეს. „სიკვდილის არ მეშინია, მრცხვენიაო“... უკიდურესი განსაცდელის გამოხატვასაც რომ იმედით ასრულებდა, „ლამეს განთიადი მოსდევსო“ — ანუგემბდა მკითხველს. თავს ნიჰილიზმის უფლებას არ აძლევდა — სახიფათო სენია, პირველ რიგში სიცოცხლის ხალისს უკარგავს ადამიანს, შიდასივით, რადგან ლიტერატურა თავისი ბუნებით იმუნიტეტის გამაძლიერებელი, იმედის მომცემი, გამამხნეველებელი და ჭირში გვერდით დამდგომი ნათესავიაო ადამიანისა... ნიჰილიზმი მას ესმოდა, როგორც „ცხოვრებამოყრატული ხალხის სენი და არა ჯერ კიდევ გადასარჩენი და გადარჩენისათვის მებრძოლისა“. რაც შეეხება საზოგადოდ მწერლის „დუმისა“ და „გვერდზე დგომას“, ეს საზოგადოების გულბურყვილობად, ანდა მწერლობის წინააღმდეგ წარმოებული ფარული ბრძოლის გამოხატულებად მიიჩნდა. მისი სიტყვით, რასაც მწერალი აკეთებს, მომავლისთვისაა გამიზნული, მომავალში გამოიღებს ნაყოფს და ეს იწვევს „დუმისა“ და „გვერდზე დგომის“ ილუზიას... „თუ სამშობლო მოითხოვს, ჰიუგოც უნდა ავიდეს ბარიკადებზე, მაგრამ არ უნდა დავავინყდეს, რომ იმავე ჰიუგოს სანერ მაგი-

დასთან გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სამშობლოსთვის, ვიდრე პიუჯიკობისაგან შემდგარი ბატალიონი გააკეთებდა ბარიკადებზე. მწერლის დუმილი სრულეობით არ ნიშნავს ჩუმად ყოფნას. პირიქით, — შეიძლება დუმილით მეტს ამბობდეს, ვიდრე ლაპარაკით... თავად ოთარ ჭიჭიძის, ჭეშმარიტად, არ ეხება „დუმილისა“ და „განზე დგომის“ თუნდაც ილუზია. ის თავისი შემოქმედებით იდგა ცხოვრების უმძიმესი ბატალიონის ცენტრში. დღევანდელი, ჯერ არცთუ ისე შორი გადასახედიდან, ნათლად ჩანს, რა აწუხებდა, რა სტიკოდა მას, როგორ გამოხატავდა, როგორ აფასებდა თავისი ქვეყნის ანმუს, რაში და როგორ ხედავდა მომავალს, როგორ შეფასებდა აძლედა საქართველოში დატრიალებულ საბედისწერო მოვლენებს, ზოგადად, მწერლის მოვალეობას, ლიტერატურის დანიშნულებას საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრებაში, მტრისა და მოყვრის გარჩევის პრობლემას, პატრიოტიზმისა და ცრუ პატრიოტიზმის, ერის საბედისწერო შეცდომებსა თუ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხებს. ის არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ მომავლის საქართველოშიც იქ მოიაზრებდა, სადაც ქვეყანას დასჭირდება უანგარო მამულიშობლის შეძახება და გამხნეობა, თანადგომა და თანაგრძობა, ღირსების შეგრძნება და ზრუნვა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისათვის — იმ ღირსეულ წინაპართა სახელების გვერდით, რომლებიც ერის ისტორიულ მესხიერებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ.

ოთარ ჭიჭიძემ პოეზიით დაიწყო და, შეიძლება ითქვას, მთელ მის შემოქმედებას გასდევს სიტყვის პოეტური ფლობის ნიჭი, განცდის, ემოციის ექსპრესიულობა. მისმა თაობამ, XX საუკუნის სამოციანელებად სახელდებულმა, სიტყვის თავისუფლების მიზნით მონაპოვარი შემოქმედებით სტიქიად აქცია და მასში გამოტარებული მსოფლგანცდით უპასუხა თანამედროვეობის სულიერ მოთხოვნილებებს, ზოგადად კაცობრივ პრობლემებს, მარადიულ კითხვებს თუ ერის დათრგუნულ ემოციებს. მათ გაამდიდრეს და გაამრავალფეროვნეს ქართული პოეზიის თვალსაწიერი, ვერსიოეკაციული კულტურა.

მათ შესახებ ბევრი დაიწერა. პირველი შემფასებლებიდან უნდა გავიხსენოთ: გურამ ასათიანი, რევაზ თვარაძე, მანანა გვეტაძე... მრავალი სხვა... მაგრამ მინდა, აღვნიშნო რამდენიმე სიტყვა ნათქვამი უახლესი პერიოდიდან (როგორც იტყვიან, მელანქოლიკური): „ლექსისა და მხატვრული სიტყვის მაღალპოეტური ფლობა და კიდევ მაქსიმალური არატრადიციულობა ტრადიციულ ლირიკულეობათა ფარგლებში“... (დავით წერეთელი).

„ეს იყო, მართლაც, ნიჭიერი თაობა, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია მთლიანად ქართულ კულტურას, ლიტერატურის ყველა დარგს — პოეზიას, პროზას, კრიტიკას. ეროვნული სულიერების უცნაური, ცენტრიდან დასაქციებული რენესანსი“ (თემურ დოიაშვილი)...

„სამოციანელთა უნიჭიერესმა თაობამ XX საუკუნის II ნახევარში ისეთივე მისია იტვირთა, როგორც 10-20-იანი წლების მოდერნიზატებმა. სწორედ მათ დაუკავშირებელი კოლექტიური ცნობიერებიდან ინდივიდუალურ ცნობიერებაზე გადასვლას“ (ლალი ავალიანი).

სამოციანელთა პოეზიის მრავალფეროვნებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეროვნული კონცეფცია — სამშობლო, მამული... ამ მხრივაც განსხვავებული, ინდივიდუალური ნიშნებით გამოირჩევა მათი ლირიკული ტექსტები: საკუთარი გახმობისათვის — ორიგინალური ინტონაციით, სათქმელის გამოხატვის მიდგომითა და საშუალებებით...

„როდესაც ასე ახლო გრემი, მე მინდა, ვიყო უფრო მაღალი“, — ასე დაიწყო, შეიძლება ითქვას, ოთარ ჭიჭიძემ სამშობლოს გრძობის გამოხატვა. სიტყვები: „სამშობლო“, „საქართველო“, „მამული“, მოკრძალებულად მოჩანს მის პოეზიაში, მაგრამ სამშობლოს მოფერება ლექსები თბილისისა და ბათუმზე, ბიჭვინთასა და ლიკანზე, ბაგრატიის ტაძარსა და ხევსურებზე, ასევე — „ძველი სახლის“ გახსენება და „ჯავახური სიმღერა...“ და სხვები. ხშირად პეიზაჟური ლირიკის კონტურებში, ცალკეულ დეტალებში მუდგანდება ლირიკული გმირის მშობლიური განცდა. ის საგანგებოდ არ აღამაზებს ფაქტებს, სურათებს, მოვ-

ლენებს იმის გამო, რომ სამშობლოს ეხება, სამშობლო არ არის ხმამაღლა ნათქვამი, იდეალიზებული ხატი, ის ძვირფასია იმიტომ, რომ მისი სახლია, „სახლი კი მხოლოდ იმ ადგილს ნიშნავს, სადაც სხეული ეშვება ხოლმე, ვით სულის ღეზა“. სამშობლო „მწარე და დიდი გრძობაა“, „გვახასიათებს ყველას თანაბრად“, იმ ვიეტნამელსაც, რომელიც მის გვერდით ცხოვრობს, „ყოველ ღამე ჩუმად ჩაჯდება სველ ბალახებში, მოკალათდება მოხერხებულად, ხოლო ტრანზისტორს დაიდებს მხარზე და ასე უსმენს მშობლიურ ენას და არაფერი არ არსებობს იმ წუთას მისთვის, გარდა იმ ხმისა... და ისიც მართლა მთელი არსებით იმ ხმას ფესვივით ებლაუჭება. ფესვის სიტლანქით და სიჯიუტით მშობლიურ ენის მიარღვევს ნიალს და ნიალიდან, როგორც ფუტკარი, წოვს თავის კუთვნილ თაფლსაც და შხამსაც. მე ვუთვალთვალე შორიდან ჩუმად და მოწმე ვხდები მე უნებურად ამ დიდი განცდის, რომელსაც ახლა მაყურებელი სულ არ სჭირდება. მას დაამცირებს მაყურებელი, ან გადააქცევს უბრალო ამბად, თუმცა ეს მწარე და დიდი გრძობა გვახასიათებს ყველას თანაბრად“. გასაგებია, რატომ ესმის პოეტს ასე კარგად უცხო ადამიანის განცდის. ეს განცდა არ არის მისთვის უცხო, ის ნათესაური, ნაცნობი განცდაა. ქვეყნის მანერით მის ხასიათში ზის — ფართო აუდიტორიას, საზოგადოების ხედვას გარიდებული, რომ არაფერი დაირღვევს, იყო უზადო, ბუნებრივი.

ლექსში „როდესაც ასე ახლო გრემი“ ის თავად ჰგავს მშობლიური ენის სტიქიაში ჩაძირულ ვიეტნამელს, იმ განსხვავებით, რომ მის ლირიკულ გმირს აძლევენ უნებური განცდა ეუფლება ხილვით და არა — სმენით... კონკრეტულად, „ბებერი გრემის“ ხილვით. ბებერი, დალილი, დანგრეული გრემი, სევდა-ნაღვლის ნაცვლად, ნეტარებით ავსებს:

და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დალილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხული.

პირადული, ინტიმური შინაარსის ტროპული სახე-შედარება მოულოდნელად ჩნდება ლექსში და აძლიერებს ლირიკული გმირის ემოციის გამოხატვას, ბებერი და საყვარელი გრემით გამოწვეულს.

კონკრეტული დრო — სექტემბერი მხოლოდ კონკრეტული წუთების თარიღია, ბედნიერი განცდის ქრონიკა. „სახეგაპოზილი კედლის ალმური“ და გრემის დარღვეული კედლების შეგრძობით გამოწვეული ელდა უჩვეულოა, არ აძლევს ძირს დაშვების უფლებას და კეთილი ფიქრებით ავსებს, სიხარულს და სიყვარულს განაცხადებებს... „და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც“ — ქართული სულიერების, თვითმყოფადობის სანიშნები, მარკერებია და ეს ყველაფერი ისევ და ისევ მაშინ: „როდესაც ასე ახლოა გრემი, როდესაც ასე ახლოა გრემი“... ამ განმეორების საშუალებით კიდევ უფრო იკვეთება სულიერი ამაღლების მიზნები.

თუ გრემი ერთბაშად ანთებს ლირიკულ გმირს, მასთან — მკითხველსაც, „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები“ სევდიანი განწყობით იწყება: „სღვთის ფუძეზე ჩამომჯდარი ბაგრატის ლანდი, უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ დამჯდარა იგი... უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ“... განმეორებით აქცენტრებულია არა მხოლოდ ერთიანი საქართველოს I მეფის ბედი თუ ბედისწერა, არამედ მთლიანად უბედურება ქვეყნისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო „უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ“... დაშლილი, დანაწევრებული. „მუხლზე ჩუქურთმის პანანინა უდევს ნამტვრევი, როგორც ფასკუნჯის მკვდარი ბარტყი, იმდენად მკვდარი, რომ აღარც ფერი შერჩენია, აღარც ნაკვები“... სინტაგმა „იმდენად მკვდარი“ ქვეყნისა და მეფის ტრაგედიის წარმოსახვას აძლიერებს თავისი უჩვეულობით, რადგან არ არსებობს ცოტათი მკვდარი, ბევრად მკვდარი... ძალიან მკვდარი, ასევე — იმდენად მკვდარიც...

„ლევანდას რომ მივყვით — წერს ოთარ ჭიჭიძე — ჩვენ დაბმული გმირის შთამომავლები ვართ და იმისგან მოგვდევს ნებისმიერი ბორკილის განწყვეტის ჟინი. ქართველობა მარტო ეროვნება არ არის, გარკვეული თვალსაზრისით, სასჯელიცაა — ამას ადასტურებს მთელი ჩვენი ისტორ-



ია“. კონცეპტუალურად ამას გამოხატავს მისი რამდენიმე ლექსი: „ხევსურები“, „ბისოელები“, „არხოტელები“, „რომკელები“. ეს იმ ვაჟკაცთა ხსოვნისაა, რომლებიც „არ დასდგომიან მომხდურს მსახურად, სულ მზისკენ ჰქონდათ გაჭრილი კარი“. ოთარ ჭიჭიძის პატრიოტიზმი ზნეობრიობას აფხიზლებს, პათეტიკის გარეშე... არავის ასწავლის ჭკუას, არავის ეკამათება... წუხს, უხარია, განიცდის, სტიკოვ, ტკეპა იმ ყველაფრით, რაშიც მშობლიური გრძობა და მშვენიერება იკვეთება... ამით ხდება ნათელი, როგორ უყვარდა მას, და საერთოდ, როგორ შეიძლება გიყვარდეს... როცა ძალიან საჭიროდ მიიჩნევს, შეახსენებს მოყვასს, კონფორმისტული ცნობიერების მქონე ხალხს, რომ ფუჭია ყველა მონაპოვარი ადამიანისა, „თუ ვეღარ არჩევ მამის ნამყენს და დედის ნაქსოვს, თუ დაგავინყდა იმ ჩუქურთმის, იმ ხატის ფასი, თუ გააჩუქე წმინდანების ფლოსტიც და ფლასიც“. სათქმელის მთავარი მორალური აზრის გამოხატავად ღირსეულ წინაპარს დაესხება. „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“... თითქოს თავის თავსაც მიმართავს სხვასთან ერთად, ანუ: გვახსოვდეს, ვისი გორისანი ვართ... ამავე პათოსითაა გამოხმობილი ისტორიიდან „ქართლის ცხოვრება“ (ამ სათაურის ლექსში), რათა გონება კვლავ აივსოს სინათლით, „პირზე კვლავ უნდა შეისხა წყალი“, ანუ იგრძნოს სიცოცხლე, იფხიზლება, იაზროვნოს, წარსული განიხსენოს, „რათა ნაართვა თავი კაეშანს და გაუმართლო სულს მოლოდინი“.

პოეზიაში თუ პუბლიცისტურ წერილებში, ესეებში, ინტერვიუებში, უმწავლეს პრობლემებზე მსჯელობისას თუ ლირიკულ ნიაღვრებში, მისი ინტონაცია, ლექსიკა არ სცილდება ეთიკის ზღვარს, დახვეწილი მოაზროვნე, მთხრობელი, მოკამათე, ასევე დახვეწილი ტრფიალი ცისა და მიწის, თავისი ფუძისა:

ჩამოუქროლებს თელიანს ძერა,
ჩიტები ცაში აირვიან,
ბალახში ვწევარ,
ბალახი ღელავს,
მზეა... სითბო... ყვავილებია...
თითქოს ვიპოვე შვილმა მშობელი,
თითქოს მიპოვა შვილი მშობელმა...
ბალახში ვწევარ,
ბალახი ღელავს,
და სადღაც მღერის ჭრიჭინობელა.

ეს ახალგაზრდობის ლექსია, 1954 წელი — ახალგაზრდული შეგრძობა მინის, ბალახის... უკვე ასაკში შესული (1998) ბოლო იმედად ისევ იმ მშობლიურ ნიაღვრისათვის — ტყვიანობა, სევდი, უცნაურია თითქოს, მაგრამ — იმედით, რომელიც მას არასოდეს ტოვებს:

ამასობაში, ზღვრამდეც მივედი,
მე გმონი, სუნიც მეცა სუდარის.
შენა ხარ ჩემი ბოლო იმედი
და ჩემი ბოლო ნავსაყუდარი.

ოლონდ, შენ ჩემო ბოლო იმედო
და ჩემო ბოლო ნავსაყუდარო,
ვინც მე გამწირა და გამიმეტა,
იმას ვეკუთვნი კვლავ სამუდამოდ.

სიკვდილ-სიცოცხლის საზრისი, რომელიც ცალკე თემაა ოთარ ჭიჭიძისთვის, უკავშირდება თავის სამკვიდროს, „მინ“-ს, „სადგომს თუ ადგილს“, რომელსაც „დაუსრულებლად გინდა უყურო“, „ეს არის უფლის წყალობაც, მაღლიც, ფიქრის უღრანი ტყე (უგუგულოდ) და შენც ამ ღატაკ სადგომს თუ ადგილს დაუსრულებლად მზად ხარ უყურო“ (1990). ხშირად რამდენ-

იმე დეტალით, ტროპულობის გარეშე, საგრძობლად გამოხატავს მშობლიურის განცდას: „და მაინც მწვედება მწარე სურნელი ჩემს განწმამდე ჩამქრალი კერის“, ან: „და მაინც მესმის კარის ჭრიალი ჩემს განწმამდე დანგრეულ სახლის“.

საგულისხმოა სათაური ერთ-ერთი ლექსისა „დავინყებულები მოტივი“ (1988 წელი), რაც გულისხმობს იმას, რომ დროა მივხედოთ „ჩვენს გულებიდან გამოდევნილ საქართველოს, ჟამთასვლის ბორბალს ჩაჭიდებულს, ჩვენი გულისთვის და, უპირველესად, ისევ ჩვენგანვე უარყოფილს... ჩვენი უაზრო ჟივილ-ხივილით, ჩვენი უმიზნო აყალ-მაყალით“.

საზოგადოება — გზასაცდენილი და დაქსაქსული, დავინყებულები — „რანი ვიყავით და რანი დავრჩით“... ლირიკული ტექსტის შთაბეჭდილებიდან გამომდინარეობს გაფრთხილება, თხოვნა: „გახსოვდეს საქართველო“... „რომ დასდგომია უკაცურ ბილიკს, კაბის კალთით რომ აუთრევივა მისევე ჩონჩხის მაგვარი ძეძვი და მიდის, მიდის, არც იცის, საით“... მეოცე საუკუნის უკანასკნელი წლები რეალობაში, შექმნილმა ვითარებამ ათქმევინა მწერალს ის, რომ ახლა სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას სიყვარული, ერთგულება, სიფხიზლე. 2004 წელს ჩანერილ ინტერვიუში იგი ამბობს: „დღეს თუ საქართველოში ვინმე იტყვის, პატრიოტიზმი ფაშა თავისი დრო მოჭამაო, ან ბრიყვია, ან ფილი. პატრიოტიზმი არც ერთჯერადი გრძობაა, არც პერიოდული. ან ხარ და ყოველთვის იქნები, ან არ ხარ და არც არასოდეს გახდები შენი ქვეყნის პატრიოტი. ჯერ ვერ ვიტყვი, რა ნიშნებს ატარებს 21-ე საუკუნის საქართველო. 21-ე საუკუნე ჯერ წინ არის, მაგრამ ძალიან მინდა, პატრიოტიზმი იყოს ერთ-ერთი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი. ჯერ ჩვენ არა გვაქვს სხვანაირად ცხოვრების უფლება. მიმზიდველი, მაცდური მაგალითი ბევრია, მაგრამ სწორედ სამშობლოსთვის თავგანწირვით, სამშობლოს სამსახურით მოიპოვეს მათ უფლებები. ნუ მოვიტყუებთ თავს, ანუ, შეგნებულად ნუ დავიმართებთ პოლიტიკურ სიბეცეს, თორემ ძვირი დაგვიჯდება. თბილისის თავზე ნამდვილად ქართული დროშა ფრიალებს, მაგრამ იმ დროშას ბევრი მტერი ჰყავს და არა მარტო დღეს და ხვალ, ყოველთვის, უკუნითი უკუნისამდე დასჭირდება დაცვა. დიდ სიხარულს თვალის ახელაც შეუძლია და თვალის ახვევაც, მაგრამ ჩვენი თავგადასავლის ხალხს ნამდვილად არ გაემტყუნება ამგვარი სიფხიზლე“...

და მაინც, მისი ეროვნული გრძობის ნიშნით გამოირჩეულია მცირე მოცულობის უსათაურო ლექსი, რომელშიც პოეტურად არის გახმობიებული მისივე ნათქვამი სიტყვა: ქვეყნის და „ხალხის სიდიდე იმ ფართობით არ იზომება, რომელსაც იკავებსო“. შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ, ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო, დაუღვეველო სამშობლოვ ჩემო.

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, როგორც დაეძებს საჭმელს მშვირი, და ამ პატარა მინის ნაგლეჯზე შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი.

გამომდინარე აქედან, გასაგებია, რატომ იყო იგი „ბედნიერი ტანჯული“, რატომ იყო მისთვის სამშობლო „ჯილდოც, სასჯელიც“...



ნატალი დარასელია

შელამებისას ჭრიჭინათა გამჭოლი ხმები
გამოზიდავენ ძველ ფირებზე დატანილ დღეებს
და ჩემს შინაგან ლურჯკაბიან ბავშვს
სსოვნის ფერფლიდან გამოძერწავენ.

ბავშვი სულ რაღაც შეიძინა წლის არის. სკოლის წინ უდგას პატარა ფურგონი,
რომელსაც „მარინას ბუტკას“ ეძახიან.

ბავშვობის მოგონებებში ქანაობენ ჩიტის რძეები,
ბიჭებისათვის 23 თებერვალს ნაყიდი ფეხბურთელთა მარკები და
არყის ჭიქა, რომელშიც ყრია მზესუმზირა და ათი თეთრი ღირს.

შესვენებებზე, სხვა ბავშვები როცა გარბიან ამ ბუტკისაკენ და
ყიდულობენ 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლებისათვის
დამახასიათებელ ტკბილეულს, ლურჯკაბა გოგონა წიგნს იღებს ჩანთიდან,
მერხთან რჩება და თავს იტყუებს, რომ კითხულობს.

სინამდვილეში კი ელოდება, რომ ამხანაგი
ყველი და პურივით გაუყოფს „მარინას ბუტკაში“ ნაყიდ ფუნთუშას.
გოგონამ ჯერ კიდევ არ იცის, რა გემო აქვს ცხელ კაკოსა და კარაქიან პურს.

გაკვეთილების შემდეგ, ძალაგამოცლილი და მშვიერი, მიდის მუსიკის გაკვეთილზე,
საიდანაც მალე წამოვა.

მიდის და შია.
სხვებს გაჰყურებს და მალავს სურვილს, მშვიერი ყვავის ბახალასავით დაალოს პირი,
ლუკმა ითხოვოს და ეს განცდა უფრო მძაფრდება, როცა იაზრებს, რომ
სახლშიც კი არ დახვდება თბილი სადილი.

დგას და იცდის, როდის დაუძახებს მუსიკის მასწავლებელი და ამღერებს:
ანა-ბანა, ანა-ბანა,
მამამ შეშა მოგვიტანა...
სანამ სცენაზე ავა, მიჰყვება თავის კლასელს „მარინას ბუტკაში“,
რომელსაც ხელში ხუთლარიანი უჭირავს,

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პენსია ცამეტ ლარს უდრის და
არ მომხდარა ვარდების რევოლუცია.

მიდის და ფიქრობს, რა კარგია მდიდარი კლასელის ყოლა,
რომელიც ახლა იყიდის ტკბილეულს და გაუყოფს ლურჯკაბა გოგონასაც.
კლასელი იღებს დახლიდან ტოფიტას კანფეტს, ორ ქიმშიანი ფუნთუშას,
სანოვარა კანფეტს, რომელსაც ფერადი სამაჯური აქვს გამოზმული ყუნწში,
მსხლის ლიმონათს და ბრუნდება უკან, მუსიკის გაკვეთილზე.

ჯდება გასახდელში. მორჩენილ ხურდას ჩანთის წინა ჯიბეში დებს და ჭამას იწყებს.
ლურჯკაბა გოგონა დგას და უყურებს,
დგას და ილიმის.

ამ მომენტში ის ძალიან ჰგავს დედის ძუძუდან მოშორებულ ლეკვს,
რომელიც უცდის ლუკმის გადმოგდებას,

მაგრამ სულ ტყუილად.
მუსიკის მასწავლებელი, რომელსაც თმა უცნაურად აქვს შეჭრილი,
უხმობს მდიდარ კლასელს და გასახდელში მწვანე ჩანთასთან
მხოლოდ მშვიერი გოგონა რჩება, რომელმაც იცის, რომ ჩანთაშია ის,
რაც ყველაზე მეტად სჭირდება ახლა.

ჯდება სკამზე, ოფლიან ხელისგულებს ატყუპებს და
ბუტბუტს იწყებს ჩუმად, თავისთვის...
სცენიდან ისმის კლასელის სიმღერა:
მე მაცოცხლებ
ლამპიონები...

გოგონა მიწებებულ ხელებს აცლის ერთმანეთს და
მარცხენა ხელი მწვანე ჩანთის ჯიბისკენ მიაქვს.
სხნის ელვას, იღებს ყვითელ ორმოცდაათეთერიანს, ხურავს ელვას და ახლა
თავად გარბის „მარინას ბუტკისაკენ“, სადაც გემრიელი ფუნთუშები იყიდება.

იღებს ერთ ცალს და ბრუნდება ისევ კულისებში. მორჩენილ ხურდას
მდიდარი კლასელის ჩანთაში აბრუნებს და ჭამას იწყებს.
ლეჭავს ძალიან რბილად და ხანგრძლივად, რომ ეს გემო დიდხანს გაჰყვებს,
რომ დაიმახსოვროს, რომ მოატყუოს ყველა, ვინც კი ჰკითხავს, შია თუ — არა.

ივლის მძიმე და კმაყოფილი, სინდისის ქენჯნით.
თითოეული ლუკმა ლოდად ექცევა, რომელსაც ვეღარ მოინელებს და
თან გაიყოლებს დიდობის გრძელ და მტკივნეულ გზაზე.

მანამდე კი იმღერებს:
ანა-ბანა, ანა-ბანა,
დედამ გუშინ ვერ დამბანა...
ყელში გამოვისვი დანა
და სისხლი მდის გულიდანა...

როგორ ფარავს ეს ჩემი გრძელი თმა მოხრილ ბეჭებს და
ზურგზე ამოჩხერილ გამრუდებულ ხერხემალს...
იმ წელს ძალიან ცხელი ზაფხული იდგა და ყოველ დილით
შვიდ საათზე მივდიოდი მეზობლის თხილნარში, სადაც თხილს ვკრფედი და
დღიურ ჯამაგირად ათ ლარს მიხდიდნენ.

მამინ ერთადერთი ოცნება მქონდა, მეყიდა კლავიშებიანი ტელეფონი,
რომელსაც რადიო ექნებოდა და მუსიკის მოსმენას შევძლებდი.

გზა შორი და დამლელი იყო.
ყოველ დილით მეზობლის ჭიშკართან დარგულ ატამს ვწყვეტიდი და
გზად მივირთმევიდი.

მივდიოდი და ასე მეგონა, საკუთარი თავი, უსუსური და ბავშვური, რომელიც
არასდროს მჯდარა კარუსელზე, მხრებზე მეჯდა და კიდევ უფრო მხრიდა ზურგში.
ყოველ დღე ერთსა და იმავეს ვაკეთებდით:
ცვარიან ბალახზე მიმოვდიოდით, ვბერტყავდით თხილის მსხვილ ძირებს და
ჩამოყრილ ნაყოფს ტომრებში ვყრიდით.

შუადღე მიყვარდა, რადგან თხილნარის მეპატრონე სადილად გვეძახდა და
შემეძლო, დამესვენა ან გემრიელად მეჭამა.
თხილის რიგები უსაშველოდ გრძელი და ეკლიანი გახლდათ.
ძალიან ნელა და ზანტად ვმუშაობდი.

ერთ რიგში მე, მეორეში — დედა.
დედა ყოველთვის მასწრებდა და მერე ჩემს დახმარებას იწყებდა.
არაქათი მეცლებოდა, მაგრამ იხტიბარს არასდროს ვიტყებდი.
მთელი დღის ოფლსა და დალილობას საღამოს ექვს საათზე
თხილნარის მეპატრონის გამონვდილი ათლარიანი აბათილებდა.

ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბევრი დღე. ყოველ ზაფხულს.
მტკივნეული სახლში დაბრუნება იყო დღის ბოლოს. წყლის ფეჩზე გაცხელება და
დამწვარ კანში ჩამჯდარი თხილის მტვერისა და
მწერების არაერთგვაროვანი სუნის მოცილება.

მანამდე კი იმ ეზოების გამოვლა, რომელშიც ჩემი თანატოლები თამაშობდნენ და
ნაყინს ლოკავდნენ.
როგორც კი დამინახავდნენ, ინტერესით მესალმებოდნენ და მეკითხებოდნენ,
თუ რატომ არ ვთამაშობდი მათთან, მაგრამ მე
მხოლოდ იმ ტელეფონზე ვფიქრობდი, რომელზეც ამდენი ხანი ვოცნებობდი.

მიყვარდა წვიმა, რადგან წვიმიანი დღე ავტომატურ უქმეს ნიშნავდა.
მძულდა ნაწვიმარზე თხილის კრეფა, დამძიმებული ტომრების თრევა და
ჩემი დამქირავებლის შვილების ამრეზილი მზერა. მისი ძმაცკაცები,
რომლებიც მოდიოდნენ და მიყურებდნენ, მაგრამ ჩემში
არაფერი არ იყო გოგოური — არც სინაზე, არც სილამაზე.

მე მტვერში ამოვანგლული ბავშვი ვიყავი, მხრებში მოხრილი და ეშვიანი ბავშვი,
ვის გასაგონადაც ხშირად ეუბნებოდნენ დედას ან მამას, რომ
მასაყებზე უნდა მივეყვანეთ, რომ ცხენით კბილები მქონდა.

მხოლოდ თვალეზახეულს მიყვარებდნენ, ჩემს ფანტაზიებში, სადაც
მოქმედება სერიალის სიუჟეტით ვითარდებოდა:
უფულო და შეუხედავი, ვერებოდი და წლების მერე ვბრუნდებოდი.
ვბრუნდებოდი ლამაზი, ძვირადღირებულ კაბაში და
ყველა ჩემს ფეხებთან იჩიქებდა, იმ მინას კოცნიდა, რომელზეც გავიარე.

იმ წელს ძალიან ცხელი ზაფხული ძალიანზე მეტად გაინელა.
ერთი თვის მუშაობის მერე კი ზუსტად ოცდაათი ათლარიანი მქონდა ხელში,
რომელიც საკუთარი ოფლით მოვიპოვე და ვფიქრობდი,
ამდენ დალლად თუ მიღირდა ეს ფული?!
მაგრამ როდესაც ტელეფონის ჯიხურთან მივედი და პირველი ტელეფონი ვიყიდე,
მივხვდი, რომ მიღირდა.

ტელეფონი, რომლითაც პირველი ფოტო გადავიღე და დავინახე, რომ
ჩემი გრძელი თმა ფარავდა მოხრილ ბეჭებს და გამრუდებულ ხერხემალს...

პომიდურისა და ბოტასის ამბავი

გზა მალაქების ბაზრობამდე. სკვერი. სკვერი.
შავი კროქსით და ნაჭრის ჩანთით, რომელშიც სხვადასხვა მედიკამენტთან ერთად
თვალის ტუში და ტუჩის ფანქარი დევს.
ჩაუვლი ნაგვის ურნებს და წამით შეყოვნდება,
რადგან ურნასთან ნაიკის ბოტასები დევს.

ბოტასი თეთრია და ქვედა ძირი, რომელიც ოდესღაც ლურჯი უნდა ყოფილიყო,
გახუნებულა და უცნაური ფერი მიუღია.
ბოტასის თვითღირებულება, ალბათ, სამას ლარზე მეტია, რომელიც
სულ მცირედ ჩამორჩება ჩემს ყოველთვიურ შემოსავალს,

თუმცა, ახლა მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ ჩემგან რამდენიმე მეტრში
ნაგვის ურნასთან ნაიკის ბოტასი დევს, რომელსაც პატრონმა უღალატა.
შორიდან რთულია იმის განჭვრეტა, რა ზომა უნდა იყოს, აქვს თუ არა შიდა ჩასაფერი
და შეიძლება თუ არა მისი ჩაცმა ერთი თვე მაინც.

პარალელური ქუჩის სახლის კიბეზე ორი კაცი ზის და
ალმაცერად ათვალეიერებს გარემოს.
წამით მინდა, რომ მივირბინო და ავიღო ფეხსაცმელი, მაგრამ მრცხვენია და
ვაგრძელებ გზას მალაქების ბაზრობისაკენ.

ყვიდულობ ნამალს, რამდენიმე სახეობის ბოსტნეულს და ვფიქრობ,
უკანა გზაზე თუ დამხვდება ის საოცნებო ნაიკის ბოტასები, რომლის ალებაც
ვერ გავხედე, ან ისხდებიან თუ არა მოხუცი კაცები ისევ კიბეზე.

ვბრუნდები უკან პარკით ხელში და თავს ვაგულიანებ, რომ თუ ფეხსაცმელი
ისევ იქ დევს, ეს სამყაროსგან ნიშანი იქნება და ის სწორედ მე უნდა ავიღო.
ორი პარკი მიჭირავს. ერთ პარკში პომიდორი აწყვია, მეორეში —
რეჰანი, ცერეცო, ხახვი და სტაფილო.

შორიდან ვლანდავ ნაგვის ურნებს და ვხედავ, რომ ბოტასები ისევ იქ დევს.
ისლა დამრჩენია, ავიღო.
ვცლი პომიდვრით სავსე პარკს, პომიდვრებს რბილად ვდებ
მწვანელებით გატენილ პარკში და ცარიელ პარკს ჩანთაში ვიღებ.

მიმოვავლებ თვალს გარემოს. გზისპირას მდგარ ურნასთან გზაჯვარედინია.
მუდმივად მოძრაობა.
ივლისის ხვატია და ყველა საკუთარ სახლშია შეყუჟული.
ხალხით სავსე ავტობუსები ადი-ჩამოდიან.

მივდივარ ნაგვის ურნამდე, ვაშტერდები ბოტასს და გამბედაობა არ მყოფნის,
რომ ავიღო.
ვჯდები ურნიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით და ფიქრს ვიწყებ:
ამ უბანში არავინ მიცნობს, არავინ არ იცის, სად ვცხოვრობ.

თითქოს არაფერი მიძლის ხელს, მაგრამ შინაგან სიამაყეს ვერ ვახტები.
წესით ახლა უნდა ვმუშაობდე, მთებს ვდგამდე და ჩემს მიზნებსა და
ოცნებებს ზედმინეწვით ვისრულებდე, მაგრამ ასე არ ხდება.

ყოველდღე ძალით ჩამომაქვს საწოლიდან სხეული და ვაძიულე, რომ იარსებოს.
ვჯდები და ვიცდი.
არ ვიცი, რას ან — ვის, მაგრამ ვიცდი.
ბოლოს ვდგები და წყლის ბოთლს ურნაში ვაგდებ, ჩანთაში ვიწყებ ქექვას,
ისევ ჩემს ადგილას ვბრუნდები და ვჯდები.

არ ვიცი, როგორ დასრულდება ეს ამბავი, მაგრამ ვიცი, რომ
ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში დევს ბოტასი, რომელიც
მინდა, მქონდეს და რომელსაც ვერ ვიყიდი.


და ვფიქრობ, რომ მხოლოდ ლიტერატურაში შეუძლიათ კაცებს
საყვარელ ქალებთან შავი კედლებით ხელში მისვლა და მათი დარწმუნება, რომ
ამ ფეხსაცმელებს სუპერ ძალა აქვთ...

 ციხე ვარ.
 ცხელი ვარ.
 ცეცხლი ვარ.
 ცისფერი ცარციტ ვწერ:
 „ცოცხალი არასდროს ვყოფილვარ“
 და აღარ მანცვიფრებს,
 ცა — სული ჩიტად რომ მიქცია.
 მე ვაღებ გალიებს,
 ჩიტები
 აღარსად მიდიან.
 ქარი ქრის.
 ცარიელ თითებს თუ გავლოლინი.
 ნათელს ჭამს სიბნელე.
 ვერ ძღვება
 და ქვების საყდართან
 ძღვენივით
 ვერ მიმაქვს ძვლები და ფიტული.
 სიტყვები.
 ყველგან და ყოველთვის.
 ჩემთან და სხვებთანაც.
 და სიტყვით იქცევა შედეგად
 ყოველი შემთხვევა.
 წყალი კი სავსეა თევზებით,
 ფარფლებით,
 ხავსით და ქვირითით.
 ვყვირი, რომ
 სიცოცხლეს ვერ ვითმენ.
 დაღუპა სამყარო თვითგვემამ.
 პირში მეც თვითგვემის გემო მაქვს.
 ასეა, თვითგვემით ვიგებ, რომ
 ცხოვრების დიდძალმა ლაშქარმა
 მომიგო უაბჯრო მეომარს
 და ჩემი ქურანა მოცელეს.
 ვუყურებ —
 სათიბად გამოსულ წინაპარს.
 თივის და მოხუცის ბლუყუნით.
 თვალები მივაპყრე:
 ქარია.
 ქარი ჭამს ქრთილებით
 აკინძულ საფლავებს.
 მეც აქ ვარ.
 ვერ მიცნეს.
 ძვირფასო, გაფრთხილებ,
 რომ აქ შენც ვერ მიცნო.
 ვიცინე.
 მოდი და ვიცინოთ
 არსების
 არსებულ აბსურდში გახვევით.
 ტურებით მივადნოთ ტყვიებზე
 ამ ჩვენი სამშობლოს სახელი.
 სამშობლო — ეს არის მდებარეულად
 აფოფრილ ქარის ნილ,
 მე და შენ
 სიცოცხლეს სიკვდილში რომ გავცვლით.
 არ ვარსებობდით.
 ვარსებობთ.
 არ ვიარსებებთ.
 ვეძებ არსობის ჯვრებიდან
 თავის დასაღწევ საბაზს.
 ვწვები ოთახის რქაზე და
 თვალზე ვიხურავ საბანს.
 ციხე ვარ.
 ცხელი ვარ.
 ცეცხლი ვარ.
 ცისფერი ცარციტ ვწერ:
 „ცოცხალი არასდროს ვყოფილვარ“.
 კარები ჭრიალებს.
 კარებთან
 ფრიალებს
 უჭირისუფლო აბრა.

 სანამ მოვკვდები, მინდა, ყველას — ვისაც ვიცნობდი,
 ვისაც ოდესმე შევხვედრივარ მოკლე შეხვედრით,
 ჩემ გაცრუებულ იმედებს და ჩამქრალ ოცნებებს,
 რიდის გარეშე ცოტა წყნით და დაყვედრებით
 სავსე წერილი დავუწერო, რომ მე ვცდილობდი,
 მათთვის ჩემი ხმა მიმეწვდინა, კი არ მენადა,
 ჩიტის ღინღლივით ამოგლეჯილ რწმენას გავცლოდი,
 როცა ვიდექი თვალბრუნებით და ცრემლებს ვლენავდი,
 როგორც გალიებს, სულმა რომ ვერ გაითავისა.
 რომ ჩემში რაღაც მინიერი დაასახიჩრეს,
 ხოლო რაც მოხდა, ჩემ გარეშე მოხდა, თავისით...
 ჩემი ბავშვობა დაიფერფლა ხმელი ფიჩხივით.
 მინდა, წერილი დავუწერო მათ, ვის გულბრუნებ
 დავაკაკუნე ყრუ მუშტებით. შემადრწუნებელ
 შიშის ავტორებს, ავის მსურველთ, გულშემატკივრებს
 და სხვა დანარჩენს ჩემი მხრიდან, გტოვებთ უვნებლად,
 ნაცვლად წყევლისა, ჯადოების, შურისძიების,
 ნაცვლად ნემსების, ყვავილების, ქინძისთავების,
 შავი ნაჭრების, გაზაფხულის პირველ ივით,
 პირველ მერცხლებით, ხორბლის ყანით და თავთავებით
 გტოვებთ. მე კი შორს გავფრინდები — პეპლის მაგვარი,
 რკინის გულ-მკერდით — დროისაგან გამოჭედილი...
 საკუთარ წარსულს მოულოდნელ ღრუბლებს ვადარებ,
 ჭაობს ვადარებ და უდროო გაჯეჯილებას.

მე, ვინც ყოველთვის ცურდებოდა მინის მუხლიდან,
 მე, ვინც ბავშვობა ჩავაბარე ჯართში, კენჭებით
 ამოვსებული ქილებით და მე, ვინც ვუხრიდი
 თავს სიღარიბის უსუსურ ღმერთს, მე, ვინც ეჭვობდა,
 რომ მოაღწევდა ამ წამამდე. ამ წამის იქით
 დამდგარ ყვითელ ჯარს —
 შემოდგომის უთავო მხედრებს
 (სანამ ვარსკვლავებს წამოვაცვამ
 ქალწულ ირმის რქებს,
 სანამ სიცოცხლეს ამოვიშრებ და ვითავებებ),
 მინდა, დაჯდეს და წერილები ვწერო ყველასთვის,
 ვისი აზრდილიც ჩემ ცხოვრებას ამოედევნა,
 ქვეზე დაწერო, განურული ჭყინტი ყველივით,
 ვწერო მამებზე, ბებიებზე და იმ დედებზე,
 მინამ ცოცხლად რომ ჩაიყოლა, კი არ დამარხა —
 ფესვები გულზე გამოიბა. ვწერო იმათზე,
 ვინც დამინახა დაცემული და დამეხმარა
 ზურგით, რომელსაც საკუთარი ზურგით მივათრევ.
 სანამ მოვკვდები, მინდა, იმათ თვალში ჩავხედო,
 ვინც ჩემი ცურვის უცოდინარ თვალთ შეშინდა,
 მინდა, დავწერო ფრინველებზე და ჩიჩაბებზე,
 დაპურებულზე საკუთარი ვინრო პეშვიდან...
 მინდა, დავწერო, როგორია ჩემი სიმშვიდე...
 როგორ სხლტებიან მომაკვდავი თევზის ქინქულები...
 რომ ფეხებიდან მოდის კვდომა, თეთრი შიშით
 გადათეთრებას ფურცლებისა — რას ვიფიქრებდი,
 რომ მოვკვდებოდი და წერილებს, სასაყვედუროს,
 ვერ დავშტამპავდი ღამის ბლანტი სიუღლით.
 რომ არც კი ვიცო, სალხინოდ თუ საუბედუროდ,
 სიკვდილის უცხო ფიტულია ჩემი სულეთი.

 შენ დგახარ ახლა თვალბრუნების მიღმა
 და გსურს, გაშორდე დაგეშილ ამ ბრბოს.
 შენ ანგელოზის იდეას მიმღვრევ
 და სანუგემოდ არაფერს ამბობ.
 მე ვდგავარ, როგორც დასჯილი ბავშვი
 და მოჭრილ ფრთათა სისხლი არ მიჩქეფს,
 ვხსნი დღეებს შორის იდუმალ კავშირს,
 რომ წინ წავიდე მეც სიჩქარისკენ —
 იქ, სადაც ისევ არავინ არ დგას.
 გამომწყვდეული კანში მიმიკა,
 ვრთავ უძილობის გულცივ დანადგარს,
 რომ მოუხეშავ ფსკერზე მიმიკრას.
 ვიჭერ მე შენი სხეულის ნიბოს,
 ვიჭერ მე შენი ცხოვრების ფარფლებს,
 რომ ამოგლეჯილ ღმერთს მივანებო,
 ვით ქარის შიმშილს ცისფერი ფერფლი.
 შენ დგახარ, როცა წარბთა ქორდიდან
 აიშვა სევდა — თოვლი პირველი.
 იდგა წყვედი და სულს კორტნიდა,
 როგორც გადაყრილ ნამცეცს ფრინველი.
 შენ დგახარ ახლა თვალბრუნების მიღმა,
 მზე აინთება გარეთ ვიდრე და
 მესმის ჩურჩულით სადღაც შენი ხმა,
 ვით განწირული კაცის ვედრება.



როსტომ ჩხეიძე
ღამე
რომ არ იყოს
ბოლომდე ბნელი

პისტონის ბაღობს შაშვი?
 ეს იდუმალებით აღვსილი შეკითხვა ძალდაუტანებლად
 გაგახსენებს ჯონ დონის სტრიქონს:
 ვისთვის რეკს ზარი?
 და საპასუხო სტრიქონსაც:
 ის რეკს შენთვის.
 გაგახსენებს და... ამჯერად პასუხიც ესაა:
 ის ბაღობს შენთვის.
 და ერთხელ კიდევ გრძნობ, რომ იდუმალება კი არ
 იფანტება, უფრო ღრმადდება და შენგან მოითხოვს ბევ-
 რად მეტს, ვიდრე მანამდე წარმოგედგინა.
 ამ „ბევრად მეტით“ არის სავსე ლანა ლოლობერიძის
 ორიგინალური სტრუქტურისა და შინაარსის კრებული,
 ავტორი პანდემიით მოგვირდო და პოეზიით შეფერილ უთ-
 ავბოლო ფიქრებად რომ მოიხსენიებს ქვესათაურში, რა-
 კილა ზუსტად ვერ განუსაზღვრავს მისი ფანტოზური თა-
 ვისებურება; სახელწოდება კი უკეთესი რა უნდა შერ-
 ჩეულიყო, თუ არა ის იდუმალი ძახილი შაშვისა, ვისთვის
 რეკვად, ვისთვის ბაღობად გადმოღვრილი, სულიერ-ხო-
 რციანად რომ უნდა აგაფორიას და გაგაცნობიერებ-
 ნოს ის განცდა, რასაც გულსგულში ეგებ კიდევ გრძნობ-
 დი, მაგრამ ასე მძაფრად, ასე შემძვრელად და მომუხსხვე-
 ლად — არა...
 ახლა კი იცი, რომ:
 ის შენთვის რეკს.
 ის ბაღობს შენთვის.

 ყოველი სიმბოლო, რაოდენ ღრმა, ტევადი და მრავლი-
 სმომცველიც უნდა იყოს, ყოფითობიდან ამოიზრდება, ყო-
 ფით-რეალური დეტალიდან, სურათიდან, გავლევებიდან.
 და ლანა ლოლობერიძეც ასე იპოვიდა ამ სიმბოლურ
 ხატს, შემთხვევით რომ უნდა გადასწყდომოდა შუაგულ
 თბილისში, ერთ-ერთ უძველეს უბანში შაშვის მოსულოდ-
 ნელ, გამოგნებელ ბაღობას.
 მერე კი დაენახა კიდევ:
 ქუჩიდან ეზოსკენ გადმოხრილ ნეკერჩხალზე როგორ
 შემომჯდარიყო პატარა, არცთუ განსაკუთრებით ღამაზი
 ჩიტი, თავისთვის რომ იჯდა და თავგადაკლული ბაღობ-
 და.
 და ძალაუბრებურად გაგინდებოდა განცდა:
 გახარებულიყო ამ უეცრად დადუმებულ ქალაქში ასე
 უცნაურად დამკვიდრებული სიჩუმით და აგალობებული-
 ყო.
 შემთხვევით უნდა გადასწყდომოდა ვითომ?
 თუ იმ ღრმა კანონზომიერებით, რაც ოთარ ჭილაძეს
 ათქმევინებდა აფორისტულ სტრიქონებს:
 ამქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით, მარადიული ის
 არის მხოლოდო!..
 და თითქოსდა თავისთვის აგალობებული შაშვი უნდა
 მოხვედრილიყო მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის ფურ-
 ცლებზე, ის კი არა, მისი შთაბეჭდილებებიც გამხდარიყო
 და მისი ბაღობა გამოჰყოლოდა თბრობას იდუმალ მელო-
 დიდად, სწორედ ეს მელოდია რომ მოიხდენდა და მოირ-
 გებდა უამრავი პოეტის — ქართველისა თუ უცხოელის
 — სტრიქონებს და განსაზღვრავდა ამ ორიგინალური თხ-
 ზულების კომპოზიციურ აღნაგობასაც.



დასასრული

თხრობაში ჩართული ლექსები, ლექსი-სა და პროზის მონაცვლეობა ერთხელ უკვე გამოეყენებინა ნიკო სამადაშვილს და ასე უნდა შექმნილიყო მისი სულიერი ბიოგრაფიის ამრეკლავი „დამშვიდობება და სინანული“...

ამასობაში კი ჩინებული ქმნილება უნდა გამოქრნილიყო და ადრე თუ გვიან ხელშეხებად და ჩართულიყო „დამშვიდობება და სინანული“ ქართული ლიტერატურის მდინარეებში, თანაც მარჯვედ მოესინჯა ის სინთეზი, რის წარმატებით ხორცშესხმაც წარმოგვიდგება ლანა ლოლობერიძის „ვისთვის გალობს შაშვიც“.

მურმან ლებანიძეს ბულბულს ერჩივნებოდა შაშვიც, მისი სიმღერის მოსმენისას ისეთი შეგრძობა რომ უჩნდებოდა, თითქოს: გალობდა, ჩქარობდა და ხარობდა ბავშვი.

და მისი გალობის მოსმენა... ფრანსუა ვიიონს აგონებდა, ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეში საიმედოდ და სამუდამოდ დამკვიდრებულს დავით ნერედიანის მთარგმნელობითი ხელოვნების წყალობით, იმ მხატვრული ძალით, ორიგინალურ ლირიკასაც არანაკლებს რომ შექმნიდა, და ლანა ლოლობერიძის ამ ნიგნშიც შემოცურდებოდა მისი სტრიქონები, რომელთაგან ამ ამონარიდს:

ამოდის მწუხრის ვარსკვლავი, ვზივარ გზის პირას მარტო, — არ ჩაქრე, მწარე სახმილო, მაცოცხლებლო დარდო.

ეს ფიქრიც უნდა მიდევნებოდა: დარდი რომ მაცოცხლებელი შეიძლება იყოს, ამას მხოლოდ ნამდვილი პოეტი გეტყვის, იმიტომ, რომ მან იცის — დარდი თუ მიინავლა, აღარც ლექსი ამოხეთქავს გულიდანო.

ოთარ ჭილაძის სტრიქონებიც არაერთხელ უნდა გახშიანებულიყო, ანა კალანდაძისაც, ბესიკ ხარანაულისაც, ლია სტურუასიც, კიდევ სხვათა და სხვათა, ყველაზე ხშირად მაინც გალაკტიონ ტაბიძის ხილვები რომ უნდა ჩაჰფენოდა თხრობას, თუმცა ნიგნის აღნაგობა უმთავრესად მაინც უნდა განესაზღვრა ლანა ლოლობერიძის მიერვე თარგმნილ ლექსებს:

შარლ ბოდლერისა თუ პოლ ვერლენისა თუ უოლტ უიტმენისა თუ რაბინდრანათ თავორისა თუ გიომო აპოლინერისა თუ ანა ახმატოვასი თუ მარინა ცვეტაევისა თუ... და მათ შორის პოლ ელუარისაც, რომლის „თავისუფლება“ ეროვნული ჰომიჯით უნდა განგვეცადა, რაკილა ჩვენც თავისუფლებადაკარგულ ქვეყანაში გვიხდებოდა არსებობა და სულსმოსათქმელად და გამხნეებისათვის თუ რაიმე, ამგვარი თანამდგომნიც გვესაჭიროებოდა, პოეტი, რომელიც თავის უმძაფრეს და ყოვლისმომცველ ფიქრს თავისუფლებაზე აწერდა ყველაფერს, რასაც მისი მზერა თუ სულიერი თვალი მიწვდებოდა.

თავისი ლაჟვარის ნაგლეჯზე და ტბორში ჩაძირულ ხავსიან მზეზე და მთვარეზე ტბაში და დილის რიჟრაჟის ყველა პეშვზე და გემებზე და მათა გრეხილზე და ღრუბელთა ქაფზე და ქარიშხლის გამოქროლაზე და ხშირ და მოწყენილ წვიმის სვეტზე და ვნებისაგან დაცლილ არყოფნაზე და მთლად გამომშლულ მარტობაზე და ჩუმი სიკვდილის ნაბიჯებზე...

სიკვდილის ნაბიჯების ხსენება კი თუ რაიმეს, მოვალეობის იმ შეგრძნებას უნდა დაეკვირვებინა, თუ რისთვის მოსულიყო პოეტი ამქვეყნად:

და ერთი სიტყვის უშრეტი ძალით ახლად ვინცე ვასულ ცხოვრებას, მე დავიბადე, რომ შენ შეგიცნო და შენ დაგარქვა ეს სახელი — თავისუფლება.

თავისუფლების დაუოკებელ მომღერალთან შეხვედრა თუ გასურდა, უოლტ უიტმენი უნდა გამოგცხადებოდა, გულგაღებულ და მესთან ხელგადახვეული მოსიერნი, რომელსაც ავხორცი დედამინა უნდა აღექვა როგორც საყვარელი და ზღვისათვის ეთქვა, შენსავით ერთადერთი ვარ, და თან ყველაფერი — და ასეთი ველური და შეუცნობელი სამყაროს სახურავიდან გადაეცხა ადამიანებისათვის:

ცაში ნავარდობს ჭრელი ქორი და მსაყვედურობს, რომ მე ვცხედობ და ვაგვიანებ, და მეც, მასავით ველური და შეუცნობელი,

ბარბაროსულ ყივილს ვინცებ მთელი სამყაროს სახურავიდან.

და „ბალახის ფოთლებს“, ამ პატარა მწვანეყდიან — ბალახისფერ — პოეტურ კრებულს უნდა დაენახებინა ლანა ლოლობერიძისათვის თავისუფლების კიდევ ერთი ასპექტი — ადამიანის პიროვნული თავისუფლების მომხიბლაობა.

უოლტ უიტმენს კი უნდა მოჰყოლოდა რაბინდრანათ თავორის იდუმალბითა და ვნების სიმძაფრით აღვსილი სამყარო...

და თანატოლებსა და თანამოაზრებთან ერთად დიდი ხნით უნდა ჩაძირულიყო ამ საკვირველ სამყაროში, სადაც სახლობდნენ ბრძენი მოხუცები და თავდავიწყე-

ლის, კაცობრიობისა და მასთან ერთად სამყაროს არსებობის საფუძვლისა და მარადიული წყვილის, საიდუმლოებაზე ამოცისკრებული:

თოვლის დაუსაბამო უდაბნო, თეთრი უსასრულობა და ამ ბუნებრივად მშვენიერი სამყაროსათვის შეუფერებელი მაჯლაჯუნები — გაუსაძლისი სიცივისაგან თავდასაცავად ჯოჯოებად შეფუთული სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის ქალები, რომელთაც ხელი ჩაუჭიდათ შვილებისათვის და ნელა, მძიმედ მიაბიჯებენ.

ასე უნდა დახატულიყო ნუცა ლოლობერიძის ხილვაში:

ხელიხელჩადებულნი — ძალადობის მსხვერპლი რეალური დედები და სადღაც სხვა სამყაროში არსებული, აქ კი დედების წარმოსახვით შექმნილი შვილები...

და ასე უნდა დახატულიყო ლანა ლოლობერიძის ხილვაშიც.

როსტომ ჩხეიძე

ღამე

რომ არ იყოს ბოლომდე ბნელი



ბით შეყვარებული კაცები და ქალები, ბალახის ცვარი და რიჟრაჟის ვარსკვლავი, გზა, რომელიც უსმენდა მოგონებათა ფეხის ხმას, ყმანვილქალები, რომელნიც მგზავრს სიმღერით ულობავდნენ გზასავალს, ნამი და მარადისობა.

და აღმოჩნდებოდა, რომ: ნამთა შრიალს შესაძლოა აბუჩადაც აეგდო მარადისობის ხმა.

გულს რა ევალებოდა და: ესმინა სამყაროს ჩურჩულისათვის, როდესაც ის სიყვარულზე ესაუბრებოდა.

თავორის შეგონებათა შორის კიდევ რა უნდა მოგესმინა და:

თუ ჩასვენებულ მზეს გაეტირებოდი დაუსრულებლივ, ველარც ვარსკვლავებს იხილავდი მაშინ.

მეგორებს კი დაე ეცინათ, როდესაც პოეტი კვალდაკვალ დაედევნებოდა ოქროსფერ ირემს ანუ უცხო ზმანებას, ის კი გაურბოდა, ხოლო ამას ეთელა უდაბური, მიუვალი ქვეყნები და დაედალა უგზო-უკვლო ქარების ჯადოს:

არ ვიცი, როდის და რომელ მხარეს, ვთელავთ უდაბურ, მიუვალ ქვეყნებს, დავეხეილობ მთაში თუ ბარად, ოქროსფერ ირემს დავეძებ ყველგან.

და მთარგმნელი ამ ყოველივეს მხოლოდ გონებით კი არ აღიქვამდა და მარტოდენ ესთეტიკურ ბრძმედში კი არ გამოატარებდა, არამედ:

შეერწყმოდა თავორის ლანდს და, თვითონაც უგზო-უკვლო ქარების ჯადოთი დადალული, დახეტილობდა მთაში თუ ბარად და დაეძებდა უცხო ზმანებას — იმ ოქროსფერ ირემს, რომელიც გაურბოდა.

ზმანებათა ტევრში კი უნდა შემოცურებულიყო ბიბლიური სურათიც, დედა-შვი-

შემდგომ ეს მართლაც ბიბლიური სურათი ერთ-ერთ ქვაკუთხედად და მთავარ ძარღვად უნდა გამოეყენებინა ლანა ლოლობერიძეს მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმში „დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი...“

ამ ნიგნში კი ამ სურათს უნდა გაემკვეთებინა მემუარული ნაკადიც მთვარის წყალობით ამოზიდული ლურჯი მოგონებანი — გალაკტიონური ხილვისა არ იყოს, და სილუეტთა გაღერეაც, ზუსტი დეტალებითა და შტრიხებით, მარჯვედ წარმოჩენილი კოლორიტული ელფერი თვალნათლივი რომ უნდა გაეხადა მკითხველისათვის:

ლეილა გორდელაძე — რომელთან ყოველდღიური ლაპარაკისთვისაც ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში უკანასკნელ კაპიკებს ტელეფონით ხარჯავდა, ისიც ყველაფერს რომ იკლებდა, რათა ასე დისტანციურად ეცინათ და ეხალისათ.

ნანა ხატისკაცი — მათი სულ ერთად ყოფნა ნოდარ დუმბაძეს ერთ საღამოსაც რომ წამოაწყებინებდა: ჰოი, ნანა, ლანავოი ნანა, ნანავოი ლანა, ჰეო!..

ზაირა არსენიშვილი — როგორ ამბობდა თავის ბოლო ნაწარმოებზე მუშაობისას: უნდა მოვასწრო, თორემ მთავარანგელოზის ფრთების შრიალი სულ უფრო და უფრო მესმისო.

თამაზ ჩხენკელი — რომელიც მინას განიცდიდა ორივე მუხლზე დაოქილის ბოდმად, მდუმარე ტაბუკის უძირო ოხვრად და თავისუფლებაზე ოცნებას პოეტურ სტრიქონებში გამოხვევდა, რომლის დანვაც მოუწევდა და ლა-

ნა ლოლობერიძეს მეხსიერებით უნდა აღედგინა.

ზურაბ ნიჟარაძე — მარად ჭჭმარტივების მძებნელი, რომელსაც არასოდეს გაუნდებოდა კამათის ჟინი და, თუ წარმოიდგენდი, მხოლოდ ფერთა მომაჯადოებელი დღესასწაულისა და მიმზიდველი, მუდმივი კამათის სამყაროში. რევაზ თაბუკაშვილი —

რომელიც ბავშვობისას ისე ნაჩხუბებოდა რალაცაზე, რომ, ხილვე გადასვლისას მდინარეში გადავარდებოდა, მოგვიანებით კი ბარათს გაუგზავნიდა ლექსად, ამ სტრიქონებით დაბოლოებულს:

ნავალ იქნებ ძველი ხიდი ცოცხალია, გადავხტები, რომ წამილოს ტალღის წყალქაფიანებამ, გადავხტები, მაცხოვარი მოწყალეა, მომაგონებს ჩემს უმანკო ტრფიალებასო...

თამაზ თევზაძე — მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გაუძლო ბედისწერის უმძიმეს დარტყმებს, და მხედველობადაკარგულიც დარჩე გულლია, გულგახსნილი, მოყვარული, მხნე, ხალისიანი, მხიარულიც კი...

ლადო ალექსი-მესხიშვილი — რომელიც წარმოადგენდა გამონაკლისს — არქაულის, პირველქმნილისა და თანამედროვე, კულტურული, ცივილიზებული ადამიანის ერთობას, და სწორედ ეს ანიჭებდა მის პიროვნებას მთლიანობას, მონოლითურობას, ქანდაკებასავით გასრულებულობის ორეოლს...

ერთი მხრივ ამგვარი ბელეტრისტული ნაკადი, მოგონებებ-სილუეტებიანად, და მეორე მხრივ პირნიმნდად კრიტიკულ-ესთეტიკური და ლიტერატურისმცოდნეობითი დაკვირვებანი მოხდენილად უნდა გადაეხადა დახვეწილ, ნატიფ სტილურ ქსოვილსა და თხრობის დინამიზმს და ექცია ლექსისა და პროზის ჰარმონიულ შეკავშირებად.

განეზრება: ჩანანერთა ეს წყება რომ მოთავებობდა, ერთხელ კიდევ მოესმინა შაშვის გალობა, ჩაძირულიყო ამ მელოდიებში და... ასე შეეკრა კომპოზიციური ქარგა.

და თუ ყოფითი რეალობა არ დაანებებდა ამ განზრახვის აღსრულებას, ზმანებას წინ რა დაუდგებოდა.

და კიდევ უნდა ეპოვა ის ადგილი, სადაც მოფრინდებოდა შაშვი, ჩამოჯდებოდა ნეკერჩხლის შემხმარ ტოტზე და დაინყებდა გალობას — მომხიბლავი, გულშიჩამწვდომი ჰანგებით!..

გალობდა, რათა მისი ამ ერთადერთი მსმენელის სასწარმკვეთილებისა და გულისგატეხისათვის ემკურნალა.

და სრულფასოვნად განეცდევინებინა მისთვის პოლ ელუარის შეგონება, რომ:

ღამე არასოდეს არის ბოლომდე ბნელი, ყოველთვის რჩება ნალღის ნაპირად ღია ფანჯარა — შეუთქვი განათებული, ყოველთვის არის ის სიზმარი, რომელიც ფხიზლობს, სწრაფვა, რომელიც უნდა შესრულდეს, ხელი განვიღო, ხელი გამლილი, თვალები — სასვე ყურადღებით და თანაგრძნობით.

და ყოველთვის არის ერთი სიცოცხლე, რომელიც სხვა სიცოცხლე უნდა გაიანაწილოს.

ეს ხომ ის პოეტი გახლდათ, რომელსაც ასე წარმოედგინა კაცთა წესი, ასე და მხოლოდ ასე ხედავდა იდეასა და იდეალში:

სინათლედ გექცია წყალი, ცხადად გექცია სიზმარი და მოყვრად გექცია მტერი.

ეს ყოველივე კი ისე უნდა ჩაჰფენოდა ლანა ლოლობერიძის თხრობას, როგორც მისი იდუმალი, თუმცა საკმაოდ გამჭვირვალე სარჩული, მისი გულისგული, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი და ეთიკური იმპერატივი.

ამიტომაც შექმნილა ეს ნიგნი — ფიქრთა ეს მშვენიერი, გულმჩამწვდომი ხვეულები — არა ავტორის თვითგადარჩენად, არამედ ადამიანის გადასარჩენად გარეგნული და სულიერი ჟამიანობისაგან, რისგანაც სწორედ ამ რწმენამ უნდა დააღწევინოს თავი, რომ:

სინათლემ ააბრალოს წყალი, ცხადად გარდასახოს სიზმარი და მოყვრად მოაქციოს მტერი.

ამიტომაც ნურასოდეს იკითხავ: ვისთვის გალობს შაშვი?




თონა გოგილავა

საბჭოთა ეპოქის სურათები

ლიტერატურა არის სოციალური და კვების პროდუქტი. ამ დაკვეთაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ის დაკვეთა, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ეპოქაში. არამედ იგულისხმება ის, რომ აქ ყოველთვის აისახება თანადროული ეპოქის სულისკვეთება, მახასიათებლები, სათქმელი და პრობლემები. ამ კუთხით ტექსტი ყოველთვის კონკრეტულ ეპოქას გამოხატავს, მაგრამ განსხვავებულ დროში განსხვავებულ ინტერპრეტაციასაც იძენს. რამდენად შეიძლება მხატვრული ტექსტი, რომელსაც ისტორიულად დადასტურებულ ნამდვილობაზე არ აქვს პრეტენზია, გამოდგეს, როგორც სურათი ეპოქისა? მხატვრულ ლიტერატურას არ აქვს პრეტენზია დოკუმენტურობაზე, რადგან ის მწერლის მსოფლმხედველობის შესაბამისად გარდასახული სინამდვილეა. ერთი ქართველი კრიტიკოსი შენიშნავს — რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ სვეტიცხოვლის მშენებლობას იწყებს გიორგი პირველი. ისტორიულად ეს ფაქტი არაზუსტია. ამ ტაძრის აღშენება გიორგი პირველის მამამ, ბაგრატ IV-მ დაიწყო. აქ ისტორიული სინამდვილე გარდაიქმნა მხატვრულ რეალობად, მაგრამ ფაქტია, რომ მოვლენათა ასეთი არაზუსტი წარმოსახვის მიუხედავად, იმ ეპოქის სურათის შესაგრძობად „ქართლის ცხოვრებაზე“ მეტად ზემოხსენებული რომანის ნაკითხვა უფრო მეტს მოგვცემს. ზაირა არსენიშვილის რომანები მე-20 საუკუნის სურათ-ხატებია. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის შესახებ ბევრი რამე თითქოს ცნობილია, ზაირა არსენიშვილის მიერ შექმნილი მხატვრული სამყარო კიდევ უფრო მეტად გვაკვლიანებს და გვასწავლის ამ დროზე. მისი რომანები ერთგვარი გზამკვლევაა. რით არის საგულისხმო ზაირა არსენიშვილის ტექსტები? გრიგოლ კიკნაძე ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ განხილვის დროს წერს: მიუხედავად იმისა, რომ ეს პოემა ისტორიულ ამბავს ეხება, ვაჟას არსად უხსენებია ამ მოვლენასთან დაკავშირებული ისტორიული გმირების სახელები, რადგან მას ხალხის წიაღიდან ამოზრდილი სახეები

უფრო მეტად აინტერესებს. ამ მხრივ, მხატვრული ლიტერატურა ბევრ დანაკლისს ავსებს ხოლმე. ილიაც წერს ერთგან: „ქართლის ცხოვრება“ მეფეთა ცხოვრება არისო. ამგვარი „სიცარიელების“ შემსებია ზაირა არსენიშვილის რომანები. დიახ, ჩვენ ბევრი რამე ვიცით საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმზე, მის მიერ განხორციელებულ რეპრესიებზე, მაგრამ ამ ყველაფერს ინტელიგენციის დონეზე დავაკვირდით, ისტორიული და დოკუმენტური, მეცნიერული და კრიტიკული შესწავლისა და შეფასების დონეზე გავიგეთ, მხატვრული ასახვის დონეზე კი, უბრალო ადამიანების ცხოვრების მაგალითზე იშვიათად თუ დაუნახავს ქართველ მკითხველს ეს ყველაფერი და თანაც ისე მტკივნეულად, როგორც ზაირა არსენიშვილის პროზაშია. მწერლის რომანში „რეკვიემი“ გაცოცხლებულია 1937 წელი, რეპრესიების მთელი სერია რომ გაატარა სტალინმა. ამ წელს ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი დახვრიტეს „მავნებლის“ სახელით, ხოლო დანარჩენი „მავნებლები“ ციმბირისკენ გაუყენეს გზას. ეს ამბები, მელეჯირე, უკიდევანოდ მტკივნეული განცდები თითქმის არ ასახულა მთელი თავისი სისხლიანი სახით მხატვრულ ტექსტებში. ქართველი მკითხველი ამ ამბებს ისტორიულ-დოკუმენტური ფორმით ეცნობოდა, ზაირა არსენიშვილმა კი მხატვრულ პროზაში შეასხა ფრთები. ამ კუთხით „რეკვიემი“ თითქოს აგროვებს ზაირა არსენიშვილის პირველი რომანის „ვა, სოფელი“ თემას, პრობლემების წარმოჩენას. რომანის კითხვის დროს მკითხველი ხვდება, რომ ტექსტი დაწერილია ეპოქის კარგად მცოდნე მუსიკოსის მიერ, დიახ, მუსიკის სფეროში გარკვეულ-ჩახედული და მისი კარგად მცოდნის მიერ დაწერილი რომანია „რეკვიემი“. რომანის მთავარი პერსონაჟებიც მუსიკოსები არიან, ერთი ორკესტრის წევრები, რომლებიც სხვადასხვა საკრავზე უკრავენ. ტექსტში თხრობა იწყება მუსიკოსებს შორის ერთი საკითხის განხილვით: ზოგიერთი რეპრესირებული მუსიკოსის რეაბილიტაცია ხდება. ცოტა მოგვი-

ანებით პერსონაჟები გენა და სამუილი დავობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს სტალინის ფიგურა და მისი მოღვაწეობა — დადებითად, თუ უარყოფითად. რა თქმა უნდა, ეს დიალოგები მიგვანიშნებს იმაზე, რომ მწერალი თხრობას ეგრეთ წოდებული „დათბობის“ ხანიდან იწყებს, როცა უკვე თითქოს შესაძლებელი გახდა საუბარი და აზრის გამოხატვა. ამ ფაქტზე მეტად აქ საინტერესო პერსონაჟთა სახეები და მათი აზროვნებაა. სამუილს შეუძლია ობიექტურად შეაფასოს გასული რამდენიმე ათწლეული და უნოდოს მას სისხლიანი. თქმისა და გამოხატვის საშუალება უკვე არის, მაგრამ გენა, რომელსაც არაფერი აბრკოლებს სინამდვილე შეაფასოს, სტალინის მკებარ-მადიდებელია. ეს არის შედეგი რეჟიმის ქმედებისა — დაბრმავებული, სწორ აზროვნების უნარს მოკლებული ადამიანები. გენა ამ ადამიანების განზოგადებული სახეა რომანში. „რეკვიემის“ საზოგადოება პოლარიზებულია ამ ორ ფენად — ვისაც მოსწონს სტალინი და ვინც სტალინს ტირანს უწოდებს. ეს უკანასკნელი კი, გენას შეფასებით, „დაბალი იდეოლოგიური შეგნების“ ადამიანები არიან. გასული ათწლეულების შესაფასებლად რომანში ბევრი ეპიზოდია ჩართული. მთხრობელი ერთგან იხსენებს, როგორ წაიყვანეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები „კომბლესა“ და „ნაცარქექიას“ სახსავად. ამის ნაცვლად კი თეატრში მათ დახვდათ მათი მშობლების მაგინტლები და მათი „ბურჟუაზიის აგენტებად“, „იპოზიის შპიონებად“ და „ცოფიან ძაღლებად“ წარმომჩენი ხალხი. ეს რომანი არის ისტორია „დიქტატურის პრესის ქვეშ წიასავით გასრული ადამიანებზე“, მათ განცდებზე, ცხოვრებაზე, სიყვარულზე... საბჭოთა რეჟიმის მარნუხებს შენიშნული ადამიანები, მათი ბედისწერა, ცხოვრება, შიშები, სიყვარული — ეს თემები ექცევა მწერლის ობიექტივში. თითოეული პერსონაჟის ცხოვრებას და მის ბედისწერას განსაზღვრავს ის რეჟიმი, რომელშიც მათ იძულებით უწევთ ცხოვრება. „რეკვიემის“ თითოეული პერსონაჟი გადის ბენჯის ხილზე და მათი ცხოვრება სავსეა ხიფათებითა და შიშებით. ეს არის რეჟიმის მიერ ფიზიკურად თუ მენტალურად განადგურებული ადამიანების გალერეა. თვით ისინიც კი, ვინც ბელადებს და აქ აღწერილი ცხოვრებას გუნდრუკს უკმევენ (მაგალითად, გენა), სიბრალულის განცდას იწვევენ მკითხველში. რამდენიმე პერსონაჟის ისტორიის აღწერას კი მწერალი შედარებით დიდ ადგილს უთმობს. რომანის პერსონაჟების სახელებზე დაფიქრდებით — სამუილი, მაკონდო, გენა, მელიტა... ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა ჯერიკო ქიბიშაური ჯერი დოლოლი, რადგან ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი სრულად ყველაფრის შეცვლას ითხოვს. შესაძლებელია სხვა პერსონაჟების ამბავიც ასეთი იყოს. სახელის შეცვლა, გაუცხოება ჯერი დოლოლის შემთხვევაში განპირობებული იყო ახალი ცხოვრების სურვილით. მშობლები ბოლშევიკებმა დაუხოცეს. მამამისი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი იყო. ობოლს ბებია ზრდიდა. ბებია კი შუამთის მონასტერში არსებულ ინტერნატში მიიყვანა, საიდანაც დაიწყო დიდი მუსიკისკენ სვლა. ხევისური ჯერიკო ქიბიშაური ჯერი დოლოლი ხდება. სახელისა და გვარის შეცვლა, ფორმა დასავლურია. ამით გამოიხატა პერსონაჟის სურვილი, წასულიყო ამერიკაში, იმ თავისუფალ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლება-ღირებულებები უპირველესი ფასეულობაა. აქ იმაზეც დავფიქრდებით, თუ როგორ გარდაქმნის ხელოვნება, ამ შემთხვევაში მუსიკა, ბოროტებას სიკეთედ, თუ რაოდენ დიდია ხელოვნების ძალმოსილება. ჯერიკო ქიბიშაური, რომელსაც შურისძიებისა და მამის სისხლის აღების სურვილი უღვიძებდნენ ბავშვობიდან, ამ ინტერესით ზრდიდნენ, მიდის მამამის მკვლელის ოჯახში და ხვდება მის დედას, მოხუც ქალს. აქ არის დიდი ჯახი, შინაგანი ბრძოლა — როგორ მოიტყუოს? აიღოს მამის სისხლი, გათავისუფლდეს მისი აზრდობისგან და მერე წავიდეს ამერიკაში, თუ არ უნდა მოიტყუოს ასე? ამ მონაკვეთში ჯერიკომ საკუთარ თავზე გაიმარჯვა. მაგრამ რომანის შემდეგ ეპიზოდებში მკითხველი მასზე დაკვირვებას გააგრძელებს. განოზე შეყვარებული ჯერიკო დასმენად ხომ არ იქცა მეტოქის ჩამოსაშორებლად? ფინალში ყველაფერი ცხადდება, მაგრამ ამ ამბების კითხვისას



მკითხველი დაძაბულია. მას აინტერესებს, შეძლო თუ არა ჯერიკომ ადამიანური ღირებულებების პატივისცემა, შეწყნარება მეორე ადამიანის. ამ რომანში კარგად ჩანს დასავლური გზით სვლის, კუთხური ნაციონალიზმიდან საერთო და საკაცობრიო ნაციონალიზმამდე ამაღლების სურვილი. ხოლო როცა ჯერის მამამისის მეგობარი გადააფიქრებლად ამერიკაში გაპარვას, რადგან „ამერიკა ურჯულოთა და მაქინაციათა ქვეყანაა“, ვხედავთ, თუ როგორი მითების ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი, რა შეხედულებები არსებობდა დასავლეთში, იმაზე, რაც ჯერ კიდევ უცხო იყო იმ დროინდელი ადამიანებისთვის. საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობდა ერთ დიდ უტოპიურ ქვეყანაში და უნდა მოეჩვენებინა თავი, რომ ყველაფერი იყო კარგად, რომ მზიან და ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობდა. ამიტომ მიუღებელი იყო ეფი ხადაროვსკის „რეკვიემი“ შინსახკომის წევრებისთვის, მთავრობისთვის. სეველიანი, მინორული ბგერწერა, რომელიც გამოხატავდა ხელოვანის სულში მიმდინარე პროცესებს, ეპოქის მაჯისცემას, უდიდეს ტრაგიზმს, ვერ გაჟღერდებოდა, რადგან ეს სევდა სრულებით არ შეეფერებოდა საბჭოთა ეპოქას და მისი მკვიდრი ადამიანის ცხოვრებას. ამიტომ „რეკვიემი“ წაიღეს, მისი ნაწილი სასწაულებრივად გადარჩა. ეფი ხადაროვსკი რომანის ყველაზე მუხამოხე პერსონაჟია. სხვები თუ სიტყვიერად ეწინააღმდეგებიან რეჟიმს, ეფი — ქვეყნობითაც. მისი უპატაჟური და გამომწვევი ქცევა, როცა ის სამთავრობო მანქანაში მსხდომთ დაეჯღანება, შიშის გრძობით შეიპყრობს მკითხველს. ასეთი ადამიანები ვერ იცხოვრებდნენ საბჭოთა რეჟიმის პირობებში და ეს პერსონაჟი შეენირა კიდევ მას. მიუქონდათ ყველაფერი, რაც გამოხატავდა ადამიანის შინაგან სამყაროს, მის გრძობებს, რაც არ ჯდებოდა იდეოლოგიის საზღვრებში. ასე წაიღეს ეფის „რეკვიემი“ და გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი სიმღერები. მთხრობლისა და მთავრობის მომხრე ლეიტენანტის ერთ-ერთ დიალოგში ყურადღებას იქცევს ეს ფაქტი — ყოფილა პოეტი ვინმე გიორგი ქადაგიძე, რომელსაც სახობტო ლექსები უწერია სტალინისთვის, მაგრამ ისიც რეპრესიებს ემსხვერპლა. აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ ხსნის ამგვარი ფაქტების „ლოკატორებს“ — არაფერ უნდა ყოფილიყო დაზღვეული სიკვდილისა და შიშისგან, თვით მეხოტბეები და იდეოლოგიის მსახურნიც. შიში იყო საერთო ყველასთვის, ყოველი ადამიანის ცხოვრების ნაწილი. და თუ მეხოტბეები შეიძლებოდა დაესაჯათ, რა მოუვიდათ მონინალმდეგებს? ამ ფიქრით და ამ ფიქრში ცხოვრობდა ყველა. სამიდან ორი დამსმენი იყო, ამბობს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი და გახსენდება გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, ზუსტად ამ ამბებზე რომ არის. იმაზე, თუ როგორ ვერ ენდობოდა ვერავის, რადგან უხილოდ იყო ყველაზე გზედვად და გისმენდა. 1937 წლის ტრაგედიის ასახვა გვიან დაიწყო ქართულ მწერლობაში. ზაირა არსენიშვილის რომანი „რეკვიემი“ ცხადად შეუქმნის მკითხველს შთაბეჭდილებას 1937 წელზე და საბჭოთა ეპოქის რაობაზე. იმ ტკივილებზე, რომლებსაც ამ პერიოდში მცხოვრები ადამიანები განიცდიდნენ.



გუგა მგელაძე

ვერთქმის სევდა

„მე ვყვირი, ვყვირი, ვუხატულებ ერთმანეთს ორ ხეს, და არ მგონია, ქვეყანაზე ვინმეს ესმოდეს.“ რაინერ მარია რილკე

„სახურავებზე, ანტენების გაუვალ ტყეში ფრთადაგლეჯილი ქარი წრიალებს.“ თამაზ ჭილაძე

ნაირა ბელაშვილის მოთხრობა „ანტენა. ქალაქი. ნისლები“ პრუსტიანული მოტივით იწყება:

„ახალგაზრდა კაცმა მანქანის კარი ჩაკეტა და მრავალსართულიანი სახლი აათვალიერა-ჩაათვალიერა. საიდანღაც მონაბერმა საკმაზის მძაფრმა სუნმა გააბრუა. „ტყემალს ხარშავენ“ — გაიფიქრა და ნესტოები შეუთრთოლა ომბალოს, ნივრისა და ქინძის ერთმანეთში არეულმა, გამომწვევმა სურნელმა, ნერვებს და შიგნულს ერთნაირად რომ ალუგზნებდა. (...) ზემოთ მიიწევდა და თან ის ახსენებოდა, სოფელში როგორ ხარშავდნენ ტყემალს, გვიან ზაფხულზე ან შემოდგომით. ქვაბი ეზოში, ზედადგარზე იდგა. ხან ტყემალი დუღდა, ხან მურაბა. მას ცეცხლისთვის თვალყურის დევნა და შეშის მიმარჯვება ევალეზოდა. დედა დროდადრო ქაფს ხდიდა და ისევე სახლში უჩინარდებოდა.“

შესაკებელი ტელევიზორის მფლობელის ბინისკენ მიმავალს, ტყემლის სურნელის შემდეგ, ლეღის მურაბის არომატი „გაუღიზიანებს“ წარმოსახვას და მეხსიერების გრილ ფსკერზე მითვლილ მოგონებებს შეუფიხილებს. გაახსენებს თანასოფელ ბავშვებთან ერთად მოფიქრებულ თამაშს და იმ უცნაურ, სახელშეურქმეველ ბავშვურ შერეობებს თუ ემოციური თრთოლის სინაზეს, ყრუ ტკივილივით რომ ილექება ადამიანში. ფიზიკური ხსოვნის იმგვარი ნაფლეთებიც, ამ კაცის მარტოსულობაზე რომ მეტყველებენ და სულის წრიალებს.

მოთხრობის ინტონაციის კალაპოტს, მის, ასე ვთქვათ, დრამატურგიულ ლერძს (თანაც ისე, რომ სინტაქსური კონსტრუქციებიც ვიბრირებენ!) თავიდანვე სწორედ გემოების, არომატებისა და სუნების სიმძაფრის შედეგად, ცნობიერების შედეგებული სიზმრიდან, ჯინივით დახსნილი ტკივილი განსაზღვრავს, ოღონდ ამ ტკივილის მეტაფიზიკური განზომილების არსი ბოლომდე უცნობია როგორც მერაბისთვის (ტელევიზორის ხელოსანი), ასევე მერიისთვის (კლიენტის).

საერთოდ, ნაირა გელაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ეგზისტენციალური მელანქოლიისა და მონყენილობის იმგვარი თანაარსებობა (კვეთა) ლირიზმთან, ლირიკულ იმპულსებთან, რომ მკითხველი კათარსის კოსმოსური ენერგიით იმუხტება, თუმცა, ცხადია, ამ ყოველივეს თან ახლავს პერსონაჟთა ვე-

რთქმის სევდის სიმძიმე, რაც მოთხრობების თუ რომანების ქვეტექსტუალურ ნაკადებშია შენოვილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაირა გელაშვილის ტექსტების, ისევე როგორც ყველა დიდი ლიტერატურული ნაწარმოების, სტილის სინატიფე უნდა იგრძნო, დააგემოვნო, განიცადო, რადგან ის რაც მთავარია, არსებითია, ნიუანსობრივია, ყოველთვის ნაგულისხმევია, უთქმელია, შეფარულია... მკითხველის პროფესია სწორედ ამ შიფრის ახსნას და თანაგაცდაში მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს.

ამ მოთხრობის გადაკითხვისას რატომღაც ყოველთვის ღია სტურუსა ერთი შესანიშნავი სონეტი მახსენდება:
„დღე ისე მიდის,
ისე გაკლებს სიცოცხლის ნამებს,
ისე გადადის ელექტრონი,
რომ არც ბინდდება
და მეორდება გუშინდელი,
შარშანდელი
ტელევიზორის ანტენაზე
ჯვარცმული ღამე.
უმნიშვნელოა, წვრილმანია,
არც არის, ღამის
მსოფლიო ომის, წყალდიდობის და
მინისძვრების
კაშკაშა ფონზე ვინ შეამჩნევს,
ვინ დაიჯერებს
ვარდისფერებში გადანეჭილი
ოჯახურ დრამას.“

რა სინაზეებს ეჭიდები. ყვავილზე ნამებს,
შავი ოფეტის,
კერანების ბლიცსამყაროში,
მართლა გიყვარდა, გიხაროდა,
გინდოდა რამე?
მაშინ რატომღა ვერ არსებობ
შემის გარეშე,
რომ შეიძლება გაიღვიძო და აღარ იყოს
ტელევიზორის ანტენებზე
ჯვარცმული ღამე...“

„მართლა გიყვარდა, გიხაროდა, გინდოდა რამე?“ — მე ამ კითხვას ნაირა გელაშვილის მოთხრობის ერთგვარ ლაიტმოტივადაც კი აღვიქვამ, მისი, ასე ვთქვათ, ემოციური ბირთვის პოეტურ ვარიაციად, თანაც, ისიც საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში შეიმჩნევა სევდიანი რეგისტრის უჩვეულო ლივლივი...
ლივლივი შემთხვევით არ მიხსენებია. მოთხრობის კითხვისას ძალიან ხშირად ვამჩნევთ იდუმალი ენერგიით დამუხტულ ნივთებს, რომლებიც მსუბუქი თრთოლით გვიდასტურებენ საკუთარ თავს. თრთინარაამხლოდ ნივთები, არამედ ადამიანებიც. ისინი ერთმანეთს გადასცემენ (უნანოვლებენ) ენერგიას, ჟანგბადივით.

დავაკვირდეთ:
„გაზქურის გვერდით დაბალ მაცივარზე თიხის ლარნაკიდან ამოზიდულ გამხ-

მარ ტოტებში სიფრიფანა აბლაბუდა თრთოდა“ (ეს ხომ რუტინულ გარემოში აღმოჩენილი პოეზიაა!)
შემდეგ:

„მთრთოლვარე ხმა ჰქონდა, მტკივნეული, თითქოს ამ ხმას გახმანება უჭირდა.“
ტელევიზორის შესაკებელად მისული მერაბი სწორედ ამ ხმის პატრონს გაიცნობს. მონყენილ, ჩუმ, მარტოსულ მერის და თან, ოღონდ ისე, რომ ამას ჯერ ვერ აცნობიერებს (გრძნობს მხოლოდ!) თავისნაირ სულიერ ლტოლვილს აღმოაჩენს. შებოჭილობის თუ სიმორცხვის გამო ისინი მხოლოდ ფრაგმენტულად თუ ახერხებენ კომუნიკაციას, თუმცა აქ გაცილებით უფრო კომპლექსურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

საკომუნიკაციო ენის კრიზისი იმდენად დამთრგუნველი და ყოვლისმომცველია, რომ მსგავსი მენტალური წყობის ინდივიდებიც კი ვერ ახერხებენ „ადამიანურ“ საუბარს:

— ხომ არ მოინწყინეთ? — ღიმილით ამოხედა კაცმა, — თუმცა თქვენ სულ მონყენილი ხართ. არასოდეს იცინით?

— ადრე ვიცინოდი ხოლმე... — თვალეზი დახარა.

„მორჩა. მორჩა. ახლა ქვემოთ დავეშვებით და წავა. წავა სამუდამოდ. ჩაყლაპავს ქალაქი. ვუთხრა? რატომ მინდა, რომ ვუთხრა? ხომ უცნობია... ვუთხრა, როგორ მეშინია? ვუთხრა, რას ვხედავ და რა მესმის ხოლმე? ვუთხრა, რომ აღარ შემიძლია?“

მწერალი არ გვიმხელს, თუ რა აფორიკებდა ასე ძალიან მერის. რისი ეშინოდა? რა აღარ შეეძლო: ცხოვრება? თუმცა ის ნამდვილად ვიცით, რომ ქმარსაა გამოჩენილი, ჰყავს თხუთმეტი წლის ვაჟი, რომელიც ხანდახან თუ შემოვივლის ხოლმე დედასთან, ოღონდ იწყენს. ტელევიზორი კი შვილის ერთადერთი თავშესაქცევია (ხვდებით, ხომ, როგორც საგანგაშოდ ფართოვდება გაუცხოების უფსკრულის ხახა!).
იდუმალი ქალია მერი: ქცევებით, ინტონაციით, მეტყველი პაუზების სიღრმით:
— სად მუშაობთ?

— არსად. ესე იგი, შინ... ბავშვებს სიმღერას ვასწავლი. ჩემთან მოდიან.

(...)
„ჯერ ვახატავინებ, მერე მათი ნახატების მიხედვით ვარჩევ ბგერებს. ხმებს. ფორტპიანოზე ან გიტარაზე, ან ჩემი ხმით... და ასე... მაგრამ ბოლო დროს სულ სევდიანი სიმღერები გამოდის. ბავშვებს ეშინიათ ბევრი რამის, მაგრამ არ ამბობენ, რადგან უმეტესად არ იციან, რისი ეშინიათ. ნახატში კი ჩანს და სიმღერა შველით.“

სხვებს არ ჰგავს, რადგან ის სწორედ გამაფრებელი ლირიკული იმპულსების მეშვეობით აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს, მდგომარეობებს. ურბანისტიკული ცნობიერება (გარემო, ზოგადად!) კი ხისტი, შეუვალი და მკაცრი. ის ვერ ეგუება მსგავს „ამოვარდნებს“. შედეგად, ჩნდება მარტოსულობის და მონყენილობის აუტანელი შეგრძნება.

„ითვლებოდა (...) რომ ცუდად ვზრდიდი. გაკვეთილებს არ ვაძალეზებდი, სულ პარკში დამყავდა... ვუბნებოდი, არაფერი მოეკლა, არც ობობა, არც წიანჭველა. ისიც (...) ცოცხით აგვიდა ხოლმე ტარაკნებს აქანდაზზე და ფანჯრიდან ყრიდა... ძალიან ეშინოდა ტარაკნების, მაგრამ არ კლავდა... არც ხორცს ჭამდა, რადგან იცოდა, რომ ის ოდესღაც ცოცხალი ხბო იყო, ანდა თიკანი, დიდი თვალეზი ჰქონდა და სიცოცხლე უნდოდა...“ — ამას მერაბს პასუხობს, როდესაც ის შვილის ამბით ინტერესდება.

„ითვლებოდაო“ — ამბობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას სწორედ ამას არ პატიობენ — შვილში (თანაც ბიჭში!) განსაკუთრებული სიფაქიზით შეღვიძებულ ემპათიას, ჰუმანიზმის ნამცეცხვს...

„ახლა გარემო
ფოთოლცენის სევდა გამეფდა,
და რომ ბაღებმა
შემოდგომის მაღლი ისხურონ, —
შენივთებულან
გაზაფხულის ნათელ გამებთან
და სიმშვიდეში
ზავდებიან უგულისყუროდ.
კვდომის ჟანგი კი —
შეუვალი და უტიფარი —
აღმოკიდებულ ღეროებზე
დიდხანს იცოცებს

და მიდამოებს დაეჭდევა,
როგორც ტვიფარი
და მწუხარებას შეაძერწავს
ჯვრებს და გისოსებს.“

რაინერ მარია რილკეს ეს შედეგარული ლექსი (ღია სტურუსა მსგავსად!) კამერტონული სიზუსტით იმეორებს ნაირა გელაშვილის მოთხრობის შინაგან ატმოსფეროს, მისი ენობრივი ქსოვილის, როგორც ოსტატურად მოხატული ლარნაკის, ფაქტურას.

დავაკვირდეთ:
„მჭკნობარე ფოთლების ფენას დაფარა ასფალტი. განუწყვეტილ ცვიოდნენ, მოფარფარებდნენ ყვირთი და სპილენძისფერი ფოთლები. მანქანები შრიალა საფარს მიარღვევდნენ, შიგადაშიგ ქარიც დაუბერავდა ხოლმე და ნამდვილი კორიანტილი დგებოდა.“

კიდევ ერთი დეტალი:
ტელევიზორის ხელოსანს მერი სწორედ შემოდგომის ფოთოლს აგონებს, „თუ რალაცას, მგლოვიარეს.“

მისი ხილვის შემდეგ მომენტალურად დამძიმდა, ჩაიკეტა, დანალვლიანდა, აფორიკებდა, წრიალი დაიწყო, ღიზიანდებოდა, სვამდა, ბრაზობდა, იბღვირებოდა, ოღონდ ვერაფრით ვერ ხსნიდა ცვლილების მიზეზს. კვლავ მერისთან უნევდა გული. იყო თუ არა ეს სიყვარული, ამის თქმა რთულია და ვფიქრობ, არაარსებითი, რადგანაც აქ მთავარია ვერთქმის სევდა, უთქმელობის ენიგმა.

ერთ-ერთ ეპიზოდში, სპორტდარბაზის ფანჯარასთან მიმალული მერი თავის შვილს აკვირდება. იგი მოულოდნელად თანატოლს იდაყვს კრავს და ზედ გადაუვლის. ეს კიდევ ერთი მძიმე (ვფიქრობ, ფაქტურულიც კი!) დარტყმაა დედისათვის. უკვე საბოლოოდ აცნობიერებს, რომ ისიც დაიშვავს, „კაცურობის“ კლიმენტით გამოუტენეს ტვინი და სიფაქიზის ბოლქვები სამუდამოდ ამოუძირკვეს ცნობიერებიდან. ის უკვე სხვაა, ამდენად, უცხო და საშიში. გზად მიმავალი მერი ბიჭებისგან დაჩაგრულ კნუტს იხსნის (შვილის ალტერნატივა!) და მშობლების სასაფლაოსკენ გაემართება:

„დედა-მამის სახელებსა და გვარებს მიაჩრედა. ორი სახელი და ორი გვარი უნდოდა თავის გვარ-სახელთან, თავის თათთან დაეკავშირებინა და ვერ მოახერხა. ამან გააკვირვა და გული ატკინა.“

ის უკვე მხოლოდ ტოტალურ სიცარიელეს გრძნობს, სიცარიელის გულისამრევ სიბლანტეს.

სხვათა შორის, სამუდამო გაუჩინარებამდე რამდენიმე კვირით ადრე (მისი დაკარგვის ამბავს მერაბი ტელევიზორის მეშვეობით იგებს, უფრო ზუსტად, სახლიდან გასული და გამქრალი ქალის ფოტოს წამიერად მოკრავს თვალს) მერი სახლის სახურავზე ადის:

„ღამის ქარი კაბას უფრიალებდა და გრძელ თმას უშლიდა. შორს ღამპიონების შუქში აუზი ბზინავდა. პატარა ბაღებში აქა-იქ ბუფტავდნენ ნათურები. მაგრამ ქარი ცას აჰყურებდა, სავეს მთავრესა და წვრილ ვარსკვლავებს, და ჩურჩულებდა... მერე ანტენასთან მივიდა, ხელი გადაუხვდა ჯვრებივით ფრთებზე, ჩაიმუხლა, ფარანი ანთო, გაანათა ანტენის ძირი, იქ მიმდგარული ლურჯი კაბელი, ნამოდგა და ანტენის ცივ ტანს ჩაეხვია და ჩურჩულებდა, და ჩურჩულებდა... მერე გასწორდა, ზურგით აეკრა ფრთებიან რკინას, ისევე ცისკენ აჰყრო სახე და ხმადაბლა ამღერდა.“ ეს, არქეტიპული რიტუალის (ვინ იცის, იქნებ ჯვარცმის მისტერიის) მსგავსი აქტი, ერთგვარი გამოსამშვიდებელი რეკვიემია. რეკვიემი დაკარგულ ჰარმონიაზე, საკუთარი ადგილის, სივრცის ძიების შეუძლებლობაზე და მეტაფორულად თუ ვიტყვი, ასფალტის სქელ ფენაში ჩაჭყლეთილი სიფრიფანა ყვავილის ჩუმ ტრაგედიაზე.

ქართული პროზის შედეგრი „ანტენა. ქალაქი. ნისლები“ რუტინის სიხისტისგან გასრესილი ლირიზმის მეტაფიზიკური ტანჯვაა, გოდებაა. აგრეთვე ორი მონათესავე სულის სევდიანი არია, რომლებიც ყოფიერების ეკლებსგან სახიზრდებიან. ყოველ ეკალს სულის ნაფლეთი აქვს შერჩენილი, სისხლი კი არ დედდება. ეს ხომ მარადიული ჭრილობაა, მოურჩენელი და არქაული.



ბული, მაგრამ პოეტი, რომელიც ჩემს ზემოთ დასმულ კითხვებს გააჩენს და მერე იმ კითხვებზე პასუხს ლექსებშივე გაპოვნინებს, ესე იგი ლექსმა (ავტორმა) თავისი კალაპოტი გაჭრა, თავისი გზა იპოვა და თამამად შეგიძლია ვენდოთ, — უსაფრთხოდ გავყვეთ მის გაკვალულ ბილიკებს.

ზუსტად ეს შეგრძნება მქონდა, როცა ბელა ჩეკურიშვილის „ნანას ცხენს“ ვკითხულობდი. კრებული ოთხი თავისგან შედგება: 1. „ნანას ცხენი“ 2. „ნამწვავები“ 3. „ცა და შლიეფი“ 4. „ცაცხვზე და კაცზე“.

პირველ ნაწილში თავმოყრილ ლექსებთან ერთად, რომელიც ძირითადად ბავშვობის ამბების — ოჯახური გარემოს რეფლექსიაა, ლექსმა „ნანას ცხენი“ ისე ამიფორიაქა გონების ყველაზე შორეული, ფაქიზი ხვეულები, რომ ლექსის დასასრულს ყელში გაჩხირული დაგუბებული ცხელი ბგერები სადაცაა ქვითინად ამომასკდებოდა. ეს შეიძლება ჩემი ზედმეტად ემოციური ბუნების ბრალიცაა, მაგრამ როგ-

ში, ყმანვილკაცებში“. ეს თითქოს მძიმე ტვირთად, რაღაც უხერხულ პასუხისმგებლობად ექცათ, — ყოველთვის ჰქონდათ იმის განცდა, რომ „იმხელა კაცი“ შეაწუხეს და ამ ტვირთს, თამამისას თუ ხუთნუთიანი მულტიფილმის ყურების დროსაც კი გრძობდნენ. დროის სვლასთან ერთად, პიანინოს გაყიდვას — გადაცვილიან ორ ძროხასა და პატარა ხბოში, რადგან ოჯახის ახალი წევრი იბადება. ეს, თითქოს საზეიმო ფაქტი, ამ სურათს რატომღაც ასე ასეველიანებს:

„...პიანინო უნდა გავყიდოთ.
ბიჭი მოვიდა.
რძე სჭირდება, მანონი, ყველი,
ბევრი ფაფა და ხაჭაპური!“
„პიანინო?“
გავიკვირვებთ მაშინ დებმა
და ყოყმანით გავხედებთ ოთახს,
ნლებს მანძილზე იმხელა კაცის
აჩრდილი რომ ავსებდა
და აბუბუნებდა,

თინათინ ხუტურიძე

„ნანას ცხენი“ კედელზე,
„ნანას ცხენი“ თაროზე

რატომ უნდა ადგე და ნახვიდე ღუმელთან ჩამყუდროებული, ზამთრის ბოლო დღის ერთ მზიან, მაგრამ ქარიან დილას ქალაქის გარეუბნიდან ქალაქის გულში, კონკრეტულ წიგნის მალაზიაში? ალბათ ყველას სხვადასხვა მიზეზი ექნება, ჩემთვის ეს მიზეზი კი ბელა ჩეკურიშვილის ლექსების ახალი კრებული „ნანას ცხენი“ იყო, რომელიც ის-ის იყო გამოიცა და მოუთმენლად ველოდებოდი. მალაზიაში როგორც ყოველთვის, სასიამოვნო გარემო დამხვდა — ყურადღებიანი მომსახურე პერსონალით, ფერადი კედლებით და წიგნებით სავსე თაროებით. ბელა ჩეკურიშვილის კრებულის გარდა, ჩემს ზურგჩანთაში სხვა ავტორთა წიგნებმაც გადმოინაცვლეს (სოსო მეშველიანის „ქუნარე“, დათია ბადალაშვილის „ფიჭვები შორს იყო“, ნინო სადღობელაშვილის „დაბადების დღე“, ინა არჩუაშვილის „მას ერქვა ვატანაბე“).

ორ უნდა „ჩაუარო გულგრილად“, როცა ლექსი ამას გიყვება?! ზამთარში, ზამთრის რუხ დღეებში, როდესაც ოთახს მხოლოდ ბუხრის ნითელი ალი ანათებს, რკინისფერება საწოლის ქვეშ მიძვრებიან ცნობისმოყვარე ბავშვები, თითქოს რომელიმე დიდებულ საგამოფენო დარბაზში მიდიოდნენ, რათა კიდევ ერთხელ დაათვალიერონ დაუდევრად გაღვლილი კედელზე უფროსი დის, — ნანას დახატული ცხენი. ბუხრის მენამული ალი კი, კედელზე ცხენის გარდა სხვადასხვა მისტიკურ სურათთა აჩრდილებს ხატავს და ბავშვები ამ ჯადოსნურ სანახაობას ერთად თუ რიგ-რიგობით ყოველდღე ამლტაცებულნი სტუმრობენ:

ახლა კი ერთი პანია კაცი
უპირებდა გამოსახლებას,
სულაც განდევნას.
ის გერმანული პიანინო
ორ ძროხად იქცა,
თან პატარა ხბოც გამოაყოფეს,
ახლანაშობი,
ფური ადვილად რომ მოგვეწვავდა“.

ბელა ჩეკურიშვილის შემოქმედებას თითქმის 15 წელია, თვალს ვადევნებ და მისი ლიტერატურული დოსიე საკმაოდ მსუყედ გამოიყურება: „ან-ან“ (1998წ.), „ლია ბარათები“ (2009წ.), „შეკითხვად სიზიფეს“ (2012წ.), „რაინისპირა ამბები“ (2016წ.), „სიშიშვლის დეტექტორი“ (2017წ.), „ნანას ცხენი“ (2020წ.). გერმანულ ენაზე მისი ხუთი პოეტური კრებულია გამოცემული. ესენია: „ჩვენ, ვაშლის ხეები“ (2016წ. Verlag das Wunderhorn), „ფეხშიშველი“ (2018წ. Verlag das Wunderhorn), „პიკნიკი მთის კალთაზე“ (2018წ. Korvinus Presse. Berlin. ილუსტრირებული ცოკპე ფოსკულის ლითოგრაფიებით), „ჯაჭვებიანი კარუსელი“ (2021წ. Verlag das Wunderhorn), „ჩემი პატარა ინსექტარიუმი“ (2023წ. Distillery Verlag. სარედაქტორო საქმიანობიდან აღსანიშნავია ბელა ჩეკურიშვილის ხელმძღვანელობით, Klak Verlag-ის მიერ გამოცემული, სხვადასხვა პოეტების შემოქმედებითი ტანდემი „დათესე ხორბალი, უკრაინავ“ (2022 წელი). გარდა ამისა, პოეტი ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. მან გერმანული ენიდან ქართულად თარგმნა ულრიკე ალმუტ ზანდინგის პოეტური კრებული „რაფსის ყანა ვარ, შეილებს ვმალავ და ვანათებ ისე, როგორც ცამეტი ფერწერული ტილო, ფენა-ფენა დალაგებული“ (2023წელი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი).

ეს იყო ჩვენი ალტამირას
გამოქვაბულიცა და
ნასკას ველებიც,
განსაკუთრებით
ზამთრის რუხ საღამოებში,
როცა ბუხრიდან მომზრალი
ცეცხლის სინათლე
იატაკს ნითლად აღვივებდა
და ზედ განოლილებს
ახალ-ახალი სურათებით
გვასაჩუქრებდა.
ცხენი თავდახრილი იდგა და ძოვდა,
ნანა ამბობდა, ტყეში მიდიხო,
ძმას სჯეროდა,
მაშინ ჭიხინებს, როცა გვიძნავსო.

ეს კრებული არა მხოლოდ ქვეთავებად, თითქოს გეოგრაფიულადაც დაყოფილია, რადგან ავტორი მშობლიური სოფლიდან, ბავშვობიდან ჯერ დედაქალაქში ინაცვლებს და შემდეგ კი უფრო შორს, — სხვა, უცხო ქვეყანაში. იცვლება მისი განწყობა, ფიქრები, საგნების და მოვლენების მიმართ დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე იცვლება ლექსებიც, მაგრამ უცვლელი რჩება ერთი რამ, — უწყვეტი კავშირი ბავშვობასთან და შესაბამისად ყველა/ყველაფერ ძვირფასთან რაც აქ, სამშობლოში დღემდე გვუღებდა. ეს ლექსები, თითქოს მართლაც ფოტო კადრებია, როგორც თვითონ ავტორი კრებულის წინათქმამი აღნიშნავს, და სულ ერთია, ეს კადრები რომელ ადგილს, ანდა დროის რა მომენტს მოიცავს, ისინი ისეთი მკვეთრია და შთამბეჭდავი, რომ მკითხველს თავის სამყაროში დიდხანს ტოვებს. ასეთ ფოტო-კადრებად

მიუხედავად იმისა, რომ ბელას ლექსები ასე ნაცნობია ჩემთვის, ამ კრებულში თავმოყრილმა ახალმა ლექსებმა სულ სხვა განწყობა შემიქმნა და პოეტის, როგორც ახალი სამყაროს შემოქმედის სიტყვები, კარის ღრმადან მზის სხივებზე მბრუნავი, აბრწყვიალებული უწვრილესი მტვრის ნაწილაკებით ცხადად დამანახა.

რა არის ის, რასაც ლექსი ჩვენში ტოვებს? როგორია ის ლექსი, რომელიც ისეთი ძალით გვეჯახება რომ ჩვენს ქვეცნობიერს აზანზარებს? როგორები, როგორი სახით ვაგრძელებთ სიარულს, როცა ლექსი ნაკითხვისას გვაიძულებს ჩვენი სახე, ჩვენი გონება, ცხოვრებისეული ჩვევაც კი გარდაისახოს რაღაც ზებუნებრივი ძალით? ან იქნებ ჩვენს ქვეცნობიერში, ისედაც არის ჩალექილი მთელი ის ემოცია, ფიქრები და ის სახეებიც კი, რასაც ლექსი ალგვიძრავს და ნაკითხვის მერე ჩვენს ზედაპირზე წამოატივტივებს?! ესეც ალბათ ინდივიდუალურია და ნაწილობრივ მკითხველის ერუდიციასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ეს დიდებული გამოფენა მაშინ სრულდება, როცა რკინის საწოლის ნაცვლად, უხემ, მძიმე ტახტს მიადგამენ ცხენიან კედელს. მიუხედავად ამისა, ბავშვები (ცდილობენ, ერთის მხრივ დიდების მიერ ამოქოლილ ჯადოსნურ სამყაროს გამართლება მოუძებნონ, მეორეს მხრივ კი თავის ფანტაზიას გასაქანი მისცენ, რომ ცხენი ისევე არსებობს, უბრალოდ მან ერთ ადგილას ბალახის ძოვით მოიწყინა და ტყეში წავიდა (ეს მომენტი ჩემთვის, ყველაზე ამაღლებელი იყო):
წავიდა, წავიდა,
ჩვენი ცხენი ტყეში წავიდა!“ —
ხუმრობდა ნანა,
და ახლა უკვე ალბომებში
ანებებდა ფერად ფოტოებს.
პატარებს კი
ფლოქების ხმა ყურებში გვედგა
და იმ ტახტზე დასაძინებლად
მუდამ ვჩხუბობდით.



უკვე მერე კი, გაყვითლებულ კედელს ქალაქიდან ჩამოტანილი რომებიანი შპალერით ფარავენ და ნანას ცხენსაც, ზამთრის ცეცხლში მოგუზგუზე საღამოებთან ერთად, ერთი ხელის მოსმით აქრობენ.

ბავშვობის ტრავმის ასეთივე რეფლექსიაა ლექსი „პიანინო“ — დებისთვის ნაყიდ პიანინოს, — რომლის გაკვეთილები საქულველ პროცესად ექცათ ბავშვებს, მაგრამ მზრუნველი ბებიას დამუნათება: „იმეცადინეთ, იმხელა კაცი შევანუხე ეს რომ გქონდათ“ — თითქოს მაგიური ძალა ჰქონდა, ის ხომ შორეული ქალაქიდან ჩამოატანინეს: „დები ერთად დაუკრავენ და იმღერებენ, მოიწონებენ თავს მეგობრებ-

იკითხება „სახმო სიმების მესხიერება“, „პერფორმანსი“, „სუფრა მთის კალთაზე“, „დოლის პური, დარმშტადტი“...


გერმანიაში, ქალაქ ბერლინში წასული ავტორი, უკვე იქიდან ფიქრობს უკან მოტოვებულ ამბებზე, როგორც ფოტოებივით ამოჭრილ კადრებზე, საქართველოში დარჩენილ მეგობრებსა და ოჯახის წევრებზე თუ ახალშექმნილ მეგობრებზე. იგი ერთი შეხედვით თითქოს შეეთვისა უცხო ქვეყანას, სწავლობს იქაურ უნივერსიტეტში, აქვეყნებს წიგნებს გერმანულ ენაზე, მოგზაურობს, ჰყავს გერმანელი მეგობრები, იქაური მკითხველიც გაიჩინა, მაგრამ ლექსებიდან ვგრძობთ, რომ იგი თავისი არსით, ქვეცნობიერში ჩალექილი სალი გრძობებით — მშობლიური გარემოსკენ მოისწრაფვის გულთა და გონებით.

ამ ყველაფრის გამოძახილია ლექსი „ნახერხის დათვი“ — ლექსის ლირიკული გმირი ევროპაში წასვლის წინ, ჩემოდანში ჩალაგებულ საჭირო ნივთებს უკანვე იღებს და მათ ნაცვლად თავის ბავშვობისდროინდელ სათამაშოს, ნახერხით გამოტენილ, ნითელი ძაფით თავიკერებულ დათვს დებს. ასე უფრო მშვიდადაა, თითქოს თავს იმედებს, რომ არასოდეს განუდგება მისი „ძაფი“, რომ ამ დათვით, საიმედოდაა მიბმული სამშობლოზე, მშობლიურ სახლზე:

„ეს ნახერხით გამოტენილი,
მძიმე დათვი,
მოგლეჯილი თავი რომ
ნითელი ძაფით მიაკერა მარინემ
და მერე უკვე აღარც ბლაოდა,
მეზობლის გოგოს კი
ძველებურად ეშინოდა —
ეს დათვი მჭირდება, —
რაღაცამ ხომ უნდა შემახსენოს
ის უზრუნველი დღეები,
ზაფხულის პაპანაქებაში,
იატაკზე გაფენილ ფარდაგებზე
რომ ვინეკით კახეთში
სამივე და-ძმა
და მარინე გათვლას იწყებდა“...

„ჩიტი აფრინდა“...
ამ ლექსის შემდეგ აღარ გიკვირთ „ახალი წელი ბერლინში“, „ცაცხვზე და კაცზე“, „შეთანხმება“ თუ სულაც „პერფორმანსი“, რომელიც ცალკე ესეის თემაა.

მკითხველი, რომელიც ბელა ჩეკურიშვილის ამ ახალ პოეტურ კრებულს გადასწავლის, პირველივე ლექსის „მანანის ფაფა“ ნაკითხვის შემდეგ მიხვდება, რატომ ველოდი ასე მოუთმენლად ამ წიგნს, მისი გამოჩენისთანავე რატომ დავტოვე ჩამყუდროებული თბილი ოთახი და ზამთრის მინურული სუსხიან და ქარიან დილას მივაშურე წიგნის მალაზიას „ნანას ცხენისთვის“. აქ ხომ ჩვენი თაობის ამბებია, არც ისე შორეული, ქართული ამბები...



გვანცა ბოჭორიშვილი

იუმორით, ირონიითა და სავდით...

რეზო გაბრიანიძის ნიგნი „ჩემი პატარა ქალაქი“ მოთხრობების კრებულია, რომელიც ძირითადად ეხება დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე სინამდვილეში არც თუ ისე პატარა ქუთაისს, ავტორის მშობლიურ ქალაქს.

„შერეკილები“, „ქუთაისი ქალაქია“, „ექიმი და ავადმყოფი, ანუ აკრძალული შობა“, „ალილო“, „ერმონია და რამონა“, „თეთრი ხიდი“ — ეს იმ მოთხრობათა სრული ჩამონათვალია, რომელიც გაბრიანიძის ნიგნი შეესულია. გამოცემას თან ერთვის და ამკარა მიმზიდველობას ჰმატებს მწერლის ნახატები.

ტრადიციულად, ყოველ გამოცემას ახლავს მოკლე, შაბლონური ინფორმაცია ავტორზე და მცირე მონახაზი თვითონ ნიგნის შესახებ, გაბრიანიძის „ჩემი პატარა ქალაქი“ ამ მხრივაც გამორჩეულია, მას წინ უძღვის გაბრიანიძის მხატვრული ჩანაწერი ბიოგრაფიული ელემენტების შემცველი ტექსტით. ეს თითქოს ერთგვარი მინიმალისტურია და ღრმა შინაარსის ტექსტი აქვს, რომელიც ტრადიციულ ინსერტებს „ერთაოზის დედა ნატალია, მუცელს გადაჰყოლია.“ ამ ამბის შემდეგ მიზანას, ერთაოზის მამას, გოგნი დაუტოვებია და დედულეთში გადმოსახლებულა: „ჩასიძებამი, მოყვრობის გაცნობა-გამოცნობაში კბილებდაკარგული (კბილი ერთი დარჩენილია, წინა, ღვინისთვის) და განცდილ-ნაგრძობით შეწუხებული“. ამბავი, უდავოდ, სევდიანია და დრამატული, მაგრამ ასეთი იუმორანური ფრაზებით, მსუბუქად გვიყვება, თან არც ირონიას იშურებს: „ძუყნური, მიზანას დედულეთი, ზეციერს ცოტა მაღლა აუტანია“.


„ერთ გალელეტილ შემოდგომას“ მიიკვალა მიზანაც. წესისამებრ, ადამიანი ვალმოხდელი მიდის ამ სოფლიდან, მიზანამ იმქვეყნადაც ვალით გადაინაცვლა. თავისთავად ცალკე აღნიშვნის ღირსია სიკვდილის სცენა, სიმღერა-სიმღერაში. მთელი მოთხრობის განმავლობაში ეს არ არის სიკვდილის ერთადერთი ამბავი და სცენა, რამდენჯერმე ვხვდებით მას და ყოველ მათგანს კვდომის მძიმე განცდის ნაცვლად, გარდაცვალების, სხვა სამყაროში გადნაცვლების, რალაცნაირი ენით აუხსნელი მსუბუქი განწყობა ახლავს თან: „ასე სიმღ-

ერაში მიიკვალა მიზანა ბრეგადე ერთ გალელეტილ შემოდგომას. აუშვა ცაში ხმა და ვერ დაიბრუნა, ამოისუნთქა და და ველარ ჩაისუნთქა. ისეხსა სამი კოკა ღვინო და ველარ ჩაასესხა. ამოილილია ყავარი და სასულეთში გადაინაცვლა. ვარდის ყანაში, ბუმბულის ბალიშზე, მურაბის ტაშტების სალოკად“. ბევრი გინახავთ გარდაცვალების ასეთი ტკბილი და მსუბუქი აღწერა? მაგრამ, ალბათ, გაბრიანიძის გმირები როგორ მსუბუქადაც ცხოვრობენ, ისე მსუბუქადვე ტოვებენ ამ სამყაროს.

ყველასთვის ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა როგორ შექმნა იმერელი, გალელეტილი, მაგრამ თავმომწონე „შემოდგომის აზნაურის“ კლასიკური სახე. გონია, რომ ზუსტად ამის გაგრძელება რეზო გაბრიანიძის „შერეკილები“, შედარებით ზემო იმერეთში გადნაცვლებული. უკლასო, გლეხი კაცის ღარიბულ, მძიმე ყოფას, თითქოს გარემო და კლიმატი კიდევ უფრო ამძიმებს: „ამ გადაბარგებას ზამთარი მოესწრო, ოკრიბაში რომ იცის — ადრიანი, თოვლიანი, დამქცევი და ამომგდები“. თუმცა კი პერსონაჟები ამით დადარდიანებული როდი არიან. მიზანას შვილი, „პირტიტველა ერთაოზი“ კი საუკუნო სახე-ხატია ქართველ კაცობრივსა თუ მსუბუქებში, რომლის ჩამოყალიბებაც — ტრანსფორმაცია, ზრდა — განვითარება მთელი მოთხრობის განმავლობაში ხდება. ერთაოზმა ყველაფერი ვალეზში დაარია. ქალაქს მიამურა და აღმოჩნდა „ნემეცის ქუჩაზე“ „ერთ პატარა პატიოსნად ნაშენი სახლის ეზოში...“ საინტერესოა და არაა რთული მისახვედრი, რას უნდა ნიშნავდეს, პატიოსნად ნაშენი სახლი. საერთოდ, ასეთი თხრობა ახასიათებს რეზო გაბრიანიძეს — იტყვის, დაახასიათებს და დასაზუსტებლად მკითხველს ჩაბარებს ნათქვამს, თან გააღიშებს და თან საფიქრებელსაც აძლევს. ზოგჯერ კი პირდაპირ ერთი სიტყვით, მოკლედ და ლაკონურად, აუცილებლად სასაცილოდ აგვიხსნის რა უნდა ვიგულისხმოთ, ასე მაგალითად: გვარი „ამყოლაძითაც“ ბევრი რამ გვითხრა მან. როგორი გვარისაცაა, ისეთივე კომიკურია ამ ქალის საქმიანობაც: „ჩითის ნაჭერს აკერებდა შარვალზე, იქ, სადაც ზურგი მთავრდებოდა და ფეხები იწყებოდა“. მარგალიტა ამყოლაძე, თავისი როლით, თვისებით, ქცევით, ყოფით გავრცელებული პერსონაჟია ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ფაქტებიდან დაწყებული. მარგალიტასთან დაკავშირებით ბევრი რამ არის კომიკური და ღიმილის მომგვრელი, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ დაახლოების მიზნით ხან ციხის უფროსი ხუტა ოდიშარია სთხოვდა მას დანაშაულის ჩადენას: „ხოხ, ნეტავი თქვენ ბრძანდებოდეთ ჩემი პატიმარი! ჩაიღინეთ რამე დანაშაული არ!

შეგკრავდი, ბორკილებს დაგადებდი...“ ხანაც — ნეონეროკლინიკის გამგე ექიმი ნოშრევან კუჭუხიძე ავად გახდომას: „მომბეზრდა ეს ქურდული სიყვარული! ან რეგმატიზმმა მოგკუნტოთ, ან იშიახმა. ნაგიყვანთ ჩემთან კლინიკაში...“ ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეტისმეტად მრავალფეროვანი ცხოვრება აქვს მარგალიტა ამყოლაძეს, რომელიც „კანფეტზე დახატულს ჰგავდა“. მის გამოჩენას, „ნესვიდან გამოლამაზებას“ ზღაპრის ეფექტი და ტკბილი სურნელი ახლავს. როგორც გამოლამაზდა მარგალიტა ტრიფონის ცხოვრებაში, ისე ტკბილად დადნა.

ერთაოზი, მიზანა ბრეგადის შვილი, ძუყნურიდან ქალაქში ჩამოსული „პირტიტველა ყმანვილი“, რომელსაც არც პატრონი-მყვარებელი ჰყავდა უცხო გარემოში, არც სარჩო-საბადებელი ჰქონდა, ასე უბინაო, უნათესაო და უმეგრობრო დაადგა უცხო გზას, მისთვის ტრანსფორმაციისა და ზრდის საშუალება აღმოჩნდა ხუტა ოდიშარის ციხე და იქ დამეგობრებული ქრისტეფორე მგალობლიშვილი, მოხუცი ბერიკაცი, ფიზიკოსი, რომელსაც ახალგა-



ზრდულმა სიყვარულმა, არაორდინალური და ცოტა გიჟური იდეისთვის გადაადებინა თავი: „როგორ! — მიყვარა გენერალმა, ჩემი ერთადერთი გოგონა ვილაც სუხარებით გამოტენილ ნასტუდენტარ ფიზიკოს გავაყოლო? როგორ გაბედე ეს!“ ასეთი მკაცრი და უღმობელი იყო სატერფოს, თამუნია ყიფიანის მამის განაჩენი. ქრისტეფორემ შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და სილა გაანწა, ამით კი იწყება გასამართლებების და ვერდიქტების მთელი სერია, ჯამში შეყვარებულმა ფიზიკოსმა 18 წელი მოაგროვა. ტრადიციული იუმორანური ტექსტით გვიყვება გაბრიანიძე ქრისტეფორეს ამბავსაც და სიყვარულის ფონზე განვითარებულ თაყუნიას ტუბერკულოზით დაავადებას და გარდაცვალებასაც. როგორც უკვე ვთქვი, ციხეში მყოფი ქრისტეფორე გიჟური იდეით იყო შეპყრობილი: „ადრე თუ გვიან მე ავაშენებ ცათმფრენს, სახელად „თამუნისა“ ვუნოდებ და გადავუფრენ საფლავს! თქვენ ხომ გჯერდათ, რომ ადამიანი უნდა გაფრინდეს? როგორც ყველა ჭეშმარიტი „შერეკილი აზრი“ გადამდები ხდება და იპყრობს სხვა ადამიანებსაც, ასე ჩვენი „გამონიჭებული“ ერთაოზიც ამ იდეის ფრთაშესხმაში შეიყოლია, ასე ეუფლებოდა „მიზანას შვილი მეცნიერებას“ და გადიოდა დრო. და მართლაც, ერთხელაც მათმა ყველაზე გიჟურმა იდეამ, სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებულმა, ფრთა შეისხა ამ სიტყვის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, მათ აავტეს ცათმფრენი და „აფრენის დილაც გათენდა, რომელსაც ასე ეწოდნენ ერთაოზი და ქრისტეფორე“.

რა გვითხრა ავტორმა ამ პატარა მოთხრობით, რომელიც დაწერილია დიდი იუმორით, ირონიითა და სევდით, აბსურდული სახეებითა და ალუზიებით? ის არის უბრალო ადამიანის არა ჩვეულებრივი ყოფასა და დიდი იდეებისაკენ სწრაფვაზე დაწერილი ამბავი, სავეს მეტაფორებითა და ჰიპერბოლებით. ჩვენმა სხვა დიდმა მწერალმა შედარებით უფრო ადრე შვილისადმი მიძღვნილ წერილში დაწერა: „ეს ცხოვრება მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვევს რამე ზეალმატი ამბებისთვის, ამის

გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება საცოდავ და მოსაწყენ ცხოვრებას, რომელსაც ეწვეიან მცენარეები და ცხოველები“ (კონსტანტინე გამსახურდია, 1955წ. 8 დეკემბერი) ზუსტად ამ ფილოსოფიის მატარებელი აღმოჩნდა ქრისტეფორე მგალობლიშვილი, რომლის თანაზიარი გახდა მიზანას შვილი, ერთაოზიც. სიყვარული ტრადიციულმა განცდამ კი მათ შერეკილობას ბიძგი მისცა. ხოლო იდეა კი რაც უფრო არა ამქვეყნიური და გიჟურია, ცხოვრება მით უფრო საინტერესოა.

შემდეგი მოთხრობაა „ქუთაისი ქალაქია“, რომელიც სხვადასხვა მხატვრული სახეებით, ჩვეული იუმორით, ტოპონიმებითა და სიმბოლოებით რეზო გაბრიანიძის ბავშვობის ქუთაისისა დახატული: პარადები, პირველი მაისი და საბჭოთა ყოფა. სულ ცაში აჭრილ და არაორდინალურ პერსონაჟებზე ხომ არ ისაუბრებდა საბჭოთა რეალობაში გაზრდილი და ჩამოყალიბებული ავტორი, ცხადია, პირდაპირ არც საბჭოთა სოციალისტურ უზრუნველ ყოფაზე წერა შეეფერება მას და არ იკადრებდა ამ ამბავს. ირიბად და ჩვეული სახეებით არც უძღვევლ იმპერიასა და არც მის ბელადს არ აუთარა გვერდი, ან კი რა უნდა დაენერა უკეთესი და როგორ უნდა ეთქვა უკეთ, რაც ამ სამ წინადადებაში ათქმევინა ერმონიას: „— ამხანაგო სტალინი! დარჩენილიყავით, თქვენ ხომ პროფესიით მღვდელი ბრძანდებით? ერთ მოკრძალებულ ეკლესიაში ჩაგვიტარებდით პატარა ნირვას! ეს ხალხიც მოინანიებდა, — დათაყალიბებული ხმით ეუბნებოდა ერმონია სტალინს.“ მთელი საბჭოთა ყოფის ბედის ირონია ჩადებული ერთ პატარა, უწყინარ აბზაცში.

რა იყო დასაშვები და რა — აკრძალული, კარგად ჩანს არანაკლებ სევდიან მოთხრობაში: „ექიმი და ავადმყოფი, ანუ აკრძალული შობა“. ქრისტეფორის დღესასწაული, ამქვეყნად ყველაზე დიდი და ნათელი დღე, კაცობრიობის მსხნელის, მაცხოვრის დაბადება, რა თქმა უნდა: „შობა აკრძალულია მთავრობის მიერ“ და შემოდის ძალიან კონტრასტული სახე „ყველა დაარბებს სურავს, და ადიალური კიდებენ და რაც აქვთ ყველაფერს, შუქი რომ არ გამოვიდეს“, გაბრიანიძე აქაც კონტრასტებს და სარკაზმს იშველიებს, როგორ შეიძლება ყველაზე მზიანი ღამე დააბნელო, მითუმეტეს ადიალებით და არც ბნელდება: „მაგრამ მაინც ყველა გარეთ იყურება, მავნე გადმონაშთის გულიზა“. ზუსტად ამ შობის ღამეს ვითარდება მოქმედება ამ მოთხრობაშიც, რომელიც საკვება უცნაურობითა და სასწაულებით, ისეთი ამბავია შობა ღამეს რომ შეეფერება და უხდება, მოულოდნელობებითა და უცნაურობით სავეს. სრულიდან გენიალური სცენა „დაუვიწყარი ტანგო“ ანუ ექიმის სიზმარში გამართული მონოლოგი მის გარდაცვლილ მეუღლესთან: „თორმეტი ათას სამოცდარვა დღე ერთად ვიცხოვრეთ. ავტობუსში ვითვალა. ორი ათას ხუთასი დღე არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს არც დღით და არც საღამოს. გეცინება? ფანქრით ვითვალა საღამომით, ვამონებ, ვიხსენებ. ორი ათასი ოჩერეში ვიდექით. ხუთასჯერ ხომ მთხოვდი კინოში ნაყვანას? როგორ მეხვეწებოდი „მოსტ ვატერლოზე“ ერთად ნასვლას! კარგი, კარგი, შობა ღამეს არ გავიხსენოთ ცუდი ხომ? რიგა ხომ ვნახეთ, ვილნიუსი ვნახეთ. იქაც არ ვილაპარაკეთ. ანი მარტო კაი გავიხსენო? ხუთი ათასი დღე კი ვილაპარაკეთ, მაგრამ ის ვილაპარაკეთ, რაც უნდა გველაპარაკა? რატომ გეცინება? ყველა დავთავად ავტობუსში. გაინტერესებს რამდენად გამომივიდა ბედნიერება? თხუთმეტი წუთი!“

თხრობა კი სრულდება შობის სიხარულითა და ზემოთ, სხვანაირად წარმოდგენილი იქნებოდა, სიკვდილის დამმარცხებელ და დამთრგუნველ მაცხოვრისთვის ბნელის გაფანტვის და ნათლის შემოტანის შანსი რომ არ მიეცა ავტორს საყვებლად გავრცელებულ უღმერთობაში: „გორიდან გაისმა წმინდა გიორგის ეკლესიის გაბზარული ზარის ხმა. ნახევრად დიაკონი, აისორი საბა, დღისით ფეხსაცმელების ჩისტლიჩიკი რომ იყო 1905 წლის რევოლუციის ქუჩის 23 არტისტების სახლთან, სანგიგინას გვერდით, სტანისლავ თუმანიშვილის და გაბრიანიძის ქვევით, ნელა აფენდა და ახსენებდა ქუთაისს დაკონცეპტულ, აკრძალულ, ტკბილ შობას, რომელიც მოხდა ბეთლემში, ერთი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა წლის წინათ. ეკლესიის

ზარის ხმა ქალაქის თავზე ჰაერს წმენდდა და ნათლავდა. თენდებოდა. ასეთი იყო შორეული, დაუფინყარი, ჩემი ბავშვობის ტკბილი ქრისტესობა, ნაზი, როგორც თოვლის ფიფქი“.

რელიგიური თემატიკა და აკრძალვების ამბავი გრძელდება მომდევნო მოთხრობაში „ალილო“, ხოლო სრულიად განსხვავებული და ორიგინალურია მოთხრობა „ერმონია და რამონა“. როგორც ჩანს, რეზო გაბრიაძე კაცობრიობის ცივილური გამოგონებებისადმი: ცათმფრენები, ორთქლმავალი, გულგრილი არ იყო და განსაკუთრებული მიზიდულობა აკავშირებდა მათდამი, მოთხრობის ეპიგრაფიც ამაზე მეტყველებს: „ყველაზე ნაზი და სათუთი, რაც ადამიანმა გამოიგონა არის ლოკო-მოტივი“ (რადიარდ კიპლინგი).

წიგნი მთავრდება „თეთრი ხიდით“, რაც ქუთაისის განუყოფელი სახე, სიმბოლოა. უთეთრდოდ ქუთაისი არც ერთ დროსა და ეპოქაში არ არსებობს. იშვიათია თეთრი ხიდის გარეშე ქუთაისზე შექმნილი ხელოვნება, იქნება ეს პროზა, პოეზია, მუსიკა თუ ნახატი. უნდა ითქვას, რომ მხატვარი რეზო გაბრიაძის პროზა გამორჩეული და უნიკალურია, რადგან ის მწერლობაშიც მხატვრად დარჩა, მისი პროზა არის მხატვრის პროზა — წერდა ცოტას და ხატავდა უფრო, მწერლობაშიც თოჯინები შექმნა. ხატავს სახეებით, სიმბოლოებით, მეტაფორებით, ჰიპერბოლებით, სრულიად განუმეორებელი იუმორითა და ენით, იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი მეტყველებით. ეს არ არის იუმორი, რომელზეც ჩამოვდები და დაუსრულებლად იცინებ, გულს იჯერებ, გათავისუფლდები, გამხიარულდები. ეს არის იუმორი, რომელიც გაგალიმებს და დაგასევდიანებს, ერთგვარ საფიქრალსაც გაგიჩენს, ტიპების, გმირების, პერსონაჟების დახასიათებას, პორტრეტების წარმოჩენას და სიტუაციების აღწერას ისე ახერხებს, რომ თვალწინ დაგიდგება ის, რაზეც საუბრობს, ცოტაოდენი კონტექსტის მოშველივაც და ასე მაგალითად: „ექიმი აღარ უსმენდა. მიშტერებოდა რადიატორს, რომელზეც კალოშების სარჩული შრებოდა და კარაკულის შლაპა“ ან: „უგლუჩიტელო მანქანით თეთრ ხიდზე გადაგრუხუნდა“ დაწერს და წინ გაქვს თეთრი ხიდი, მსგავსი მანქანის ხმაც ყურებში გიგრუხუნებს. ან კიდევ: „სცენაზე ჩვენი მეტოქე ჭიან ფანდურზე უკრავდა...“ მონინაალმდევე რით შეიძლება, დააკნინო, თუ არა ასეთი უწყინარი დეტალიზებით: „ჭიანი

ფანდური“. წერს არა დამახასიათებელ, საყოველთაოდ გავრცელებულ და შაბლონურ ტიპაჟებზე, განა რამდენი ადრახნია კი შეიძლება შეგხვდეს ცხოვრებაში?! თუნდაც ქუთაისში?! თუმცა კი ეს პიროვნება რეალურად არსებობდა და ცხოვრობდა გაბრიაძის ბავშვობის ქალაქში. ქუთაისური სახეები, ადგილები: ბალახვანი, საფიჩხია, პედინსტიტუტი, სალორიის ტყე, ჭომა, გორა დასამალი არაა, რასაც „პატარა ქალაქის“ ქუთაისზე ვკითხულობთ, მგონია, რომ ბოლო 30-35 წლის ქუთაისი მსგავსი მაგიისგან სრულიად დაცლილია, ელფერიც შეცვლილი აქვს. დასანანია, ამ ზღაპრულმა, უცნაურმა და მსუბუქმა ქალაქმა სუბკულტურის გავლენით მიიღო ის სახე, რაც მას ბოლო, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა 90-იანი წლების რეალობაში ჰქონდა: თავისი ინდივიდუალური ცხოვრების წესით, გაგებით და მუქი ფერებით. არადა:

„არის ქუთაისში ჰაერის ერთი მოძრაობა: აღარც ქარია უკვე და არც ნიავია ჯერ, გლიცინიის სუნი აქვს, თბილია, უქმეა, ზედმეტად ზრდილობიანი, ჩემი ნება რომ იყოს, მე მას ლიზიკო გაბუნიას დავარქმევდი და ქუთაისის პედინსტიტუტში ჩავრიცხავდი ფრანგული ენის ფაკულტეტზე, უგამოცდოდ...“

დასანყისშიც აღვნიშნე და მივუბრუნდები — წიგნს არ უძღვის ბიოგრაფიული ცნობის შემცველი სტანდარტული ტექსტი. ალბათ, ეს იმის გამოც, რომ უკვდავებას არ სჭირდება განმარტებები. დაკონკრეტება კი ნამდვილად გამიჭირდება, რით შეძლო რეზო გაბრიაძემ ამ უკვდავების მოპოვება. მას მხოლოდ ლიტერატურით არ ვიცნობთ, ხელოვნების სხვა სფეროთიც — მხატვრობით — არის ცნობილი საზოგადოებაში, თუმცა დღეს უკვე მასზე, როგორც უნივერსალზე საუბრისას, რთული სათქმელია, რით შეძლო უკვდავყოფა, რომელი უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია: გაბრიაძის ფილმები, გაბრიაძის მოთხრობები, ნახატები, მისი სრულიად გამორჩეული და უნიკალური იუმორი, თუ ის მარიონეტების თეატრი, რომელიც „პატარა ქალაქის“ მკვიდრმა შედარებით დიდ ქალაქს აჩუქა და ასე გადააქცია დედაქალაქში შავთელის 13 ნომერი ყველაზე ევროპულ ადგილად, სადაც გაბრიაძის ნიჭს ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე უამრავი ტურისტი (არა მხოლოდ) უკრავს ტაშს და აღიარებს მის გენიალურობას. გნებავთ, გენიოზობასაც, როგორც მის საყვარელ ქალაქში იტყვიან.



„როცა კვლავ ოცდაერთი წლისა გავხდები, არავის გაუშხელ, რომ უფრო დიდ-იც ვიყავი“ ...

ეს დამაინტრიგებელი ფრაზა როსტომ ჩხეიძის მინიატიურების ტრიპტიქის მეორე ნიგნის — „მთავრის ნაპერკლების“ პირველივე მინიატიურისა მედიტაციურ ველში შეგვიძღვება.

ოცდაერთი წელი ის საკრალური ასაკია, როდესაც თავს ჰკვეთენ აბოს, ზღვის ნაპირზე დახეტილობს ირლანდიაგარდაცვლილი სტივენ დედალუსი, მდინარისპირს — სამხრეთული ცხოვრების ნირის კვდომით ჩანავლული კვენტინ კომპსონი, ასევე მდინარისპირს — ფერმკრთალი დომენიკო, მელორედ ნამყოფი, უფალს რომ ევედრება, ალბათ, „შენი პერანგი ნახმარი ჩამაცხი ცოდვიან ტანზეო...“ და მთავარი — დაახლოებით, ის ასაკი, „რუსეთიდან“ მომავალი ილია იმ ნაპერკლების შეგროვებასა და აბრიალებას რომ ემურება, რომლებიც შეუძლებელია, ყოველი ქართველის გულში არ „ჟოლავდეს“...

ოდნავ უფროსი — ოცდაოთხი წლისაა ედიშერ ყიფიანის კონცეპტუალური რომანის — „წითელი ღრუბლების“ მთავარი პერსონაჟი — ჯაბა ალაფიძე — ახალგაზრდა ჟურნალისტი ინიციაციის გზას დასდგომია, თვითრეფლექსიის, საკუთარი თავისა და უფლის ძიების უძნელეს გზასავალს (როგორ ჰგავს ჯაბა შერვუდ ანდერსონის ჯორჯ უილარდს, უაინსბურგელ/ოჰაიოელ რეპორტიორს). „დიდოსტატის მარჯვენაშია“ ფრაზა, ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა კაცს, თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოსო. მეტაფორულ დონეზე ინიციაციურ გზას „ფოკუსის დანმენდას“ ეძახის თავად პროზელიტი — ჟურნალისტი/ფოტოგრაფი.

თავს და ღმერთს ერთდროულად ეძიებს კაცი და ეს არქეტიპული მოდელი მსოფლიო ლიტერატურის პირველივე — შედევერალურ — ტექსტში („გილგამეშიანში“) გამოილანდება — ინიციაციის გზაზე ჯერ მზვობრობა, მერე საკუთარი/პერსონალური ენქიდუები ჩნდებიან (საკუთარი თავის პოვნაში რომ გეშველებიან), მერე — „სიკვდილი ქალი“, დაბოლოს — „უკვდავების ბალახი“...

ედიშერ ყიფიანის რომანი „პალიტრა L“-ს საგულისხმო სერიის — „იკითხე ქართული“ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. დანარჩენთაგან რეზო ჭეიშვილის მოთხრობებსა და ვაჟა გიგაშვილის რომანს „ერთი ვინმე ყაფლანშივილი“ გამოვარჩევდით (ჯაყოსა და მარგოს მემკვიდრის ყოფის ინტერპრეტირებულ ვერსიას).

ტექსტი კომპოზიციურადაც ორიგინალურია — ტრიპტიქის სტრუქტურა გულისხმობს ეპოსისა და დრამის ფაქტურის გადანვნას: ტრიპტიქის პირველი ხრტილი, თითქოს, დრამის კანონიკით იგება — პასაჟს ახლავს მინანერი — „მოქმედი პირნიო“,



ნანა კუცია

მზე „ოტტაველის“ სუსხში

თუმცა დრამისათვის ნიშნული დიალოგ-მონოლოგები ეპიზოდში წარმოდგენილი არაა, კლასიკური ეპიკური ნარატივია, ლირიკული ინტერმეცოებით. ერთადერთ დრამატურგიულ სვლად პირველივე პასაჟში წარმოდგენილია სამი მთავარი პერსონაჟის — ახალგაზრდა ჟურნალისტის — ჯაბას, პარტიული ჩინოვნიკის, რაილ-მასკომის თავმჯდომარის — ბენედიქტე ზიბზიბაძისა და მომაკვდავი, სიკვდილს სასწაულით თავდალწული სამსონის ცნობიერების ნაკადის ორიგინალური მიქსი, რაც ერთგვარი სინოფსისა ტექსტის მომდევნო ორი (მთავარი) პასაჟისა მეტყველი, გამჭვირვალე სათაურებით — „დუმილი“ და „ამბოხება“.

ტექსტის დასახელებული პასაჟები კლასიკური ბელეტრისტიკაა — მაღალი სინჯის ეპიკა. როგორც ყოველ სერიოზულ ტექსტში, „წითელი ღრუბლებში“ ალქმის ოთხ დონეს გამოლანდავს კულტურული, გემოვნებიანი მწერალი — ედიშერ ყიფიანი:

პირველ — ბუკვალურ — დონეზე, როგორც აღვნიშნეთ, რომანი ოცდაოთხი წლის ჭაბუკის ინიციაციურ გზასავალს ირეკლავს. ყველა დანარჩენი პერსონაჟი განსაზღვრავს მთავარი გმირის სულიერ ფერისცვალებას.

მეორე დონე — ტექსტის ისტორიული შრე — საქართველოს ისტორიის ერთ უმძიმეს ხანათაგანს რეფლექსირებს — ქრონოტოპი 1956 წლის ოქტომბრის მინურულის თბილისია. 20-იანი-30-იანი წლების რეპრესიების უსაზარლესი ჟამი, თითქოს, ჩაელილია, მაგრამ ძრწოლის ენერგეტიკა ჰაერშია — ჯაბას აგონდება ეგვენი მიქელაძის ტაბუირებული სახელის სხელება მშობლებისაგან (აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე წლის 9 მარტის ტრაგედიაზე ტექსტში არაფერია თქმული. ცხრა მარტიც ოცდაჩვიდმეტის რეციდივია). „ოტტაველის“ ჟამია თითქოს, მაგრამ „იუდა ჟამს ეძიება“, როგორც ყოველთვის — როგორც ყოველ ჟამს, ამ ყმასაც თავისი იუდა ჰყავს — ტექსტის, ერთი შეხედვით, არცთუ გამოკვეთილი, მაგრამ — ყველგანმყოფი, ყველაფრის მიმასურალებელი, „ლორწოვანი“ პერსონაჟი — ანგია, ჟურნალის თანამშრომელი, „საზარელ პატივისცემას“ (სინტაგმა ავტორისეული) რომ აღუძრავს გარშემომყოფთ. მთელი ტექსტის მანძილზე ანგია სიკვდილის ანგელოზივით ასდევნებია ჯაბას, გამუდმებით აშინებს თუ აშანტაყებს ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის (გა)ხსენებით, ეგებ, სულაც ნებით ჩაბარდა ტყვედ და ახლა სადღაც „ალბიონზე ან გალიაში“ დასეირნობსო (ტრაგიკულ-გროტესკულად შედრს პასაჟი თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტშიც).



დასასრული

თავად მწერალი ხსნის ქარაგმას (თუ ნილაბს ახსნის ანგიას) რომანის ფინალურ პასაჟებში, როდესაც ჯაბა ინკოგნიტო ურეკავს სულისმშებრუნებელ პიროვნებას, თქვენი მეგობარი ვარო და დამფრთხალი ანგია-იუდაც ჩამოთვლის თავის „მეგობართა“ — უფლის მოციქულთა — სახელებს: სვიმონსა და ანდრეას, იოანესა და იაკობს, თომას და ფილიპეს, ბართლომეას და თადეოზს, პეტრეს და მათეს (პეტრობას სამგზის უარყოფს ჯაბა)... მეტი მეგობარი არავინ მყოფიარა, ებნარება „ღვინით დატბორილი“ ხმა... ჯაბას კითხვა, იქნებ, ტექსტის მთავარი კითხვა-მოტივია: „და მასწავლებელი?“ მყავდაო, ძლივს ამოიხრიალეს იუდა-ანგია...

„არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი“ — მოგვაგონდება ჟამის გალაკტიონისეული განსაზღვრება... ანგია-სწორი თავადვე განერიდება ნაზარეველს, რადგან, ტექსტისავ კონცეპტით — „არავინ უყვართ“...

ისტორიულ დონეს ამკვეთრებს სუეცის კრიზისის ობერტონები, ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური მიზანსწრაფვა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ — საბჭოთა სახელმწიფოსაგან ყალბი ჭირისუფლობა ეგვიპტისა.

„ახლა ისტორია არ არის, ახლა შემოდგომის ღამეა“, ტრაგიკულ-გროტესკულს იტყვის პერსონაჟი და კიდევ ერთხელ გამოკვეთს ტექსტის პოლიტიკურ ქარაგმას.

ტექსტის მესამე დონე — მეტაფორული — კონკრეტულ პერსონაჟს კონკრეტული იდეის პერსონიფიკაციად წარმოაჩენს. თუ ჯაბა ინიციაციური/ინიციაციის გზას დამდგარი, ეგზისტენციალურის გამაზრებელი პერსონაჟია, ბატონი ანგია — იუდას მორიგი რეინკარნაცია კონკრეტულ ქრონოტოპში, პარტიული ჩინოვნიკი ზიბზიბაძე — ასევე კონკრეტული ქრონოტოპის პირში თუ „პროდუქტი“ — საბჭოური ნომენკლატურის ჰიბრიდული განსახიერება — მატერიალურს ადევნებულ-მოლაკიცე, ბალზაკის, დიკენსის, ლონდონის მრავალტომეულებს მხოლოდ იმისთვის რომ ყიდულობს, ფურცელ-ფურცელ ალაგის მსხვილ-მსხვილი ბანკნოტები, გზადაგზა ციტატებიც ამოიზუთხოს და გვერდზე კი დააფიქსიროს (დიკენსის რომელიღაც ტომის რომელიღაც გვერდზე წერია ეს კონკრეტული ციტატა). მეტაფორულ კონტექსტშივე აღიქმება ჩინოვნიკის დაჩაგრული შვილების მეტყველი სახელებიც — რომული და რემი... მამის მაგივრად, ძუ მგელი გვზრდობდა, დასცდებდა მძათაგან უფროსს... „მამა გორიოს“, „მამა-მგლის“ უფსკადაცდენაც ტექსტის ფინალში პარაბოლურ მნიშვნელობას იძენს. „მარგალიტით დაფარული“ ზიბზიბაძე აზიის ოქროცურვილი მეფის გროტესკული საბჭოური ანალოგოსია.

უმშვენიერესი გოგონები — დუდანა-ცა და თამილა ც მთავარი პერსონაჟის ინიციაციურ გზაზე აუცილებელი, გარდაუვალად საგულგებელი პერსონები არიან, როგორც, მაგალითად, ტერეზა და ანა-მარია — გურამ დოჩანაშვილის რომანში. დუდანა ვნებაა, თამილა — წმინდა განცდა-ბეტირიე-კათარზისისი (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯაბას დუდანას მიმართაც უწმინდესი გრძობები აქვს/ჰქონდა, განსხვავებით მეგობრის — მოსკოვიდან ჩამოსული თანაკლასელის, რეჟისორ გურამისაგან. მოსკოვიდან ჩამოსულობაც შემთხვევით როდი უკვლირდება ტექსტში). თვითშემეცნების გზაზე ჯაბას „სჭირდება“ გურამის ლალაცია და ნოდარის ფარული თუ აშკარა თანადგომა. მეგობრების/ალტერ ეგოების არსი უზუსტესად განსაზღვრა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგის“ ეპიგრაფში — „სხუაი ჩემი“ (სამწუხაროდ, ყველა მეგობარი ვერ გასწევს ვერც ავთანდილობას, ვერც ვამეხ ლაშობას, თუმცა ესეც პროვიდენციის განჩინებაა).

ზემოთაც ვახსენეთ ტექსტის განსაკუთრებული პერსონაჟი — ლეთარგიულ ძი-



ნანა კუცია
მზე „ოტტაველის“ სუსხში

ლს მიცემული სამსონი, რომლის პროტოტიპად (თუ ლიტერატურულ არქეტიპად) რომანს დართულ შესანიშნავ ნინათქმაში როსტომ ჩხეიძე ჯეიმზ ჯოისის „ფინეგანის ქელეხის“ პერსონაჟს ასახელებს, ირლანდიის მხატვრულ სახედ რომ აზოგადებს მოდერნიზმის მეტრი. როგორც ყოველთვის, საგულისხმო და უზუსტესია რეცენზენტის დაკვირვება — „ედიმერ ყიფიანის გმირს ამხელა დანიშნულება არ დაეკისრებოდა — საქართველო გაეხიმბოლოებინა, თუმცა რაღაც ასეთს მიანიშნებდა — ადამიანთა არაზუნებრივ ყოფას უღმობელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებშიო.“

„ნაკუნ-ნაკუნ დაფლეთილი წიგნივითაა გონება, თავგების შეჭმული წიგნივითო“, იტყვის მწერალი და მკითხველს ნააქებებს, პერსონაჟთა ცნობიერ-ქვეცნობიერის ფრაგმენტებით აკონინოს ყამი.

განსაკუთრებული პერსონაჟია „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ — მოხუცი სუფილი მტყველი სახელით — ნიკალა, ზეპირად რომ იცის მარჯანიშვილის თეატრის მთელი რეპერტუარი და თითოეული კოსტიუმი არა ანტურაჟის ნაწილად, ცოცხალ ადამიანად აღუქვამს („შრილებს ნითელი ატლასის წარსული“). სწორედ ნიკალასთან მიმართებით გაიფიქრებს ჯაბა — „ნიკალა მიდიოდა ნელა, ისე ნელა, რომ არ პატარავდებოდა — სულ ერთი სიდიდისა ჩანდა, როგორც მზე — ცაზე“ (აქვე აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურათმცოდნეთ ჩინებული მასალა ელის ედიმერ ყიფიანის რომანის ფერწერული ქსოვილის, პერსპექტივის, რაკურსის კვლევისას, რის დასტურადაც მოხმობილი დეტალიც იკმარებდა).

ქართველად დარჩენილი ქართველისათვის ბუნებრივ/მისაღები არ იყო, მოსკოვურ ჟურნალს ქარაგმული „ნაშა სტრანა“ რქმეოდა და თბილისის საბჭოური ახალმშენებლობები (ქართული სოფლის დამაცარიელებელი კამპანია, რომლის დამღეუპველი შედეგებიც მალევე იწვინა სრულიად საქართველომ) საკუთარ ნოვოსტროიკებად აღუქვა მურმანსკელს ან კამჩატკელს. ჟამის ლიტერატურული კანონიკიდან გამოდინარე, ზემოთქმული მხოლოდ გამოილანდება ტექსტის მხატვრული ქსოვილში, თანამედროვეობის გამორჩეული ლიტერატურათმცოდნე როსტომ ჩხეიძე კი რეცენზიაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ქართული პროზა, მისი საუკეთესო ნიმუშები დიხასაც დასავლური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა სივრცეშია გასააზრებელ-ნასაკითხი — გარეგნულადაც უნდა დავბრუნებოდით ამ ერთიან ნიადს, „ნითელ ღრუბლებსაც“ თავისი წვლილი უნდა შეეტანა ამ პროცესში, შესწეოდა და გაეკვალა გზა დასავლეთისკენო.“

დაბოლოს, ტექსტის მეოთხე — ანაგოგიური დონე, რომელიც სათაურშივე იკვეთება — ყამი და მარადისობა, ცისქვეშა, მდინარისპირა ქალაქი და ნითელი ღრუბლები ცაზე. შეიძლება სათაური ორგვამაგედაც ამოვიკითხოთ — ნითელღრუბლებიანი (საბჭოთა) ცა ვერ ცვლის ყოფიერების ქართულ მდინარებას, მარადისობისაკენ/მარადიულ ქართულ გზასავალს, მაგრამ, ამგვარი ნაკითხვა მანაც ხელოვნურად გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ თავად ავტორი გვთავაზობს სათაურის მეტაფორულ განაზრებას, ხაზგასმით წარმოაჩენს „მინიერ მბრუნავი“ ცის პარადიგმულ-პარაბოლურ არსს: „ქალაქის თავზე ღრუბლები ნითლად შეეღება მზის სხივებს. არაფერი იყო ამაზე ლამაზი ქვეყნად — ჩამავალი მზის სხივებს გამოეტოვებინა უზარმაზარი ცარიელი სივრცე ცაზე, არსად ამჟღავნებდა თავს

და უეცრად, თეთრ ღრუბლებთან შეხლისას, ნითლად ფეთქებოდა... თეთრმა ღრუბელმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, გზაზე რომ არ შეხვედროდა, მზის სხივი ვერასოდეს იგრძნობდა საკუთარ სილამაზეს, უქმად ივლიდა უსიცოცხლო და უსასრულო სამყაროში, აქ კი დედამიწამ შეაჩერა, დედამიწის თეთრმა ამოძახილმა... ხვალ ცის იმავე კუთხეში, იმავე სიმაღლეზე, სხვა ღრუბელი გაჩნდება, სულ სხვა სხივის სინათლეში გაეხვევა...“

როსტომ ჩხეიძე ნითელი ღრუბლების ენიგმას წიგნს დართულ ნინათქმაში „ფერისცვალების ხატად“ იაზრებს. მდინარეში ჩანოლილი ნითელი ცაც ტექსტის მეოთხე — ანაგოგიური დონის ანარეკლია — მდინარე მდინობაა, ნუთისოფელი (გენიალური ქართული ქრონოტოპი — ნუთი/სოფელი), ცა — ნარუვალი, მარადიული და „გულისთქმაც [ჩვენი მის] იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დამოის აქ ამოიება...“, „ზეირთებში კრთის ლაყვარდი ცისა კამარაო“, იტყვად ასი ნლით ადრე ინიციაციის გზანვრილს შემდგარი გენიოსი თანატოლი ჯაბასი...“

„ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“ მიეტრფის ინიციაციის გზას დამდგარი ახალგაზრდა ქართველი (საინტერესო და ორიგინალურია არის მისი ჯერაც არ შემდგარი რეპორტაჟისა — მზის გზას გაჰყვებს „საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე — შავი ზღვის სანაპირომდე, საქართველო ერთი დღის ტოლი ქვეყანაა — გათენებლად დაღამებამდე, მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებიც ერთი დღის ტოლია, თუ დედამიწაც...“ — დარდინი და მშვენიერია ნაფიქრი (ჩამავალ მზეს ჩასდგომია კვალში პერსონაჟიც აკა მორჩილადის შესანიშნავი და ტრაგიკული რომანისა — „ძველი გულებისა და ხმლისა“ — დედის ძიებისას, რაც მამულიის ძიების მეტაფორაცაა).

„ხვალ მივიდვართ ცადა“, სხვა ღრუბლებს შედებავს ნითლად ხვალის — მარადახალი მზე, ინიციაციურ გზასავალს სხვა ჯაბა დაადგება, სხვა დუდანა/თამილაზე გამიჯნურებული, კვლავ ჩაალაგებს ბალზაკის ტომეულებში ასიგნაციებს რომელიმე სხვა ჩინოვნიკი, კვლავ დასცემს შიშის ზარს რომელიმე სხვა იუდა გარშემომყოფთ, კვლავ ლეთარგიულ ძილს მიეცემა რომელიმე სხვა სამსონი, რათა არაცნობიერ-ცნობიერის სამანზე ყოფიერების ფრაგმენტები აკონინოს, და მთავარი — სხვა ღრუბლებს შედებავს ნითლად ხვალის — მარადახალი მზე, მზე, რომელიც, მწერლის კონცეფციით, „იცავს მანძილს“ — შუალამის მზე, ხატება უფლისა — თავის ხატად და მსგავსად ქმნილს რომ უზენაესი სიყვარულით — თავისუფლებით აჯილოვებს — აირჩიოს ინიციაცია/თეოზისი ან... ან...“

ჯაბასთან ერთად, მკითხველიც მიუყვება ინიციაციის გზანვრილს, თბილისის ქუჩები აქაც ისევე დანვრილებით, ისეთივე სიყვარულით გამოილანდება, როგორც დუბლინისა — ჯოისთან... ერთურთს ენაცვლება ელბაქიდის დაღმარება და მარჯან-იშვილი, რუსთაველი და მთანმინდა, სამხატვრო გალერეა და კინოს სახლი, მთანმინდის ვაგონეტი და უნივერსიტეტის სამეჯლისო დარბაზი...“

„ამღვრეული მტკვრის გაღმა სახლები ოქროსფრად შეეფერადებინა მზეს, მდინარის ტალღები არხვედა ჯაბას სახლის ჩრდილს და, ალბათ, იმ ჩრდილის სიღრმეში, ჯაბაც ქანაობდა“, „ყოველი მხრიდან იკუმშებოდა ქალაქი, ბოლოს სულ დააბატარავდა და ფილაქნად იქცა“ — კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ხაზგასმით თხრობის

რაკურსის განსაკუთრებულობას, ორიგინალურობას.

კაცის ისტორია ქალაქის ისტორიას ეწვნის და პირიქით... მეტყველია ციტატა — „ისე შეუცვლიათ ქუჩები, ბავშვობა ვერსად გამიხსენებიაო...“ სადღაც არის სოფლად გაყიდული სახლ-კარიც — კიდევ ერთი ტრაგიკული ობერტონი ტექსტისა, ისევე, როგორც ოქტომბრის ფოთლების „მშრალ მდინარეში აჯადოებთ [გამვლელებს] საკუთარი ფეხის ხმა — ოდესღაც სოფლის ბილიკებზე მიტოვებული და მივიწყებული“... ქუჩის ტელეფონ-ავტომატზე ოქტომბრის ყვითელი პეპელა ზის... ისეთივე მშვენიერი და მონყვლადი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიასეული პეპელა უნტერ-დენ ლინდენზე — მოდერნიზმის ერთ ყველაზე პატარა და მშვენიერ ლექსში...“

P.S.

ტექსტის მხატვრულ ქსოვილში ილანდება ლირიკული ინტერმეცო — ჯაბასეული წარმოსახული ზღაპარი პატარა გოგონაზე, მოცეკვავე შადრევანსა და მიტოვებულ საგუბარზე... თურმე, ჩემი ბავშვობის ერთი უსაყვარლესი მულტიფილმის („გოგონა და შადრევანი“) ლიტერატურული ქსოვილი ედიმერ ყიფიანის „ნითელი ღრუბლების“ ულამაზეს პასაჟთაგანია.

გამორჩეულია ტექსტის მხატვრული ქსოვილიც: ჟამის ჟამიანობის ასარეკლად ავტორი — გემოვნებანი ერუდიტი — ხან ბაირონის „წყვდიადისა“ თუ „სიზმრის“ ციტატებით მოქსეფს „ახალ ტექსტს“, ხან ვერდის „დამბრმავებლად ბრწყინავალ“ „აიდას“, თუ „რომეო და ჯულიეტას“ ობერტონებს აადვენებს (შემთხვევითი არაა, რომ საუნივერსიტეტო მასკარადზე ჯაბას შექსპირის პერსონაჟის კოსტიუმი მოსავს, პასაჟის მუსიკალური ფონი კი სულაც ჯაბა — დახმულ საბჭოეთში მარგინალურად გამოცხადებული კულტურაა). პერსონაჟის მოგონებაში გაიფლერებს ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურა ევეგენი მიქელაძის დირიჟორობით... მწერალი გრიგის ღვთაებრივ მელოდიასაც შედარებებს, თბილისის ოპერის აგების თარიღსაც (1887) — თბილისი ქალაქიდან ტექსტად იქცევა, სივრცედ, რომელიც „ნაშა სტრანად“ განვრცობილი თუ დამცრობილი ლოკალი კი არაა, არამედ — სულიერი ფენომენი, სადაც მსოფლიოს დიდ კომპოზიტორებს უსმენენ, დიდ მწერლებს კითხულობენ, საკუთარი დიდი მწერლები და კომპოზიტორები ჰყავთ, დიდი სივრცის ბუნებრივ ნაწილად იაზრებენ თავს — უთვალავ ფერად ქმნილი ქვეყნის ერთ არსებით, განუმეორებელ, გარდაუვალ ფერად, მათი ხატი სამშობლოა, სახატე — „მთელი ქვეყანაა“ (სრულიად უნივერსალური) და არა რკინის ფარდით შემოვარდულ-შემოზღუდული „ნაშა სტრანა.“

ჯაბა, ალბათ, ოდესმე გაჰყვება მზეს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრიდან შავი ზღვის სანაპირომდე, მზის თვლით დაინახავს თავის ქვეყანას... 1956-ში ჯაბამ არ შეიძლება იცოდეს, რომ „ნაშა სტრანა“ ზღვისპირეთამდის აღარც მიუშვებს ქართველს...

რა საოცარი სიზუსტით გრძნობს მანძილს მზე — არც ისე შორდება, რომ გადაბუგოს, არც ისე უახლოვდება, რომ დანვას... მზე და მარგალიტი — მთავარი პარადიგმები — სინათლეს ღვრიან რომანის ინიციაციურ სივრცეში... თამილა თითქოს მინიდან მოწყვეტას, ცაში აჭრას აპირებს, როგორც... როგორც რენე მაგრიტის ცნობილ ტილოზე — „იდუმალი ცხოვრება“... რატომღაც, ეს ტილო გვაგონდება პასაჟის კითხვისას...

თამილას ლანდი ფინალურ პასაჟში ნითელ ღრუბელს ემსგავსება. ავტორზე უკეთ ვერ ვიტყვი: „ცა იყო სუფთა და ლურჯი, ჩვილი ბავშვის გუგასავით, და ამ უზარმაზარ თვალში პირველი აზრის გამოკრთომასავით ბრწყინავდა მზე“... დავაზუსტებთ ეგზეგეზას — შუალამის მზე, ნათელი დაუღამებელი... მფარველი „ერთი დღის სივრცის“ — სრულიად დედამიწისა და „ერთი დღის სივრცის ქვეყნისა“ — საქართველოსი...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

